

# Revaz Iashvili

# რევაზ იაშვილი



საქართველოს დამსახურებული და სახალხო მხატვრის - რევაზ (რეზო) იაშვილის (1929-1996 წ.წ.) სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისთვის. მის გარეშე წარმოუდგენელია ქართულ თანამედროვე კერამიკაზე საუბარი. იგი 1960-იანი წლების ქართული კერამიკის სკოლის თვალსაჩინო მოღვაწეა.
რევაზ იაშვილი სიცოცხლის ბოლომდე თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი იყო. თავისი იდეების ფრთებშესასხმელად მხატვარს მრავალმხრივი ტექნოლოგიური ძიებების ჩატარება მოუწია. სამხატვრო აკადემიის ქიმიურ-ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში ცდების დასრულების მოლოდინში თეთრად გათენებული მღელვარე ღამეების შედეგად ხელმეორედ „დაიბადა“ და განახლებული სახით „შემოაბიჯა“ უძველესმა შავპრიალა კერამიკის ტექნოლოგიამ, რომლის მხატვრული ეფექტები აჟღერდა და გაძლიერდა ჭიქურის ფერადოვნებით.
ნოვატორი მხატვრის შემოქმედებითი აღმაფრენა და მომავლის რწმენა ვერ შეარყია, ვერ გატეხა თვით საბედისწერო ავტოკატასტროფამაც. მან საკუთარ სახელოსნოში გააგრძელა დაძაბული მოღვაწეობა. მხატვრის სახელოსნო იქცა სტუდენტებისთვის აუდიტორიად და შემოქმედებით ლაბორატორიად. აქვე გრძელდებოდა ექსპერიმენტები დაზგური სახვითი ხელოვნების ტექნიკების მხატვრული ეფექტების კერამიკაში დასანერგად. მისმა მიღწევებმა თთქმის წაშალა ზღვარი სახვით და გამოყენებით ხელოვნებას შორის და ფართო რეზონანსი ჰპოვა თანამედროვე ქართული კერამიკის განვითარებაში. იგი გატაცებით მუშაობდა როგორც უტილიტარულ, ასევე საექსპოზიციო, მონუმენტურ-დეკორატიულ და საბაღო კერამიკის სფეროებში. რეზო იაშვილის ნაკეთობების უმრავლესობა ადგილობრივი და მსოფლიო გამოფენა-კონკურსებიდან ოქრო-ვერცხლის მედლებისა და ჯილდოს გარეშე არ დაბრუნებულა.
რეზო იაშვილი ცხოვრების ბოლომდე მხატვარ-მონუმენტალისტად დარჩა. თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრაზე მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა მონუმენტური კერამიკის სახელოსნო, რომელსაც იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა. მხატვარი სათავეში ედგა მისივე ძალისხმევით დაარსებულ „საქართველოს მხატვართა კავშირის ახალგაზრდა მხატვართა მონუმენტური კერამიკის შემოქმედებით სახელოსნოს“.
განუზომელია რევაზ იაშვილის - პედაგოგის ღვაწლი ახალგაზრდა კერამიკოსთა მთელი პლეადის აღზრდის საქმეში. მან საეტაპო როლი ითამაშა თანამედროვე ქართული კერამიკის ზოგადი სტილის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

It is impossible to speak about Georgian modern ceramics without Revaz (Rezo) Iashvili (1929-1996), deservedly granted the honorary title the People's Artist of Georgia. He was a prominent representative of Georgian school of ceramics of the 1960s, whose creative works originate from the mid-1950s.
He was the Professor of the Ceramics Department of Tbilisi State Academy of Arts until the end of his life and had greatly contributed to the education of young ceramics specialists.
Rezo Iashvili's name is widely known to our community as an innovative and experimental artist. The disastrous car accident could not affect his hopes for the future and the severe consequences of the crash did not serve as a reason for him to despair.
In order to fullfil his creative ideas the artist had to conduct multilateral technical and technological research. The process was preceded by the study of the forms, style and technology of archaeological and ethnographic monuments; sleepless nights while waiting for completion of tests at the experimental chemical laboratory of the Academy of Fine Arts. And the first success was not far away: the oldest black-glossy ceramic technology, being reinforced with glittering colors, was reborn and introduced into modern ceramics. Even after the car crash Rezo Iashvili did not reject his lifestyle. He continued his intense experiments at his own workshop to obtain effects of the artistic techniques of the easel art. As a result of these experiments the margin between the fine and applied arts seemed to have blended, which eventually received extensive resonance in the works of other Georgian ceramics specialists.
Rezo Iashvili's art leaves the impression that the artist continues his life in the imaginary fairytale-like world full of secret sorrow, but he succeeded in giving clay the cheerful second life. He worked excitedely not only in utilitarian and expositinal fields, but in monumental-decorative, garden-park and monumental ceramics as well.
Rezo Iashvili's unique works are distinguished by their originality, refined taste and high performing skills. Most of them did not leave local and world exhibition-competitions without gold or silver medals as well as various prizes. He was perceived as a painter-monumentalist till the end of his life, the fact demonstrated not only by the monumental nature of his chamber works, but the architectural forms and sculptural ensembles as well, which were realized or remained in drafts only. Having initiated a monumental ceramics workshop, Rezo Iashvili headed it for many years at the Ceramics Department. Also, he founded and led the Experimental and Creative Workshop of Applied and Monumental Ceramics of Young Ceramic Specialists under the Georgian Artists' Union.
Rezo Iashvili's workshop was always generously open to anyone who was in need of professional advice, heartfelt conversation or assistance. That is why he was always surrounded not only by his family but by his students, colleagues and friends as well. Thanks to his untiring creative work and original individual style, Rezo Iashvili played a significant role in forming the general style of modern Georgian ceramics and its further development







მაია იზორია
MAIA IZORIA

# რევაზ იაშვილი

Revaz Iashvili

შემოქმედება და მოღვაწეობა
1929 - 1996
CREATIVE WORKS

თბილისი/Tbilisi
2018

**პროექტის ხელმძღვანელი / წიგნის ავტორი** - მაია იზორია

**კონსულტანტი** - ქეთევან რუხაძე

**რედაქტორი** - ნანა ხაზარაძე

**მხატვრული რედაქტორი** - მარიამ იზორია

**დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველჰყოფა** - ზურაბ მიმინოშვილი

**ფოტო** - გიორგი ჩხატარაშვილი

**ინგლისური თარგმანი** - ნათია ასათიანი

**ინგლისური ტექსტის რედაქტორი** - მაია ყიასაშვილი, მარიამ გაბაშვილი, თამთა ბერიშვილი

**წიგნის შედგენაში მონაწილეობდნენ** - სოფო მაისურაძე, ლაშა ციხისელი, ნიკოლოზ წოწკოლაური, გიორგი ტაბლიაშვილი, ნინო გამცემლიძე

**დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს** - თამარ ლორთქიფანიძეს, ხათუნა კიკვაძეს, თეკლა კაკაბაძეს

**რევაზ იაშვილის ოჯახს** - გიორგი იაშვილს

**თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას** - გიორგი გუგუშვილს, მაია ქოიავას, ქეთევან ნემსაძეს, ქეთევან ცეცხლაძეს

**სემ. შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმს** - მზია კაცაძეს

**სემ. დიმიტრი შევარდნაძის სახ. სურათების ეროვნულ გალერეას** - ციცო სისაურს, მზია ძიძიგურს, იზა ლეკიშვილს, ნანა ასათიანს

**საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას** - ნინელი მელქაძეს

**გიორგი ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრს** - თამარ ბელაშვილს

**Project manager / Author of the book** - Maia Izoria

**Consultant** - Ketevan Rukhadze

**Editor** - Nana Khazaradze

**Artistic editor** - Mariam Izoria

**Design and computer services** - Zurab Miminoshvili

**Photo** - Georgi Chkhatarashvili

**English translation** - Natia Asatiani

**Editor of english text** - Maya Kiasashvili, Mariam Gabashvili, Tamta Berishvili

**Participation in book making** - Sophie Maisuradze, Lasha Tsikhiseli, Nicholoz Tsotskolauri, George Tabliashvili, Nino Gamtsemlidze

**Special Thanks for Support to** - Ministry of Education, Science, Culture And Sport of Georgia - Tamar Lordkipanidze, Khatuna Kikvadze, Tekla Kakabadze

**Family of Revaz Iashvili** - George Iashvili

**Apolon Kutateladze Tbilisi State Academy of Arts** - George Gugushvili, Maya Koiava, Ketevan Nemsadze, Ketevan Tsetskhladze

**GNM. Shalva Amiranashvili Museum of Fine Arts** - Mzia Katsadze

**GNM. Dimitri Shevardnadze National Gallery** - Tsitso Sisauri, Mzia Dzidziguri, Iza Lekishvili, Nana Asatiani

**The National Parliamentary Library of Georgia** - Nineli Melkadze

**George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation** - Tamar Belashvili

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
Ministry of Education, Science, Culture And Sport of Georgia

## სარჩევი


ბავშვობა — 7

სტუდენტობა — 17

შემოქმედებითი ჰორიზონტები, ძიებები და ტრიუმფი — 35

მონუმენტური კერამიკა — 80

„ფერწერა“ კერამიკულ ფილებზე — 124

პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე — 262

დახასიათება, ოქმი — 284

რეზიუმე — 291

ძირითადი ბიოგრაფიული მონაცემები — 296

გამოფენების ნუსხა — 306

ბიბლიოგრაფია, შემოკლებები — 312




მოხატული დეკორატიული ფორმა, ქალი, თ., წერნაქი, პიგმენტები, 1980-იანი წლები, 14 X 8 სმ.

Painted Decorative form, A woman, clay, engobe, pigments, 1980’s, 14 X 8 cm.



„ქართული თანამედროვე კერამიკის სკოლა
ეყრდნობა ეროვნულ საწყისს, გენეტიკის,
ისტორიზმის გათვალისწინებით,
და ეს არის მისი ბაზა“

Modern Ceramic School of Georgia is based
on National Origin, Considering Genetics and
Historicism, and all these represents
the Basis of it



ანა (ნანუ) სურმავა ჩვილ რეზოსთან ერთად, დგას რეზოს ბაბუა - თომა სურმავა

Ana (Nanu) Surmava with baby Rezo; standing: Toma Surmava - Rezo Iashvili's grandfather.



რევაზ იაშვილის მამა- იოსებ გიორგი (ჟორჟიკა) იაშვილი

Father of Revaz Iashvili, Ioseb Giorgi Iashvili.

# ბავშვობა

რევაზ იაშვილი დაიბადა 1929 წლის 16 ივლისს, თბილისში. მამა - იოსებ გიორგი როსტომის ძე იაშვილი სახელმწიფო წიგნის პალატაში განყოფილების გამგედ მუშაობდა და თავის საყვარელ საქმეს მთელ ძალას და ენერგიას ახმარდა. დედა - ანა თომას ასული სურმავა სახლში საქმიანობდა, დიასახლისი იყო. თუმცა ადრე მასაც გამომცემლობაში უმუშავია და სწორედ იქ შეხვედრია იოსებ გიორგის, რომელსაც შინ და გარეთ ჟორჟიკას ეძახდნენ. იგი საუკეთესო რედაქტორად ითვლებოდა და ხანდაზმულობაში თავის საქმიანობას უკვე სახლში განაგრძობდა. ამიტომ ლიტერატორების წრესთან ოჯახს ბოლომდე ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ამან ხელი შეუწყო ცნობილი მწერლის, მაყვალა მრევლიშვილის ქალიშვილ ალდესა და მათი ერთადერთი ვაჟის, რეზოს შორის რომანის გაბმასა და დაქორწინებას.

იაშვილების გვარის ეს შტო არგვეთიდან იყო. ისინი იმერეთის სამეფოში რაჭიდან გადმოსულან. გადმოცემით, გვარის ამ შტოს დამფუძნებელი მეფე სოლომონ 1-ის მედროშე კაცია იაშვილი ყოფილა. საგვარეულოს მთავარი მოვალეობა მტრის შემოსევების დროს ქვეყნის დაცვა, სამხედრო საქმე იყო. არგვეთში იაშვილები თაობების მანძილზე ერთმანეთის მეზობლად სახლობდნენ. რეზოს ბაბუას, როსტომ იაშვილს, იქ საკუთარი კარ-მიდამო ჰქონდა. მასა და თავის ბიძაშვილ ჯიბოს, ერთმანეთთან საერთო ეზო აკავშირებდა. იხსენებენ, როგორ გადაბუგა რუსეთიდან მოვლინებულმა ალიხანოვის დამსჯელმა რაზმმა როსტომ იაშვილის სარჩო-საბადებელი მისი ძმის,



არგვეთელი იაშვილები
Iashvilis from Argveti.



ზის იოსებ იაშვილი,  დგანან ქუთაისის გიმნაზიის მოწაფეები
Sitting: Ioseb Iashvili; Standing: the students of Kutaisi gymnasium.



ლადო იაშვილი, მარჯვნივ ზის მისი და - კესო
Lado Iashvili, at the right his sister Keso.



არგვეთელი იაშვილები
Iashvilis from Argveti.



ზის როსტომ იაშვილი -რეზოს ბაბუა
Sitting Rostom Iashvili - Rezo’s grandfather.



როსტომ იაშვილი
Rostom Iashvili



ლადო იაშვილი - როსტომის ძმა
Lado Iashvili – Rostom Iashvili's brother.

„ხალხოსნის,“ ლადო იაშვილის გამო. იგი ტუსაღების გამოსახსნელად თავს ესხმოდა მატარებლის ეშელონებს, რომელსაც ტყვეები გადასახლებაში მიჰყავდა. ერთ მშვენიერ დღეს ლადო დაუჭერიათ და გაუციმბირებიათ, სადაც ჭლექით გარდაცვლილა. იქ თურმე ნოველებისა და ლექსების წერა დაუწყია. როგორც ჩანს, ლიტერატორობა იაშვილების გვარის ამ შტოს გენეტიკურად მოსდგამდა. ლადო იაშვილი საბჭოთა პერიოდში ცარიზმთან მებრძოლ გმირად გამოაცხადეს, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ იგი პატრიოტად შერაცხა.

არც როსტომის ბიძაშვილის, ცნობილი აფთიაქარის და ფარმაცევტის, ჯიბო იაშვილის ოჯახი დაინდო სასტიკმა დროებამ. მისი ერთ-ერთი ვაჟი „შეთქმულთა“ ჯგუფის წევრობის გამო ბოლშევიკებმა ულმობლად დახვრიტეს. მეორე შვილი, ცნობილი მწერალი პაოლო იაშვილი შეეწირა 1937 წლის რეპრესიებს. მალე მათი მესამე ძმა და ბიძაშვილი ციმბირში ხანგრძლივი დროით გადაასახლეს.

რეზო იაშვილის ვაჟის, გიორგი იაშვილის მონათხრობით, ჟორჟიკა იაშვილს ერთმანეთის ჭირ-ვარამ გამზიარებელი სანათესაო ჰყოლია. თბილისში ხშირად იკრიბებოდნენ, არგვეთიდანაც სტუმრობდნენ. დარბაისლური ლხინი სცოდნიათ, ერთმანეთთან საუბარსა და განსჯას ისეთ მრავალხმიან სიმღერასა და მხიარულ ცეკვა-თამაშს მოაყოლებდნენ, რომ ერთი სიამოვნება ყოფილა მათი ყურება და მოსმენა. შვილიშვილს კარგად ახსოვს, როგორ ასრულებდა დილაობით ჟორჟიკა ბაბუა მეტად უცნაურ სუნთქვით ვარჯიშებს. რომ



თომა სურმავა ზის შუაში,  პირველ რიგში, მარცხნიდან მეორე - მისი ქალიშვილი ანა,
მარჯვნიდან მეორე - ანას და  მარგარიტა

Toma Surmava sitting in the middle;  in the first row, second from the left –his daughter Ana,  second from the right –  Ana's sister Margarita.



სურმავები. სხედან: მარჯვნიდან - ანა (ნანუ), მისი ძმისშვილები კონსტანტინე და გივი, დგანან:
ანას და მარგარიტა,  ძმა ლადო

Surmava family. Sitting from the right: Ana, her nephews Konstantin  and Givi,  Standing behind:
sister Margarita  (Margo) and brother Lado.

წამოიზარდა გაარკვია, რომ ეს იყო ე.წ. „კავკასიურ იოგად“ მონათლული ვარჯიშები. როგორც ჩანს, ჟორჟიკა ბაბუას მისი არსებობა სცოდნია და ზოგი ვარჯიში სათავისოდ შეურჩევია.



რეზო იაშვილი და მისი ბიძა გივი სურმავა.
Rezo Iashvili and his uncle Givi Surmava.

რეზოს დედა - ანა სურმავა, რომელსაც ყველა ნანუს ეძახდა, თბილისში ახლად დასახლებული ყოფილა, ჟორჟიკას ცოლად რომ გაყოლია. მის ოჯახს კოჯორში დიდი ეზო-კარ-მიდამო ჰქონდა, სადაც ნანუმ ბავშვობა გაატარა. დედით ადრე დაობლებულმა ანა სურმავამ თავის მცირეწლოვან ექვს და-ძმას უპატრონა და შემდეგშიც მზრუნველობა არ მოუკლია მათთვის და მათი მონაგარისთვის. ნანუს მამა - თომა, სამეგრელოდან თითქმის ყრმა ჩამოუყვანიათ და ორბელიანების კუთვნილ კოჯრის მამულში გაზრდილა. იგი საკმაოდ გვიან დაოჯახებულა და მალევე დაქვრივებულა. გადმოცემით, თომა ორბელიანებს თავის კარზე მოურავად დაუყენებიათ და კოჯრის მამული ჩაუბარებიათ. მისი მოთავეობით გაშენებულა და გამშვენებულა იმჟამად გახრიოკებული უძოს მონასტრის მიმდებარე კოჯრის ტყე. თომა გვარიანად შეძლებული კაცი ყოფილა და ღრმა მოხუცებულობამდე, 114 წლამდე უცხოვრია. თომას დიდი ქონებიდან ბოლშევიკებს გადაურჩა XIX საუკუნის მიწურულის სახლი, რომელიც მის ეზოში დღემდე დგას და სურმავების შთამომავლების აგარაკადაა ქცეული.



რეზო იაშვილი ბავშვობისას
Rezo Iashvili in childhood.

რეზო იაშვილის ბავშვობამ მთაწმინდის კალთაზე აღმართულ სამსართულიან ძველ სახლში, თბილ და ალერსიან ოჯახურ გარემოში გაირბინა. იმ პატარა მყუდრო, მაგრამ ხალხმრავალ ქუჩას

მაშინ სასამართლოს სახელი ერქვა. ვახტანგ ბერიძე, რომელიც მეზობლად ცხოვრობდა, თავის მოგონებებში სახლების „შინაურულ“ ინტიმურ ხასიათზე და ქუჩის გასწვრივ დარგული ცაცხვების სილამაზეზე საუბრობდა: „აპრილიდან გვიან შემოდგომამდე იქაურობა ხშირი ფოთლებით არის დაბურული და როცა ცაცხვები ყვავის - გამაბრუებელი სურნელებაა“...[1] ქუჩაზე უმეტესად ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. ყველას თუ არა, ზოგიერთს მაინც მოვიხსენიებთ: ვექილ დავით კვირკველიას, ინჟინერ გრიგოლ ჩხეიძეს, ცნობილი მსახიობის



სასამართლოს ქუჩის აღმართი
The Court Street.

1. ვ. ბერიძე, მოგონებები, მემუარული ლიტერატურა, თბილისი, 1987 წ., გვ. 17

უშანგი ჩხეიძის, კინორეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის ოჯახებს, ჯორჯაძეების და თამარ აბაკელიას მამის, ჟურნალისტი პავლე დადვაძის ოჯახებს. ეს უკანასკნელი „ზარია ვოსტოკაში“ დიდხანს თანამშრომლობდა, და ერთ დროს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორად იყო.[2]



რეზო იაშვილის ეზო სასამართლოს ქუჩაზე. პირველ რიგში მარცხნივ, რეზო იაშვილი, მეორე მხარეს მისი ბიძაშვილი, რეჟისორი კონსტანტინე (კოტე) სურმავა. მესამე რიგში მარცხნიდან მეორე, მხატვარი და ხელოვნებათმცოდნე ნანა კიკნაძე.1939 წ., ფოტო ნაუმისა.

Rezo Iashvilis' yard on the Court Street. In the first row at the left: Rezo Iashvili, on the other side: his cousin, the film director Constantine (Kote) Surmava; standing, second from the left in the third row: the artist and art critic Nana Kiknadze, 1939.

რეზო მე-18 საშუალო სკოლაში, პლეხანოვზე სწავლობდა. ალბათ, იმიტომ, რომ მამას სამსახური იქითკენ ჰქონდა და შვილიც თან მიჰყავდა. ის მეტად მოუსვენარი ბავშვი ყოფილა. მერაბ კოკოჩაშვილი იგონებს: „ბავშვობაში არ მეგონა ჩვენს სახლზე დიდი სახლი და ეზო თუ არსებობდა თბილისში. დავქროდით ამ სამსართულიანი სახლის დერეფნებში, ბინიდან ბინაში, რომელთა კარებებიც არ იკეტებოდა... ბნელი სარდაფიც ჩვენი სამფლობელო იყო და მტვრიანი სხვენიც და ამ ქროლვისა და დაუსრულებელი ინტერესით სავსე თამაშის მოთავე იყო რევაზ იაშვილი, მე კი ასაკით უმცროსი, მასზე მიწებებული თანამგზავრი. ასე ვიზრდებოდით იქამდე, სანამ ერთ მშვენიერ დღეს არ შევაღე მისი ბინის კარი, ის კი დამხვდა თაბაშირის ფილით ხელში, რომელზეც ლამაზ ქართულ ორნამენტს ჭრიდა.. ეს იყო და ეს, მას შემდეგ რევაზს ფანქარი, ფუნჯი და საჭრეთელი ხელიდან არ გაუგდია“.[3]

2. ვ.ბერიძე, მოგონებები, გვ.18

3. მ.კოკოჩაშვილი, ფიროსმანის ოცნება შენ აასრულე, რევაზ იაშვილის ალბომი, შემდგ. ბ.მალაზონია, 2007 წ., გვ.16



ლექცია კერამიკის ფაკულტეტის აუდიტორიაში. მარჯვენა კუთხეში რევაზ იაშვილი, გულნარა გოგიჩაიშვილი, შოთა ციციშვილი, წინა პლანზე მერი ჯალაღანია, მის უკან მიშა ბერიაშვილი, კუკური ბარამიძე, ბორის ნონიკაშვილი და სხვანი. თსსა, 1950-იანი წლები

Lecture at the Ceramic Faculty auditorium. In the right corner Revaz Iashvili, Gulnara Gogichaishvili, Shota Tsitsishvili, in the foreground Mary Jalagania, behind her Misha Beriashvili, Kukuri Baramidze, Boris Nonikashvili and others. Tbilisi Academy of Arts. 1950.



„თანამედროვე კერამიკა მოგვევლინა ორი საკმაოდ დიდი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მხატვრული ფორმით - გამოყენებითი და მონუმენტური, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მისი აღქმა“



სტუდენტობის პერიოდი, მარჯვნივ - რევაზ იაშვილი, მის  გვერდით ალდე კაკაბაძე.
ბაკურიანი, 1952 წ.

Student period,  at the right Rezo Iashvili, next: Alde Kakabadze. Bakuriani, 1952.

# სტუდენტობა



აკადემიაში სწავლის პერიოდს თავგადასავლების გარეშე არ ჩაუვლია. 1947 წელს, კერამიკის ფაკულტეტზე ჩაბარების შემდეგ რეზო იაშვილი ბოჰემური ცხოვრებით ცხოვრობდა და ლექციებსაც ხშირად აცდენდა. ჭარმაგობაში ხუმრობით იხსენებდა სტუდენტობის დროინდელ ამბებს. ყვებოდა, რომ „დარდიმანდი ბიჭი იყო", მეტისმეტად ენერგიული და არას დაგიდევდათ, რას მოუტანდა თავისი საქციელი. მაშინ აკადემიაში სწავლა ექვსი წელი იყო. მისი დირექტორი მამია დუდუჩავა განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა დისციპლინის დამრღვევთა მიმართ... მით უფრო, რომ საქმე ლექციებზე დასწრებას შეეხებოდა. ამიტომ რ.იაშვილი აკადემიიდან გარიცხვას ვერ გადაარჩინა საშემოდგომო სასწავლო გამოფენაზე მიღებულმა III პრემიამ, რითაც აღინიშნა მისი მეორე კურსის ნამუშევარი, ფაიფურის ორი ფინჯანი მოხატული ვაზის მოტივებით.[4] მას მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მისცეს უფლება, რომ გაეგრძელებინა სწავლა.

„მწარე გამოცდილებამაც" ვერ დააოკა რეზო იაშვილის მოჭარბებული ენერგია და ცოცხალი ბუნება. მას არც ის თვისება შეუცვლია, ცნობისმოყვარეობით აღვსილი ჯიქურ რომ მიადგებოდა თავისი დაინტერესების საგანს. მაშინაც და მერეც, საუბრისას ჩანახატებს აკეთებდა ჩვეულებისამებრ მარცხენა ხელით, ის ხომ ცაცია იყო. თავის თავზე ოხუნჯობდა „მიქელანჯელო ვარო". ხატავდა ყველაფერზე, რაც წინ ედო: ფურცელზე, გაზეთ-



4. კერამიკის კათედრის ოქმი N3, 1950 წ., 3.XI. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყ., ფ.87 ა.1 საქმე N336

ქართული ზღაპარი, ფაიფური, ჭ., ზ., მოხატვა, 1953 წ., კონაკოვო, სემ. ხელ. მუზეუმის ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების ფონდი N213, ექსპონატი N11, 62 X 25 სმ.

Georgian fairy tale, porcelain, overglaze painting, 1953, Konakovo, GNM, Museum of Fine Arts, Foundation of Sculpture and Applied Arts N213, exhibit N11, 62 X 25 cm.





თასი, მოხატული ვაჟას მოთხრობის მიხედვით, ფაიფური, ჭ., 1950 წ., 25 X 18 სმ., ორი ხედი

The bowl, the decor is based on Vazha-Pshavela's story, porcelain, glaze, 1950, 25 X 18 cm, different view.



ფინჯანი, ლამბაქი, ფაიფური, ჭ., ოქრო, 1952 წ., 5 X 8,5 სმ., D-14 სმ.

Cup, saucer, porcelain, glaze, gold, 1952, 5 X 8,5 cm., D - 14 cm.



ზე, გადმობრუნებულ ფოტოზე. აკეთებდა მხოლოდ მისთვის გასაგები გამოსახულებებისა და კომპოზიციების ნახატებს. იუმორი რომ არაჩვეულებრივად მოსდგამდა. ეს კარგად ჩანს სტუდენტური პერიოდის გრაფიკული ჩანახატების სერიაში,[5] რომელიც ჯერ კიდევ პირველ კურსელს საზაფხულო პრაქტიკაზე მატარებელში მგზავრობისას გაუკეთებია. მათი დათვალიერებისას გხიბლავს თბილი, იუმორით აღსავსე, ცოცხლად დაჭერილი პატარ-პატარა სცენები სასაცილო პერსონაჟებით. ცალკეული ეპიზოდი მას „გახმოვანებულიც" აქვს.

უცნაურია, მაგრამ სწორედ საზაფხულო პრაქტიკის დროს „ეწვეოდა" რეზო იაშვილს „მუზა". ალბათ იმიტომ, რომ თბილისური ბოჰემა აქ თავის მორევში ვეღარ ითრევდა. სწორედ საზაფხულო პრაქტიკაზე, 1953 წელს, კონაკოვოს ფაიანსის ქარხანაში (ტვერის ოლქი, რუსეთი) შესრულდა მისი პირველი, მოზრდილი, 62 სმ-იანი სიმაღლის ფაიფურის სკულპტურული კომპოზიცია. იგი განასახიერებს ფანტასტიკურ ფრინველთან მებრძოლ, ნაციონალური ტანსაცმლით შემოსილ გმირს. სცენა იმდენად იზიდავდა მნახველს თავისი საოცარი დინამიკითა და ფერადი ჭიქურების ბზინვარებით, რომ პლასტიკური კომპოზიცია უყოყმანოდ შეიძინა საქართველოს ხელოვნების მუზეუმმა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სტუდენტის ნახელავი იყო.

იმ წლებში, კერამიკის კათედრაზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ყველა თაობა. უხუცეს პედაგოგებად ითვლებოდნენ პროფესიით ტექნო-

5. ხელოვნებათმცოდე და კერამიკოსის, ნანა კიკნაძის კოლექციიდან



. ნადირობა, რელიეფი, ფაიფური, 1950 წ., 38 X 18,5 სმ.
Hunting, relief, porcelain, 1950, 38 X 18,5 cm.



ქართული ზღაპარი, თეფში, ფაიფური, ჭ., ოქრო,
1953 წ., D-20 სმ.
Georgian fairy tale, plate, porcelain, glaze, gold, 1953, D - 20 cm.

გენერალი ბაგრატიონი, თეფში, ფაიფური, ჭ.,
1953 წ., D-20 სმ.
General Bagrationi, plate, porcelain, glaze, 1953,
D-20 cm.



მატარებელში, გრაფიკული სერია, 5 ფურცელი, კალამი, 1949 წ. 30 აგვისტო, 8 X 11 სმ.

In the train. Graphic series, 5 papers, pen, 1949, 30 August, 8 X 11cm.

ლოგები: კათედრის გამგე ალექსანდრე ფიცხელაური და მიხეილ ხანანაშვილი, გამოყენებითი ხელოვნების ფართო პროფილის სპეციალისტი - დავით ციციშვილი. თეორეტიკოსი და კერამიკოსი ზაქარია (ზაქრო) მაისურაძე საშუალო თაობას წარმოადგენდა. კათედრაზე მსახურობდნენ ახალგაზრდა ასისტენტ-პედაგოგები - ნიკოლოზ გომელაური და სულხან სულხანიშვილი, ლაბორანტი - ეკატერინე ბაბლიძე. კათედრას ჰყავდა ასპირანტი - გიორგი ქართველიშვილი. შოთა მიქატაძეს და გიორგი სესიაშვილს ქანდაკების კურსი მიჰყავდათ. ამ უკანასკნელს ხატვის სწავლებაც ევალებოდა. აკვარელის ლექციებსა და კერამიკულ მასალაში მუშაობას ბორის შებუევი ხელმძღვანელობდა. კერამიკის ფაკულტეტზე იმ დროს აკვარელს დავით წერეთელიც ასწავლიდა. ეს ცნობილი სპეციალისტები რეზო იაშვილის პედაგოგები იყვნენ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კურსზე.

1950-იან წლებში, რეზო იაშვილის სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში, თითქმის უკვე ათვისებულია კერამიკული მასალების რესურსები. პედაგოგებს დაწყებული აქვთ ძიებები დაკარგული ტრადიციების ასაღორძინებლად. მხატვრული კერამიკის ტექნოლოგიის საკითხების დასამუშავებლად კათედრასთან აღდგენილია მეორე მსოფლიო ომის დროს დახურული ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია.[6] სასწავლო პროცესში ინერგება კულტურული მემკვიდრეობიდან ცნობილი დეკორის სახეობების, მათი



ლამბაქები, ფაიფური, ჭ., ოქრო, 1950-იანი წლები, 5 X 8,5 სმ., D-15 სმ.

Saucer, porcelain, glaze, gold, 1950's., 5 X 8,5 cm., D-15 cm.

6. კერამიკის კათედრის სხდომის ოქმი N3, 1955 წ., 20.X, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყ., ფ.87 ა.1 საქმე N449.



22

პალიტრა ჭიქურზედა მოხატვისთვის.
The overglaze paint  palette.



ესკიზი, ხევსურული ორნამენტის მოტივი, ქაღალდი, გუაში, 1950-იანი წლები
Sketch, Khevsurian Ornament motives, paper, gouache, 1950's.

შესრულების სხვადასხვა ხერხებისა და მეთოდების გამოყენება. ზოგჯერ ყველა ეს ერთად აღებული ერთ ნაწარმოებში იყრიდა თავს და მეტად ეკლექტურ სურათს ქმნიდა. მასალაში მუშაობისას უპირატესობა ენიჭებოდა ფაიფურსა და ქაშანურს, რომლის ტექნოლოგიის დამუშავება წითელი თიხით მდიდარ საქართველოში მთელ რიგ სიძნელეებს წააწყდა. სირთულეს იწვევდა ფაიფურ-ქაშანურის მასალებით ეროვნული ხასიათის ნაკეთობის შექმნაც.

ასეთი რეალობის წინაშე აღმოჩნდა რეზო იაშვილი, რომელიც ისევე, როგორც ყველა, ფაიფურ-ქაშანურის ნაკეთობებზე იწყებს მუშაობას და სერიოზული მიღწევები აქვს. სტუდენტობის ხანაში იქმნება მისი შრომისა და ნადირობის ამსახველი აკადემიურად შესრულებული ფაიფურის რელიეფები,[7] რაშიც რ.იაშვილის პლასტიკური ძერწვის უნარი გამოსჭვივის.

ჭიქა, ხევსურები, ფაიფური, ჭ. ზ. მოხატვა, ოქრო, 1950 წ.,10 X 7 სმ., სხვადასხვა ხედი
Cup, Khevsurs, porcelain, overglaze paint, gold, 1950's., 10 X 7 cm., Different views.



7. რელიეფები შესრულდა საქართველოს გასაბჭოების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, 1950 წელს



მარჯვნიდან: რევაზ იაშვილი, მარცხნიდან: ალდე კაკაბაძის ბებია, მხატვარ ალექსანდრე მრევლიშვილის მეუღლე - პელაგია (პელო) ავალიშვილი, ალდე კაკაბაძე და ალდეს დედა - პოეტი მაყვალა მრევლიშვილი, 1954 წ.

From the right: Revaz Iashvili, from the left:– Alde Kakabadze's grandmother, the artist Alexander Mrevlishvili's wife, Pelagia (Pelo) Avalishvili, Alde Kakabadze and her mother, the poetess Makvala Mrevlishvili, 1954.



[illegible]
1954 [illegible]







თავისი უშუალო ემოციით გიზიდავს თხელი დინამიკური ნახატით, ნაზი, ზომიერი ფერებით მოხატული ეროვნული ორნამენტი და ფოლკლორიდან აღებული რეალისტურად გადმოცემული სცენები. ეს კომპოზიციები ამკობს ოქროთი მოვარაყებულ ფაიფურის ჭურჭელს: ფინჯნებს, ლამბაქებს, თეფშებსა და თასებს. კონაკოვოში შესრულებულმა დიდი ზომის ფაიფურის პლასტიკურმა კომპოზიციამ პირველად გამოავლინა რეზო იაშვილის სივრცობრივი ხედვა. თუმცა ყველაზე სრულფასოვნად გარემოს მასშტაბურად აღქმის უნარი წარმოჩნდა მხატვრის სადიპლომო ნაშრომში.

1950-იან წლებში და უფრო ადრეც, კერამიკის კათედრა თვითონ სთავაზობდა სტუდენტებს სადიპლომო თემებს, რომელიც იმ დროისთვის აქტუალურად მიაჩნდა. უტილიტარულ კერამიკაში ასეთად ითვლებოდა საღვინე, თუ სხვა ალკოჰოლური სასმელებისთვის გათვალისწინებული ჭურჭელი, აგრეთვე სახილე ლარნაკი. მონუმენტურ კერამიკაში სტუდენტს მეტი არჩევანი ჰქონდა. ამ რიგის სადიპლომო თემების ჩამონათვალშია ფაიფურ-ქაშანურის მასალაში შესასრულებლად განკუთვნილი ჭაღი, სანათი, დიდი პარადული ლარნაკი, რელიეფური პანო, პირსაბანი, კედლის














ესკიზები, .ქაღალდი, გუაში, კალამი,
1950-იანი წლები

Sketches, paper, gouache, pen, 1950’s.







ესკიზები, .ქაღალდი, გუაში, კალამი,
1950-იანი წლები
Sketches, paper, gouache, pen,1950’s.









ღუმელი, ბაღში დასადგმელი წყლის სასმელი კოლონა. ამ უკანასკნელის გაკეთება დაშვებული იყო საკლინკერე თიხითაც.[8] ტერაკოტის[9] მასალაში სადიპლომო ნამუშევრის შესაქმნელად სტუდენტს სთავაზობდნენ კედლის დეკორატიულ რელიეფურ პანოს, რომელიც შეიძლება მოხატულიყო.

რევაზ იაშვილის ხელმძღვანელად ზაქრო მაისურაძე დაინიშნა. სწორედ, მისი წინადადებით შეირჩა სადიპლომო თემად სასმელი წყლის კოლონა, რომელიც მასალაში ნახევრადფაიფურის მასით უნდა შესრულებულიყო.[10] ზ.მაისურაძე ითხოვდა, რომ რ.იაშვილი ნამუშევრის გასაკეთებლად კუჩინოს კერამიკულ კომბინატში (მოსკოვის ოლქი) გაეგზავნათ, სადაც მას დიპლომის რეალიზაციისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები ექნებოდა... მაგრამ, კათედრას ამ სამუშაოებისთვის გამოყოფილი ჰქონდა თბილისის კერამიკული კომბინატი, სადაც ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე რ.იაშვილიც გაამწესეს.



8. საკლინკერე თიხა - მაღალი ტემპერატურის თიხა, რომელიც გამოწვის შემდეგ მინისებურ ხასიათს ღებულობს და სითხეს არ ატარებს

9. ტერაკოტა - გამომწვარი თიხა, მოუხატავი

10. ნახევრადფაიფური - მაღალტემპერატურიანი კერამიკული მასალაა, რომელიც იკავებს შუალედურ რგოლს ფაიფურსა და ქაშანურს (ფაიანსს) შორის



სადიპლომო ნამუშევარი, სასმელი წყლის სვეტი, ნახევრადფაიფური, 1955 წ., h = 4,5 მ., ფრაგმენტები.
პლასტელინის მოდელი

The diploma work, drinking water column, semi-porcelain, 1955, h = 4,5 m, fragments. plasticin model.



ქართული ჩუქურთმის აჟურული პერანგით შემოსილმა სასმელი წყლის კოლონამ, ფაიფურის მასალისთვის უჩვეულო მონუმენტურობით საზოგადოების ცხოველი ყურადღება მიიპყრო. 4,5 მეტრი სიმაღლის არქიტექტურული ფორმა ზემოდან დააგვირგვინა სფეროზე შემომჯდარმა ფრთაგაშლილი არწივის მძლავრმა ქანდაკებამ. რაციონალურად გათვლილი კონსტრუქციებით და სწორად შერჩეული პროპორციებით, წყაროს შემადგენელი ნაწილების ორგანული მთლიანობა და ტექტონიკურობაა მიღწეული. ვერტიკალურ მახვილზე დადგმულ სფეროსა და მოძრაობაში გადმოცემულ ფრინველის ქანდაკებას დინამიკური ეფექტი შეაქვს კოლონის ერთგვარად მკაცრ სახეში. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს სვეტის სხეულზე ფაქიზად ნაძერწი რელიეფური ორნამენტის ნაზად მოვარაყებული მსუბუქი ხვეულები, რომელიც არ იწვევს გადატვირთულობის განცდას, არამედ პირიქით, ბუნებრივად ერწყმის სვეტის მასიურ ტანს. ჯერ კიდევ გამოუცდელი მხატვარი ეროვნული არქიტექტურისა და პლასტიკის ელემენტებს ტრანსფორმირებული, გადამუშავებული სახით იყენებს და ამ გზით, კერამიკული ფორმის აღნაგობას სიმყარეს, სიმტკიცეს მატებს. ამავე დროს, წარმოაჩენს სივრცეში ნამუშევრის ბუნებრივად დამკვიდრებისა და მონუმენტურ-დეკორატიული კერამიკის პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობებს. საგამოცდო კომისიამ რ.იაშვილის დიპლომს უმაღლესი შეფასება მისცა.





პალიტრა ჭიქურზედა მოხატვისთვის

The overglaze paint  palette.











ესკიზები - მონადირე, გველეშაპი, ქაღალდი, გუაში, კალამი, 1950-იანი წლები

Sketches, Hunter, Dragon, paper, gouache, pen, 1950’s.



„არ არის მართებული ტრადიციების აბსოლუტირება,
ასევე მცდარია მათი უარყოფაც. თანამედროვე ეროვნული
მხატვრული ნაწარმოები არც კოსმოპოლიტური უნდა იყოს
და არც ვიწროდ ნაციონალური“[11]

# შემოქმედებითი ჰორიზონტები, ძიებები და ტრიუმფი



რევაზ იაშვილი, 1955 წ.
Revaz Iashvili, 1955.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ რ.იაშვილმა თბილისის კერამიკული კომბინატის ნაცნობ გარემოს მიაშურა და პირველად იქ დაიწყო მხატვრად მუშაობა. კომბინატის მესვეურთა ყურადღების მიღმა არ დარჩენილა დამწყები სპეციალისტის საქმისადმი ერთგულება და მიზანმიმართული დამოკიდებულება. იმავე წელს მათი რეკომენდაციით რ.იაშვილს სოღანლუღის კერამიკულ ქარხანაშიც სთავაზობენ მთავარი მხატვრის ადგილს. ამასობაში იგი ოჯახს მოეკიდა და მალე ვაჟიშვილიც შეეძინა. ცნობილი ფერმწერი თემო გოცაძე ახლადშეუღლებულ წყვილთან, ალდე კაკაბაძესა და რეზო იაშვილთან ერთად ბაკურიანში გატარებულ დღეებს ასე იხსენებს: „ისინი ისევე უხდებოდნენ ბუნებას, როგორც მთები, ხეები, ველები, ცა და საერთოდ ყველაფერი სამყაროში“.[12]



რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, ბაკურიანი, 1955 წ., აგვისტო

Revaz Iashvili, Alde Kakabadze, Bakuriani, August 1955.

11. რ. იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების საქმეში და მისი მომავალი ამოცანები, ნაბეჭდი წერილი, 1976 წ., გვ.13

12. თ. გოცაძე, მაგალითი მსახურებისა, რევაზ იაშვილის ალბომი, გვ. 22



[illegible] 1955 წ.








რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, დავით ციციშვილი, ლიკანი, 1955 წ., აგვისტო
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, David Tsitsishvili, Likani, August 1955.

რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, დავით ციციშვილი, ლიკანი, 1955 წ., აგვისტო
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, David Tsitsishvili, Likani, August 1955.

რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე ბეწვის ხიდზე, ბაკურიანი, 1955 წ., აგვისტო
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, on the bridge, Bakuriani, August 1955.



ვახტანგ გორგასალი, ტერაკოტა, 1959 წ., 40 X 13 სმ.

Vakhtang Gorgasali, terracotta, 1959, 40 X 13 cm.

თბილისის კერამიკული კომბინატი ძირითადად ფაიფურის ნაკეთობებს უშვებდა. რ.იაშვილმაც ძალაუნებურად ამ მასალაში გააგრძელა მუშაობა. უკვე დამოუკიდებელი მხატვარი კვლავინდებურად, რეალისტურად გადმოსცემს იგივე თემატიკის ნამუშევრებს, მაგრამ უფრო მაღალ გამომსახველობით და საშემსრულებლო დონეს აღწევს. ამის დასტურია, 1958 წელს, თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონკურსზე პრემიებით აღნიშნული რ.იაშვილის ორი ნამუშევარი; აბესალომისა და ვახტანგ გორგასლის ფაიფურის ქანდაკება. ერთი წლით ადრე, გივი ყანდარელთან ერთად ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ინტერიერისთვის „აბესალომისა და ეთერის" თემაზე ჭიქურზედა საღებავებით მოხატულ ფაიფურის პანოს ასრულებს. ეს არის მისი ერთგვარი ცდა, რომ კვლავ დაუბრუნდეს მონუმენტური კერამიკის სფეროს... თუმცა ამჯერად, არა სკულპტურის, არამედ „კედლის მხატვრობის" სახით, რაც ფერისა და ნახატის მრავალფეროვანი ეფექტების მისაღებად სპეციალური ტექნოლოგიური მეთოდის შემუშავებას ითხოვს. რ.იაშვილს ალბათ ამ დროს ებადება სურვილი, რომ ყველას აჩვენოს კერამიკულ მასალათა ამოუწურავი მხატვრული შესაძლებლობები, რომელსაც „სახვითი ნაწარმოების" შექმნის უნარი აქვს.

კედლის მხატვრობის სპეციფიკური ტექნიკის შესატყვისი ეფექტების მისაღებად, ნახევრადფაიფურის მასა ჭიქურზედა საღებავებით იხატება, რომლის თხელი ფენები რბილად გადაედინება ერთმანეთში და პანოს ერთიან ზედაპირს წარმოქმნის. პრიალა მინანქარზე არეკლილი სი-











დეკორატიული პანო, აბესალომი და ეთერი, ფაიფური, ჭ., ზ., მოხატვა, 1957 წ., 60  X 105 სმ., ფრაგმენტები, საარბრუკენი, გერმანია. თანაავტორი - გივი ყანდარელი

Decorative panel of tiles, Abesalom and Eter, porcelain, overglazed paints,1957, 60 X 105 cm., fragments, Saarbrücken, Germany. Co-author Givi Kandareli.



რევაზ იაშვილი მესხეთ-ჯავახეთში, ტარიელ ჩუბინაშვილის არქეოლოგიური ექსპედიცია, სოფელი უდე, 1957 წ., ზაფხული
Revaz Iashvili  in Meskhet-Javakheti (south Georgia), Tariel Chubinashvili's archaeological expedition, village Ude, 1957, Summer.



ნათლის ლივლივა ეფექტები დეკორატიულად აჟღერებს ნატიფი ნახატისა და ფერწერული ნიუანსების ფაქიზ გადასვლებს, რაც კერამიკული პანოს ფაქტურულ-ფერადოვან სიმდიდრეს წარმოაჩენს და კედლის მხატვრობისგან განსხვავებულ ელფერს სძენს. აქედან უნდა იღებდეს დასაბამს რ.იაშვილის ტექნოლოგიური ძიებებით გატაცება, რომლისადმი ინტერესს მას მუდმივად უღვივებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების ძველი უცნობი ტექნიკები.

ახალგაზრდულმა ბუნებამ თავისი გაიტანა და კერამიკოსს ქარხნის ცხოვრების მონოტონური რიტმიდან, მისი კედლებიდან გარეთ გამოღწევა სურს. იმ დროს გამოქვეყნებულმა სამეცნიერო შრომებმა, რაშიც განიხილებოდა გათხრების შედეგად მოპოვებული სადა და მოხდენილი თიხის უძველესი ნიმუშები, რ.იაშვილს გაუჩინა სურვილი, რომ ახლოს გაცნობოდა წინაპრების ნახელავებს, უშუალო შეხება ჰქონოდა მათთან. ამიტომ მისთვის მიმზიდველი ხდება არქეოლოგიურ ექსპედიციებთან ერთად მოგზაურობა და გათხრებზე მოპოვებულ არტეფაქტებზე მუშაობა. 1956-1958 წლებში იგი ა.ჯავახიშვილის, ს.კალანდაძისა და ტ.ჩუბინაშვილის არქეოლოგიური ექსპედიციების მხატვარია და მათთან ერთად მოივლის ჯერ მცხეთის, შემდეგ მესხეთ-ჯავახეთის და ურბნისის მიდამოებს. ახალგაზრდა მხატვარი გულისყურით ეცნობა იმ ადგილებში აღმოჩენილ შავი და რუხი ფერის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომლის ზედაპირის ლითონისებური თავისთავადობა ძლიერ შემოქმედებით იმპულსებს



ზოომორფული სასმისი - ირემი, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1959 წ., 23 x 8 x 7 სმ.

Zoomorphic vessel - Deer, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1959, 23 x 8 x 7 cm.

აძლევს კერამიკოსს. რ.იაშვილი მიზნად ისახავს, რომ თავადაც შექმნას ასეთი ნაკეთობები, რომელსაც ქაშანურისა და ფაიფურისგან ნამზადი საგნების საპირისპირო ეფექტი აქვს.

შავი კერამიკის „მიღების" უშედეგო ცდების შესახებ მას ადრე სმენოდა თავისი დიპლომის ხელმძღვანელისგან, ზაქარია (ზაქრო) მაისურაძისაგან. მან შებოლვის ტექნიკა არქეოლოგიური მასალის საფუძველზე სამეცნიერო ნაშრომშიც განიხილა. მიუხედავად ამისა, ექსპედიციიდან დაბრუნებული რეზო იაშვილი გათხრებზე ნანახით იმდენად აღფრთოვანებული და როგორც თავად ამბობდა „ანთებულია", რომ გადაწყვეტილება მიიღო, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეძიებინა დაკარგული ტექნიკა.

რ.იაშვილს მიზნის მიღწევაში დიდად დაეხმარა 1958 წლიდან მუშაობის დაწყება სამხატვრო აკადემიაში, კერამიკის სახელოსნოს ბაზაზე ჩამოყალიბებულ სასწავლო-ექსპერიმენტულ სახელოსნოში, რომელიც გაიხსნა მისი იმჟამინდელი დირექტორის, სერგო ქობულაძის ინიციატივით 1957 წელს[13]. იმ დროს, სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა პირს სამეცნიერო თემაზე ნაშრომის შექმნა ევალებოდა. კვლევა-ძიება ითვალისწინებდა პრაქტიკულ სამუშაოებსაც. იმისთვის, რომ დაკარგული ტექნიკის აღდგენის ცდებს სამეცნიერო საფუძველი ჰქონოდა, რ.იაშვილი დასამუშავებლად იღებს თემას: „ძიებანი ქართული კერამიკის დეკორირებისა და ტექნიკის გამდიდრების შესახებ".[14]

13. 1956 წელს, ამ მიზნით, სმხატვრო აკადემიის კერამიკულ სახელოსნოს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. Инст. Гипрогорстрой, Общая пояснительная записка, 1956 г. სეა უიცა ტექნიკ. განყ., საქმე N 2793

14. რ. იაშვილი, სამეცნიერო თემა, ძიებანი ქართული კერამიკის დეკორირებისა და ტექნიკის გამდიდრების შესახებ, კერამიკის კათედრის სხდომის ოქმი N5, 1958 წ., 31.XII, სეა უიცა ხელ. და ლიტ., განყ., ფ.87 ა.1 საქმე N523.



კერამიკის ფაკულტეტის სტუდენტები; მარცხნიდან რევაზ იაშვილი, პედაგოგი ნიკოლოზ გომელაური,  წინ ელია რემენიუკი, მარჯვნიდან კუკური ბარამიძე,  თსსა, 1950-იანი წლები

Ceramics Faculty students; from the left: Revaz Iashvili, the teacher Nikoloz Gomelauri, Elya Remenyuk; from the right: Kukuri Baramidze, Tbilisi Academy of Arts, 1950's.



დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა

იაშვილი რევაზ იოსების-ძე დაბადებული 1929 წელს, კომკავში-
რელი, მსახურობს თბილისის სამხატვრო აკადემიაში სასწავლო-ექსპე-
რიმენტალური კერამიკული სახელოსნოს მხატვარ-კერამიკოსის თანამ-
დებობაზე 1958 წლიდან დღემდე.

იაშვილმა დაამთავრა სამხატვრო აკადემია 1955 წელს მაღალი
შეფასებით. მისი სადიპლომო ნაწარმოები „წყლის კოლონა" შესრუ-
ლებული ნახევარ ფაიფურში, თვალსაჩინო მიღწევა იყო თავისი კომ-
პოზიციით და ტექნიკური დასრულებით. ასევე ნაყოფიერებით და ენერ-
გიულად იგი განაგრძობს მუშაობას კერამიკის დარგში და კარგი ნა-
მუშევრები შექმნა კერამიკულ ქანდაკებაში და სხვა დეკორატიულ
კერამიკის დარგში. მისი ინიციატივით აკადემიის კერამიკულ სახე-
ლოსნოში აღდგა ახალი სახის ანტიკური კერამიკის ტექნიკით საყუ-
რადღებო კერამიკული კომპოზიციები.

იაშვილმა მრავალჯერ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო მხატვ-
რულ კერამიკის გამოფენებში, სადაც კარგი შეფასება მოიპოვა.

აკადემიაში მუშაობის განმავლობაში იაშვილი ყოველგვარ და-
ვალებებს ასრულებს პირნათლად. იგი დისციპლინირებულია.

დახასიათება მიეცა საკონკურსო კომისიაში წარსადგენად.

რექტორი /პროფ. ა.ყ. ქუთათელაძე/

პარტბიუროს მდივანი /გ.მ. ყუხბაძე/

ადგილკომის თავ-რე /ლ.ა. გაჩავა/.

28/XII-1959 წ.

ექსპერიმენტების ჩასატარებლად საუკეთესო პირობას წარმოადგენდა ამავე კათედრასთან არსებული ქიმიურ-ტექნოლოგიური ლაბორატორია, სადაც კვლევებს უპირატესად კათედრის გამგე, პროფესიით ტექნოლოგი ა.ფიცხელაური აწარმოებდა. ახალბედა მხატვრისთვის კი ლაბორატორიის კარი დახურული იყო შავი კერამიკისადმი ა.ფიცხელაურის უარყოფითი დამოკიდებულების გამო.[15] ამიტომ რ.იაშვილს საიდუმლოდ უწევდა ცდების ჩატარება, რაშიც ეხმარებოდა ტექნოლოგი პელაგია (პეპელა) ვაშაკიძე.

1958 წლის გაზაფხულის პირზე, მხატვარმა შავპრიალა კერამიკის ასაღორძინებლად ინტენსიური ექსპერიმენტები წამოიწყო. ეს არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა: ცდების ჩატარება ყველას წასვლის შემდეგ, მალულად უხდებოდათ, ხშირად ღამეებსაც ათენებდნენ. ასეთმა დაუღალავმა კვლევამ რამდენიმე თვეს გასტანა. პ.ვაშაკიძის მონათხრობით, ექსპერიმენტები 700$^{0}$-დან დაიწყეს



დეკორატიული ღვინის ჭურჭელი, 1950-იანი წლების მიწურული
Decorative wine vessel, 1950's.

15. ალექსანდრე ფიცხელაური, რომელიც 1927 წლიდან კერამიკის კათედრას განაგებდა, თიხის ფერად ნაკეთობებს ანიჭებდა უპირატესობას. იგი შავად გამომწვარ ჭურჭელს „გამჭვარტლულად“ და „ანტიჰიგიენურად“ მოიხსენიებდა. კერამიკის კათედრის ღია სხდომის ოქმი N3, 1962 წ., 20.III, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყ., ფ.87 ა.1 საქმე N603



დეკორატიული ლარნაკი, ტერაკოტა,
რკინის ჟანგი, 1958 წ., 35 x 25 სმ.
Decorative vase, terracotta, iron oxide,
1958, 35 x 25 cm.

და ტემპერატურა თანდათანობით ქვემოთ ჩამოჰყავდათ. ღუმელში აწყობდნენ ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ და წითელი თიხისგან იყო ნაკეთი. ზოგჯერ დებდნენ მხოლოდ ნატეხებს. ერთხელ ასეთ ნატეხზე შავი ლაპლაპა ზედაპირი გამოვიდა, მაგრამ რ.იაშვილს ეს არ აკმაყოფილებდა. მას სურდა, თიხის კეცის რუხი და ნაცრისფერი ზედაპირებიც მიეღო.

გვიანი შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს, ლაბორატორიაში იმუშავეს და შუაღამისას დაიშალნენ. დილას, როდესაც მოვიდნენ ღუმელი დალუქული დახვდათ. მალე შეიტყვეს, რომ „საიდუმლო ცდების" ამბავი გახმაურდა და დირექტორის ყურამდე მიაღწია. გამშრალი და აღელვებული „დამნაშავეები" მოუთმენლად ელოდებოდნენ განაჩენს. პ.ვაშაკიძე ასე იხსენებს იმ დღეს: „ლაბორატორიის კარი გაიღო და ა.ფიცხელაურთან ერთად აპოლონ ქუთათელაძე შემოვიდა. მას სტუმარი შემოჰყვა, სსრ მხატვართა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ხელოვნებათმცოდნე ა.სალტიკოვი. ა.ფიცხელაურმა თავისი ხელით გახსნა ღუმელი და წამით გაირინდა. დანარჩენებმაც შიგნით ჩაიხედეს და აღფრთოვანება ვერ დამალეს, ნაკეთობები შავად ლაპლაპებდა. ყველა ერთმანეთს, და განსაკუთრებით რეზოს ულოცავდა". რ.იაშვილს სხვა მოგონებაც დარჩა ნათლად მეხსიერებაში: „როდესაც ჩემს პედაგოგს, დავით ციციშვილს ვაჩვენე შავპრიალა კერამიკის პირველი ნიმუში, მან გაკვირვებული სახით მკითხა, თუ როგორ მოვახერხე ეს?! მისი სიტყვები არასოდეს დამავიწყდება, რადგან ასეთი ავტორიტეტული პე-



ორჭინჭილა, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1959 წ., 12 x 17 სმ.

Decorative vessel, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1959, 12 x 17 cm.



სამჭინჭილა, თ., შავპრიალა, ჭ., 1967 წ., 50 x 30 x 95 სმ. სემ. ხელოვნების მუზეუმი, ქანდაკებისა და გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი N213, ექსპონატი N242

Decorative vessel, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1967, 50 x 30 x 95 cm. GNM, Museum of Fine Arts, Foundation of Sculpture and Applied Arts of Ceramics N 213, exhibit N242.

დაგოგის ნათქვამი ჩემს მიერ მიღებული შედეგის მაღალ შეფასებას წარმოადგენდა.“[16]

1959 წელს, ბელგიაში, ქალაქ ოსტენდში მოწყობილ გამოფენაზე წარმოდგენილმა რ.იაშვილის შავპრიალა კერამიკის პირველმა სამმა ნიმუშმა დიდი მოწონება და საპატიო დიპლომი დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, შებოლვის მეთოდის აღორძინების შესახებ აზრი ორად გაიყო კერამიკის ისეთ სპეციალისტებს შორისაც, რომლებიც იმ დროს დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. ასეთ დაძაბულ ვითარებაში მისი დანერგვა სათუო გახდა. რ.იაშვილი თავის წერილში მოგვითხრობს: „ერთნი ამტკიცებდნენ, რომ აზრი არა აქვს ამ ტექნოლოგიის აღდგენას, რადგან იგი ვერ მოიკიდებსო ფეხს დღევანდელ ცხოვრებაში, ხოლო მეორენი პირდაპირ ილაშქრებდნენ ამ ტექნიკის წინააღმდეგ, როგორც მეტისმეტად პრიმიტიულისა. მათ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მათი სჯეროდათ; მათ აზრს ანგარიშს უწევდნენ“[17] სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ ოქმში შემორჩენილია ა.ფიცხელაურის მიერ შებოლვის მეთოდის აღდგენის არაერთმნიშვნელოვანი შეფასება: „ახალგაზრდა მაძიებელი აზრის შედეგად გაჩნდა იგი აკადემიაში. რეზო იაშვილმა გააკეთა პირველად ეს ცდები. მას ეს ალბათ ახალი ეგონა, მაგრამ მან ახალი კი არ შექმნა, ძველი შემოიტანა.“[18]



დეკორატიული სასმისი, თ., შავპრიალა, 1959 წ., 9 x 17 x 10 სმ.
Decorative vessel, clay, black smoked, 1959, 9 x 17 x 10 cm.



ორჭინჭილა, თ., შავპრიალა, ჭ., 1959 წ., 15 x 10 სმ.
Decorative vessel, clay, black smoked, glaze, 1959, 15 x 10 cm.

16. რ.იაშვილი, რეცენზია ს.ერლამოვას წიგნზე, პირადი არქივი, 1974 წ., გვ.9. იგულისხმება ს.ერლაშოვას წიგნი: “Georgian Pottery and Chasing On Metal”

17. თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების საქმეში და მისი მომავალი ამოცანები, გვ.4

18. კერამიკის კათედრის სხდომის ოქმი N13, 1962 წ., 28.III, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყ., ფ. 87 ა.1 საქმე N603


- 3 -
ოქმი № 19
1962 წლის 28 მარტს
საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia



სამჭინჭილა, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1959 წ., 21 x13 x 9,5 სმ.
Decorative vessel, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1959, 21 x 13 x 9,5 cm.



დეკორატიული სასმისი, თ., ნაწილობრივი შებოლვა, 1959 წ., 9 x 17 x 10 სმ.
Decorative vessel, clay, partially smoked, 1959,  9 x 17 x 10 cm.





დეკორატიული სასმისი, თ., წერნაქი, ჭ., 1959 წ., 11x 9 სმ.
Decorative vessel, clay, engobe, glaze, 1959, 11 x 9 cm.



თუმცა ექსპერიმენტების მიმდინარეობისას რ.იაშვილმა მაინც შესძლო შავ-პრიალა[19] კერამიკის ახლებურად ამეტყველება. მან დეკორში შეყვანილი აღმდგენელი ჭიქურის ფერადოვანი ეფექტებითა თუ სარკესავით პრიალა ზედაპირით ნაკეთობის მკაცრ იერსახეს ადრინდელი ასკეტურობა ჩამოაცილა და საზეიმო ელფერი შესძინა.

ძველმა ტექნოლოგიამ ტრადიციული ფესვებისკენ მოაბრუნა ეს დარგი, მაგრამ მხოლოდ მისი აღორძინება როდი კმაროდა. საჭირო იყო სხვა უცნობი ტექნიკების მოძიებაც, რომლის ნიმუშები დღის სინათლეზე გამოიტანა არქეოლოგიურმა გათხრებმა და ცნობილი გახადა ეთნოგრაფიულმა მასალამ. ამიტომ რ.იაშვილი აგრძელებს კვლევებს და ძველის მსგავსად, რკინის ჟანგით ფარავს ტერაკოტის ფორმას. იგი ამ გზით წითელი თიხის ტონალობას, სიღრმესა და ინტენსივობას მატებს. ამას მოჰყვა სამხატვრო აკადემიის უკვე ფართო პროფილის ექსპერიმენტულ კერამიკულ სახელოსნოში ძველი ტექნოლოგიების აღსადგენად სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული ცდები. 1959 წელს მიღებული იქნა წერნაქის[20] ტექნიკით[21] დაფარული ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშები, მაგრამ სიახლე ისე გადაფარა შავპრიალა კერამიკის ტექნოლოგიამ, რომ სხვა ყველაფერი დავიწყებას მიეცა. შებოლვის მეთოდმა სრულიად შეცვალა ქართველი კერამიკოსების შემოქმედებითი სტილი.

19. შავ-პრიალა კერამიკას სხვაგვარად, შავ-კრიალა ტექნოლოგიასაც ეძახიან

20. წერნაქი - იგივე ანგობა (ფრანგ. Engobe), თხევადი თიხით დამზადებული თეთრი, ან ფერადი საღებავი, რომლითაც კერამიკის ზედაპირი იფარება. წერნაქი გამოიყენება როგორც ნაკეთობის გამოწვამდე, ასევე გამოწვის შემდეგაც

21. რ.იაშვილი, სამეცნიერო თემა, ანგობის საღებავებზე ტყვიიანი და უტყვიო ჭიქურების ზემოქმედება, კერამიკის კათედრის ოქმი N4, 1961 20.XII, სეა უიცა ხელ., და ლიტ., განყ., ფ.87 ა.1 საქმე N603



დეკორატიული ფიალა - ვერძი, თ., წერნაქი, ჭ., 1960 წ., D-14 სმ.
Decorative bowl - Aries, clay, engobe, glaze, 1960, D-14 cm.





რეზო იაშვილი თავის სტუდენტებთან ერთად საზაფხულო პრაქტიკაზე, მარცხნიდან ლია ბარნაბიშვილი, ირა მაკიევა-ქობალია, აპოლონ ხარებავა, დაბა კოროსტენი, უკრაინა, 1960 წ. ზაფხული

Rezo Iashvili with his students in the summer practice, from the left: Lia Barnabishvili, Ira Makieva-Kobalia, Apollon Kharebava, City Korosten, Ukraine, Summer 1960.



[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]





შავპრიალა ღვინის ჭურჭელი,
1960-იანი წლების დასაწყისი

Black smoked wine vessel,
1960's..

თუ ახლო წარსულში ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ: „ამა თუ იმ კერამიკული მასალის დამახასიათებელ თვისებებს, მასალის ხასიათის შენარჩუნებას, მის გამოვლენას, შემდგომში იგი მთელი თავისი კეთილშობილებით იწყებს ხმის ამაღლებას და მხატვრის აზროვნება მას შეგნებულად უწევს ანგარიშს“[22] - აღნიშნავს რ.იაშვილი თავის წერილში.

ნაწარმოების შესრულებისადმი ახლებური მიდგომა პირველ რიგში განაპირობა სწორედ „ისტორიულმა“ მასალამ - წითელმა თიხამ, რომელიც ფაიფურ-ქაშანურისგან განსხვავებით, თავისი გამომსახველობითა და პლასტიკური თვისებებით სისადავეს, ლაკონიურობას ამკვიდრებს. წითელი თიხით გამოძერწილი მთლიანი, დაუნაწევრებელი ფორმა და მისი ხატოვანი სილუეტი უკვე დამოუკიდებელ ესთეტიკურ ფენომენს წარმოადგენს, ხოლო მასზე დაქვემდებარებული დეკორი ფორმის თავისებურებებს ხაზს უსვამს. თუ ფაიფურ-ქაშანურის ნამუშევრები გადატვირთულია დაზგური ფერწერისა და ქანდაკების პრინციპებით გადაწყვეტილი სიუჟეტური დეკორით, ოქროს ვარაყიანი ორნამენტითა და ჩუქურთმით, თიხის ნაკეთობების შემკულობა უკიდურესად განყენებულად, სიმბოლურად გადმოსცემს იდეას და ამავე დროს დეკორატიულ ხასიათს ატარებს. იგი პირობითი, თავშეკავებული ფერადოვნებისა და მოქნილი ნახატის სინთეზირებით იქმნება და განუყოფელია ფორმისაგან. ასეთი ჰარმონიით



22. რ. იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების საქმეში და მისი მომავალი ამოცანები, გვ.4

მაღლდება და ძლიერდება ნაწარმოების მხატვრული მხარე, მისი გამომსახველობა.

1960 წლიდან რ.იაშვილი სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრაზე პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს[23] და მალევე რწმუნდება, რომ ეს სფერო არანაკლებ მნიშვნელოვანია მისთვის.

1958-1964 წლებში კერამიკოსი იმდენად გატაცებულია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლების ფორმების, მორთულობის, დეკორის მოტივებისა და შემკობის ხერხების შესწავლით,[24] რომ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ძირითადად უტილიტარული დარგით შემოიფარგლება. რ.იაშვილის ამ სფეროთი დაინტერესება უფრო მეტად განაპირობა სამეთუნეო წარმოების აღორძინების იდეამ, რომელიც ქვეყანაში პოპულარულობით სარგებლობდა მასობრივი კერამიკული ნაწარმის არასახარბიელო მდგომარეობის გამო. 1960 წელს, მრავალტირაჟიანი თიხის ნაკეთობების დონის ასამაღლებლად სამხატვრო აკადემიის რექტორმა აპოლონ ქუთათელაძემ ახლად აღდგენილი ძველი ტექნიკის, შავპრიალა კერამიკის წარმოებაში დანერგვა მოინდომა. აკადემიის სააქტო დარბაზში გამოფენილმა რ.იაშვილისა და სხვა ახალგაზრდა კერამიკოსების (გ.ქართველიშვილი, ს.სულხანიშვილი, ე.ბაბლიძე) ამ ტექნიკით შესრულებულმა ნამუშევრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოწვეულ საზოგადოებაზე.[25] იმავე წელს, მათ უფრო მეტი



ორჭინჭილა, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1959 წ., 12 x 17 სმ.

Decorative vessel, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1959, 12 x 17 cm.

23. კერამიკის კათედრაზე რ.იაშვილს მიჰყავდა საგანი -კომპოზიცია

24. რ. იაშვილი, სამეცნიერო თემა: საქართველოს მხატვრული კერამიკის შემკულობის ხერხები, კერამიკის კათედრის ოქმი N3, 1960 წ., 16.X, სეა უიცა ხელ., და ლიტ., განყ., ფ. 87 ა.1 საქმე N603

25. მხატვრების გარდა, დამსწრენი იყვნენ მეცნიერებისა და ლიტერატურის წარმომადგენლები: შალვა ამირანაშვილი, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი, ვახტანგ ბერიძე, ლევან (ლეო) რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, კარლო კალაძე, მურმან ლებანიძე და სხვანი



ზოომორფული სასმისი - ირემი, თ., შავპრიალა, ემალი, 1960 წ., 20 x 7 x 6 სმ.
Zomorphic  vessel - Deer, clay,  black smoked, enamel, 1960, 20 x 7 x 6 cm.

წარმატება ხვდათ წილად მოსკოვში, სსრ სამხატვრო აკადემიის დარბაზში მოწყობილ საჩვენებელ გამოფენაზე.

თბილისის სამხატვრო აკადემიის ამ თემასთან დაკავშირებული გაფართოებული სამეცნიერო სხდომები მიმართული იყო იქითკენ, რომ შეთანხმება მიეღწიათ ცნობილ კერამიკოსებთან, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ შავპრიალა ნაკეთობები გასული საუკუნეების სამყაროსეულ წარმოდგენებს განასახიერებდა და თავისთავად ვერ შეძლებდა, რომ გამოეხატა თანამედროვე ეპოქა. მცირე მოცულობის სასწავლო-ექსპერიმენტულ სახელოსნოში კი, ძველი კერამიკული ფორმების გათანამედროვებისკენ მიმართული მხატვრული ძიებებისთვის სათანადო პირობები არ იყო. მიუხედავად ამისა, რ.იაშვილი აქტიურად იწყებს ამ ძიებების შემოქმედებითად დამუშავებას. კერამიკოსის აზრით, ძველი ნაკეთობების თვისე-



ზოომორფული სასმისი - ხარი, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1960 წ., 21 x 15 x 5 სმ.
Zomorphic vessel - Bull, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1960, 21 x 15 x 5 cm.



ღვინის ჭურჭელი, ორმუცელა, ტერაკოტა, აღდგენითი ჭ., 1960 წ., 30 x 20 x 9 სმ.
Wine vessel, terracotta, glaze, reduction firing, 1960, 30 x 20 x 9 cm.





ორყელიანი სასმისი,  ტერაკოტა, წერნაქი, აღდგენითი ჭ., რკინის ჟანგი,1959 წ., 10 x 15 სმ.

Decorative vessel, terracotta, engobe, glaze, reduction firing, iron oxide, 1959, 10 x 15 cm.

ბები ბევრ რამეში ემთხვევა თანამედროვე ხელოვნების ესთეტიკურ კრიტერიუმებს. ისინი: „უნდა აღვიქვათ არა პასიურად, არამედ შემოქმედებითად, თანამედროვე ხელოვნების სტილის პოზიციებიდან“[26]. ამიტომ რ.იაშვილისთვის ეს ძეგლები ახალი ჩანაფიქრის, ახალი მხატვრული ინტერპრეტაციის პოტენციურად ამოუწურავ ვარიანტებს იტევს. მისი უპირველესი მიზანია, რომ ძველი ნაკეთობები თანამედროვე ეპოქის შესაბამისად ამეტყველდეს, რომ მოღწეული ნიმუშების ყველა სახეობამ ტრანსფორმაცია განიცადოს ტრადიციული ელემენტების გათავისების და არა პირდაპირი გადმოღების, გადმოტანის გზით. ამ მეთოდით იქმნება ქართული სუფრისგან განუყოფელი ქვევრი, მარანი, დოქის სახეობები - ხელადა, კოკა, ასევე კოჭობი, ქოთანი, ორშიმო, აზარფეშა, ჭინჭილა, კულა, ფიალა, ზოომორფული სასმისები და სხვა.



ღვინის დოქი, თ., შავპრიალა, ემალი, 1960 წ., 40 x 20 სმ.
Wine jug, clay, black smoked, enamel, 1960, 40 x 20 cm.



დეკორატიული სასმისი, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1959 წ., 6 x 7 სმ.
Decorative vessel, clay, black smoked, glaze, reduction firing, 1959, 6 x 7 cm.

26. რ. იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების საქმეში და მისი მომავალი ამოცანები, გვ. 2



დეკორატიული დოქი, თ., ნაწილობრივი შებოლვა,  აღდგენითი ჭ., 1965 წ.,  36 x 23 სმ. სემ. სურათების ეროვნული გალერეა. გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი  N1358

Decorative jug, clay, partially smoked, glaze, reduction firing,1965, 36 x 23 cm. GNM, The National Gallery, Foundation of Applied Arts of Ceramics, exhibit  N1358





ზოომორფული სასმისი - ირემი, თ., შავპრიალა, აღდგენითი ჭ., 1958 წ., 25 x 10 x 7 სმ.
Zomorphic  vessel - Deer, clay, black smoked,  glaze, reduction firing, 1958, 25 x10 x 7 cm.

საპარკო-დეკორატიული პლასტიკა, ხარი, შამოტი,  ნაწილობრივი შებოლვა, აღდგენითი ჭ., 1967 წ., 48 x 65 x 30 სმ., ფრაგმენტი
Decorative plastic figure for a park, Bull, fireclay, partially smoked, glaze, reduction firing, 1967, 48 x 65 x 30 cm., fragment.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ძეგლების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით იმპროვიზებული რ.იაშვილის ნახელავები ერთი შეხედვით ძალზე მოგვაგონებს ძველ ნიმუშებს. იმავდროულად, არქაული ფორმების სტილიზების გზით პირველსაწყის საგანს იმდენად შორდება, რომ მხატვრის ინდივიდუალური ხელწერის ანაბეჭდს ატარებს. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რთული კომბინაციებით წარმოდგენილი საღვინე ჭურჭლის სერიებისა და ზოომორფული სასმისების თემაზე აგებული თანამედროვე პლასტიკური სახეები. ყველას მათ, თვისობრივად ახალი ნიშანი - დეკორატიულობა გამოარჩევს, რის საფუძველზეც ნამუშევრები საექსპოზიციო ხასიათს იძენს და გარემოს, სივრცის მოსართავ ფორმებად აღიქმება. გამოსაყენებლად მოსახერხებელი საგნების მყარი კონსტრუქცია და რაციონალურად გააზრებული პროპორციები ფუნქციონალიზმისა და კონსტრუქტივიზმის თანადროულ ტენდენციებსაც აირეკლავს. შედეგმა არ დააყოვნა და 1960 წელს, მოსკოვის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე რ.იაშვილის აღმდგენელი ჭიქურის ეფექტებით აჟღერებულმა შავპრიალა კერამიკამ, ზოომორფულმა სასმისმა ირემმა ოქროს მედალი დაისაკუთრა.

რ.იაშვილის ნამუშევრები მასიურ წარმოებაშიც ინერგებოდა. ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად სამხატვრო აკადემიაში გააფართოვეს სასწავლო-ექპერიმენტული კერამიკის სახელოსნო, რომელიც ძალიან მალე ქართული მხატვრული კერამიკის ლაბორატორიად გადაიქცა. სწორედ აქ, ამ სახელოსნოში, შემოქმედებითად გადამუშავებული ძველი ნაკეთობების საფუძველზე



სამეთუნეო წარმოებისთვის საჩვენებელი ნიმუშების, ეტალონების დამზადება დაიწყო. პირველ რიგში ისინი იქმნებოდა მცხეთის კერამიკული ქარხნისთვის, რომელიც სამხატვრო აკადემიას გადმოეცა, როგორც სასწავლო საწარმოო ბაზა. რ.იაშვილისთვის იგი ნაცნობი გარემო იყო, რადგან 1955-1957 წლებში მცხეთის სამეთუნეო სკოლაშიც ასწავლიდა. ამიტომ მცხეთის მცირე საამქროს ბაზაზე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო-კერამიკული ქარხნის გამართვის შემდეგ, სამხატვრო აკადემიასთან შეთავსებით მთავარ მხატვრად დაინიშნა. რ.იაშვილი მცხეთის ქარხნისთვის საგანგებოდ ამზადებდა სამეთუნეო ეტალონებს. მათ შორის საუკეთესო - ზოომორფული სასმისი „ხარი," აღმდგენელი ჭიქურებით გაცოცხლებული შავპრიალა კერამიკა, 1962 წელს, საერთაშორისო გამოფენაზე იგზავნება პრაღაში, სადაც ვერცხლის მედლით ჯილდოვდება. რ.იაშვილის საჩვენებელი ნიმუშებით მეთუნეობას ეწეოდა საქართველოს მხატვართა ფონდის კომბინატის კერამიკის საამქრო, საბურთალოს საშენ მასალათა ქარხნის მხატვრული კერამიკის საამქრო და ა.შ.



1958-1964 წლების პერიოდში, კერამიკის დარგში განვითარებული ეროვნული ფორმის ძიებების აღმავლობაში, უდავოდ მნიშვნელოვანი იყო შავ-პრიალა ორიგინალური ტექნიკის წვლილი. მიუხედავად ამისა, რ..იაშვილი კრიტიკულად უდგება მიმდინარე პროცესებს. ერთი მხრივ აღიარებს, რომ არქაულ ტრადიციებზე დაყრდნობით თვისობრივად ახალი ფორმების შექმნის ამოცანამ საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის თანამედროვე ქართული სკოლის ჩამოყალიბებას. მეორე მხრივ, მისი

აზრით, ამ მეთოდის „გაბატონებამ“ და ეროვნული მემკვიდრეობის ათვისების ვიწრო გაგებამ ქართული მხატვრული კერამიკა ერთფეროვანი გახადა. იგი ალღოს ვეღარ უღებდა თანამედროვე



საზოგადოების მზარდ ესთეტიკურ მოთხოვნებს. კერამიკოსების ყურადღების მიღმა დარჩა ფერადი თიხების, წერნაქის[27], მაიოლიკის და მარილების ტექნიკების მხატვრული გამომსახველობა, რაც საშუალებას არ აძლევდა მათ, რომ სრულად გამოევლინათ თავისი ნიჭი და უნარი. საჭირო იყო არსებულ უკიდურესობებს შორის „ოქროს შუალედის" გამონახვა. რა უნდა გაკეთებულიყო იმისთვის,რომ თანამედროვე კერამიკის მხატვრული სახე არც კოსმოპოლიტური ყოფილიყო და არც ვიწროდ ნაციონალური?! რ.იაშვილი ფიქრობდა, რომ ნაწარმოების პროგრესული მხატვრული ფორმის შექმნა მხოლოდ თამამ და გაბედულ შემოქმედებით ფანტაზიას ძალუძდა. იქამდე მისასვლელი გზების მოძიება კი, შეუძლებელი იყო ტექნოლოგიის არსში, კერამიკული მასალების თვისებებში ღრმად წვდომის გარეშე... მასალის, ფერის, ტექნიკის სიმდიდრე და მრავალფეროვნება დიდ შესაძლებლობას აძლევდა მხატვარს შთამბეჭდავი თანამედროვე ნაწარმოების შესასრულებლად.

თუმცა რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რ.იაშვილის ჭიქურით, მაიოლიკით, ემალით, მარილებითა და ჟანგეულებით მოხატული ნაკეთობები წმინდა საექსპოზიციო ხასიათს შეიძენდა.

27. რ. იაშვილი თავის წერილში: რეცენზია ს.ერლაშოვას წიგნზე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა წერნაქის ტექნოლოგიაში ნიკოლოზ გომელაურის მიერ ჩატარებულ კვლევას და ფერთა საოცრად ჟღერადი პალიტრის შექმნას




ის მხატვრული პრობლემები, რომელმაც მომდევნო ათწლეულების უტილიტარულ კერამიკაში ცვლილებები გამოიწვია, სივრცესთან შერწყმის მისწრაფებამ აღმოაცენა. ამიერიდან რ.იაშვილის მიერ ყოფითი საგანიც გარემოს ერთ-ერთ მხატვრულ მახვილად მოიაზრება. მისი სამეტყველო ენა დეკორატიულად და ემოციურად მეტ სიმძაფრეს აღწევს. ფორმის, ფერის, ნახატის, გამომსახველობითა და მათი სინთეზური ხმოვანებით იგი გარკვეულწილად, სახვით ხელოვნებას უახლოვდება. თუმცა ამავე დროს სახვითი ხელოვნებისგან სრულიად განსხვავდება კერამიკული მასალების ფაქტურული და ფერადოვანი, დეკორატიულად ამეტყველებული ეფექტებით.

ყველა ეს სიახლე ორიგინალურად აისახება რ.იაშვილის 1970-იანი წლების ღვინის დეკორატიულ დოქებში, განსაკუთრებით, კრაკლეს[28] ტექნიკით შესრულებულ ზოომორფულ სასმისებში („ვერძი“, „მწყერი“, „ხარი“, 1972 წ.). მხატვრის საყვარელი თემის იმდროინდელი ვარიაციები საკმაოდ შორდება მკაცრი, კლასიკური იერსახის წინარეხანის ნიმუშებს. მცირე ზომის მიუხედავად, მათ მძლავრი, მონოლითური, ერთგვარად გამარტივებული, პირობითი და სქემატურად სტილიზებული პლასტიკური ფორმა აქვს. ირგვლივ კი სრულიად საპირისპირო, კრაკლეს ჭიქურის ძალზე მსუბუქი, თხელი, გრაფიკული ბადე ფარავს, რომლის აჟურული ეფექტები საზეიმო, სადღესასწაულო ელფერით ამდიდრებს ნაკეთობის დეკორატიულ სახეს. ისინი მართლაც, რომ სივრცის გამფორმებლად აღიქმებიან. ყოველი ნიმუში მხატვრის უწყვეტი ტექნოლოგიური ცდებით მიღებულ გამომსახველობით საშუალებებსა და მათ სხვადასხვა საინტერესო ასპექტს გვიჩვენებს.

---

28. კრაკლე - ტექნოლოგიური მეთოდია, რომლის დროსაც ჭიქური ბადისებურად იბზარება და მხატვრულ ეფექტებს ქმნის.





ზოომორფული სასმისი -მწყერი, თ., კრაკლეს ჭ., 1972 წ., 20 x 15 სმ.
Zomorphic  vessel - Quail, clay, crackle glaze, 1972,  20 x 15 cm.

ზოომორფული სასმისი -ვერძი, თ., კრაკლეს ჭ., 1972 წ., 12 x 6 სმ.
Zomorphic  vessel - Aries, clay, crackle glaze, 1972, 12 x 6 cm.



თუმცა რ.იაშვილი, როგორც ყოველთვის, კრიტიკულად უდგება მიმდინარე პროცესებს: „უკანასკნელ ხანებში მკვეთრად გაძლიერდა ტენდენცია წმინდა დეკორატიული გამომსახველობისადმი. გაქრა სადა, ლაკონური ფორმები, კვლავ თავი იჩინა მიდრეკილებამ ორნამენტის გართულებისადმი, მისი ენის გამდიდრებისადმი. ასეთმა მიმართულებამ საფუძველი ჩაუყარა ახალ ჟანრს - წმინდა დეკორატიულ-უნიკალური ჭურჭლისა. რასაკვირველია, ამ მიმართულებას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეც. ერთის მხრივ შეიქმნა ბრწყინვალე დეკორატიულ-უნიკალური საგამოფენო ჭურჭელი, რომელიც საინტერესო კომპოზიციითა და სილამაზით ხიბლავს მნახველს. მეორეს მხრივ, თუ სარგებლიანობისა და ტექნოლოგიის კრიტერიუმებიდან გამოვალთ, დაიკარგა მისი ფუნქციური თვისებები.“[29] კერამიკოსი განსაკუთრებით უარყოფითად აფასებს ქართული ფაიფურისა და ფაიანსის დონეს, რომელიც მისი აზრით: „დღესაც 1950-იანი წლების მდარე მხატვრული და ტექნოლოგიური ხერხებით იკვებება და თანამედროვე მხატვრული ფაიფურ-ფაიანსის ფონზე საკმაოდ უსუსურად გამოიყურება.“[30] რ.იაშვილისთვის უტილიტარული დარგი, როგორც მხატვრული კერამიკის გამოყენებითი ფორმა, რაციონალური და პრაქტიკულია ცხოვრების მიმართ, რომლის გამოვლენასაც ექვემდებარება წმინდა მხატვრული საშუალებები და ნაწარმოების შესრულების ხარისხი.

29. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების საქმეში და მისი მომავალი ამოცანები, გვ.15

30. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, ნაბეჭდი წერილი, პირადი არქივი, 1976 წ., გვ.7



„ახალი, დამოუკიდებელი
მხატვრული სახე
კერამიკაში, რომელმაც
მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი თანამედროვე
არქიტექტურაში და მონუმენტურ ფერწერასა და
მონუმენტურ-დეკორატიულ ქანდაკებასთან ერთად მის
განუყოფელ ნაწილად იქცა“



# მონუმენტური კერამიკა



რევაზ იაშვილი ჯერ კიდევ დიპლომზე და საინტერიერო დეკორატიულ პანოზე მუშაობისას აცნობიერებს მხატვრული კერამიკის გასაოცარ თვისებას - მრავალმხრივი მონაწილეობა მიიღოს არქიტექტურული სივრცის ორგანიზებაში. მხატვრის გონება და ფიქრი ამ სფეროს მაშინაც დასტრიალებდა, როდესაც გაცხოველებული ინტერესით ეძიებდა ძველი ჭურჭლის გათანამედროვების გზებს, მათი არქაული ფორმების ხატოვანი სტილიზების ხერხებს.

1960-იან წლებში მონუმენტური კერამიკა ეს-ეს არის იდგამდა ფეხს. ახალმშენებლობებმა და სივრცის გაფორმების ახალმა შესაძლებლობებმა რ.იაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრა მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებაში მუშაობის სურვილი. იგი ასე აყალიბებს ხელოვნების ამ სფეროს არსს: „მონუმენტური კერამიკა დამოუკიდებელი მხატვრული ფორმაა კერამიკაში. იგი მონუმენტური დეკორატიული ქანდაკებისა და მონუმენტური დეკორატიული ფერწერის სინთეზური ხელოვნებაა, მაგრამ მათგან განსხვავებით უფრო მრავალმხრივია, სრულიად სხვა ენაზე ამეტყველებული და ორგანულად შერწყმული არქიტექტურასთან.“[32]

სამხატვრო აკადემიაში კერამიკის კათედრაზე მონუმენტური განყოფილების ჩამოყალიბების იდეა პირველად სწორედ რ.იაშვილმა წამოაყენა 1963 წელს, მაგრამ სპეციალისტების მხრიდან,

---

31. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის როლი ქართული საბჭოთა კერამიკის განვითარების საქმეში და მისი მომავალი ამოცანები, გვ.16

32. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ. 4



უჩა ჯაფარიძის იუბილე რაჭაში. დგანან; უკან რევაზ იაშვილი, მარცხნივ ფერმწერი ვახტანგ ჯაფარიძე, მარჯვნივ მოქანდაკე მიხეილ ყიფიანი, წინა პლანზე ფერმწერი გოგი თოთიბაძე და კერამიკოსი გიორგი ქართველიშვილი, 1962 წ., ოქტომბერი

Ucha Japaridze's jubilee in Racha. Standing behind: Revaz Iashvili, at the left: the painter Vakhtang Japaridze; at the right: the sculptor Mikhail Kipiani; in front: the painter Gogi Totibadze and the ceramist  Giorgi Kartvelishvili; October, 1962.




წყაროს ესკიზი.აკვარელი, თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე

Sketch of a spring. watercolor, Co-author Architect G. Japaridze.



მისი წინადადება ნაადრევად იქნა მიჩნეული.[33] 1964 წელს საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ სხდომაზე თსსა რექტორი აპ. ქუთათელაძე ასევე გამოთქვამს მონუმენტური კერამიკის სახელოსნოს დაარსების სურვილს.[34] თუმცა ამ შემთხვევაშიც, ხელისუფლების მხარდაჭერის მიუხედავად, ტექნიკური მიზეზების გამო საკითხის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა.

მონუმენტური კერამიკისადმი მხატვრის ცხოველ ინტერესს წარმოაჩენს 1962 წელს, სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის აღებული შემოქმედებითი თემა: წყაროს მცირე არქიტექტურული ფორმის პროექტირება და მასალაში შესრულება.[35] ეს გასაკვირი არ არის, რადგან ჯერ კიდევ 1940-იანი წლების მიწურულიდან, კერამიკის კათედრის მესვეურებს, უტილიტარულზე არანაკლებ მნიშვნელოვნად მიაჩნდათ გარემოსა და არქიტექტურასთან სინთეზისკენ ორიენტირებული მოცემულობების სასწავლო პროცესში შეტანა. ასეთი იყო თავად რ.იაშვილის ღია სივრცეში დასადგმელი წყაროს ფაიფურის ფორმაც. საქართველოსთვის ტრადიციული წყაროს მოტივისადმი მისი ხელახალი მიმართვა უნდა გამოეწვია 1960-იანი წლების ახალ ტენდენციას, რომელიც უკავშირდებოდა შენობებსა, თუ ბუნებაში მოწყობილი დასასვენებელი ადგილების - მცირე არქიტექტურული ფორმების მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების ნიმუშებით გაფორმებას. რ.იაშვილი

33. რ. იაშვილი,თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ.4

34. რ. იაშვილი,თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ. 8

35. რ. იაშვილი, შემოქმედებითი თემა: წყაროს მცირე არქიტექტურული ფორმის პროექტირება და მასალაში შესრულება, კერამიკის კათედრის ოქმი N3, 1962 წ., 19.X, სეა უიცა ხელ. და ლიტ. განყ., ფ. 87 ა.1 საქმე N623



ზედაზნის მთის ქვედა წყარო, ფიქალის ქვა,
1965 წ., 50 x 130 სმ., თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე

The lower spring of Zedazeni mountain, slate stone,
1965, 50 x 130 cm., Co-author Architect G. Japaridze.



რელიეფური ფრიზი, ჯიხვები, შამოტი, ჭ., 30 x 40 სმ.

Relief frieze, Mountain goats, fireclay, glaze, 30 x 40 cm.



ახლა უფრო მეტადაა მონდომებული, მიაგნოს ისეთ მასალასა და ტექნიკას, რომელიც თანამედროვედ ააჟღერებს შემოქმედებითად გადამუშავებულ ტრადიციას. ამავე დროს, ორგანულად შეერწყმება როგორც არქიტექტურას, ასევე ლანდშაფტსაც. მხატვრის ყურადღებას ამიტომაც იპყრობს საქართველოში ნაკლებად გავრცელებული ცეცხლგამძლე მასალა - შამოტის მასა, მისი სივრცობრივ-მოცულობითი კომპოზიციის შექმნის უნარი. რ.იაშვილს განსაკუთრებით ხიბლავს შამოტის ღირსებები; მსხვილი, ცოტა არ იყოს უხეში სტრუქტურა, დაუმუშავებელ ქვასთან მიახლოებული ფაქტურა, სიმტკიცე და რაც მთავარია, წონადი, მონოლითური მოცულობებით ძერწვის შესაძლებლობა. იგი ამავე დროს, არ იფარგლება მხოლოდ შამოტით და მასთან კომბინირებისათვის სხვა ბუნებრივ და ხელოვნურ მასალებსაც ეძიებს, რათა ნაწარმოებში ფაქტურული და ფერადოვანი მრავალფეროვნება შექმნას. რ.იაშვილის შემოქმედებაში ასე ჩნდება შამოტის რელიეფებით შემკული წყაროების მცირე არქიტექტურული ფორმები ზედაზენსა და რიკოთის უღელტეხილზე.

1965 წელს, ზედაზენზე დაპროექტებული წყაროები: „ჯიხვები“ - მთის ძირში და „თებროლე“ - მთის ფერდზე, გადაწყვეტის მხრივ, ახლოსაა ერთმანეთთან. მიუხედავად იმისა, რომ არქიტექტორი გივი ჯაფარიძე სხვადასხვაგვარ გარემოში განათავსებს მათ და ყოველ მათგანს გარემომცველი პეიზაჟის შესატყვის ინდივიდუალობას ანიჭებს. ფიქალის ქვით ნაგები ქვედა წყარო ტყის პირას, მყუდრო ადგილას მდებარეობს. მისი სადა, უბრალო, სწორკუთხა





ზედაზნის მთის ზედა წყარო, სიპი ქვა, ფიქალი, 1965 წ., 50 x 500 სმ., თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე
The upper spring of Zedazeni mountain, cobblestones, slate stone, 1965, 50 x 500 cm., Co-author Architect G. Japaridze.



რელიეფური ფრიზი, მწყემსი და წიქარა, შამოტი, ჭ.,1965 წ., 25 x 300 სმ., ფრაგმენტი
Relief frieze, Herdsman and Tsikara, fireclay, glaze, 1965, 25 x 300 cm, fragment.



კონსტრუქცია პეიზაჟის ინტიმურ ხასიათში ბუნებრივად იწერება და ლირიულ-რომანტიულ განწყობას იწვევს. ფორმა, მასალა, ქართული წყაროებისთვის ტრადიციულია და სიძველის ელფერს ატარებს, რასაც ხელს უწყობს რ.იაშვილის მიერ  შესრულებული ფასადის მარჯვენა არეში ჩადგმული კერამიკული ფრიზი. ესაა შამოტნარევი თიხით დაძერწილი ფილა, რომელზეც სამი ჯიხვის სტილიზებული გამოსახულებაა აღბეჭდილი. ფილა ოდნავად არის შეჭრილი ფასადის სიღრმეში, რისი მეოხებითაც საკმაოდ მკაფიო მოჩარჩოებას იძენს და წყაროსთან მიახლოებისას იმთავითვე ხვდება მნახველს თვალში. ფილის კომპოზიცია სრულ პროფილში გადმოცემული ზოომორფული თავების განმეორებადი რიტმით იგება. გამოსახულებები საკმაოდ დაბალი, თითქმის ბრტყელი რელიეფითაა ნაძერწი და შემოსაზღვრულია ამოღარული სტილიზებული ნახატით, რომელიც ძალზე პირობით, სქემატურ და გარკვეულწილად არქიტექტურულ ფორმასთან მიახლოებულ კუთხოვანებას სძენს მათ. ფიგურები ვერცხლისფერი ჭიქურის ფართო, ნათელი ლაქებითაა გამახვილებული, რითაც კონტრასტულად უპირისპირდება ირგვლივ საგანგებოდ შემოტარებულ შავ კონტურს და მკაფიოდ იკითხება რუხ ფონზე. ფრიზის მძაფრი დეკორატიული მეტყველება ფიქალის ქვების ფაქტურულ-ფერადოვანი ეფექტებით ძლიერდება და შორი მანძილიდანაც იოლი აღსაქმელია. რ.იაშვილი კერამიკულ ფილას არქიტექტურასთან სინთეზში გაიაზრებს. მათ, ორივეს არქაული ფორმების გათანამედროვებისკენ სწრაფვა ახასიათებს. თუ არქიტექტურული კონსტრუქცია

ტრადიციული წყაროების იმპროვიზებულ ვარიანტს წარმოგვიდგენს, კერამიკული ფრიზის კომპოზიცია არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ზოომორფული მოტივების თავისებური ნაზავის თანამედროვე ინტერპრეტაციაა.

ზედაზნის ზედა წყარო, სრულიად საპირისპირო გარემოში, მწვანე საფარს მოკლებულ გაშლილ რელიეფზეა აღმართული და ჰორიზონტალურად განვითარებულ არქიტექტურულ-სივრცობრივ კომპოზიციას წარმოადგენს. ფიქალისა და დიდრონი ქვის შერევით ნაგები კონსტრუქცია ქვედა წყაროს კამერულობისგან განსხვავებით, უფრო მასშტაბურ, მონუმენტურ ხასიათს ატარებს. კერამიკული ფრიზი წყაროს ჰორიზონტალურად გაზიდულ არეზე მიუყვება და თვალისთვის ყოველი მხრიდან ადვილად მისაწვდომია. შამოტნარევი თიხით დაძერწილ ფილებზე წარმოდგენილი ფოლკლორის პერსონაჟები - თებროლე, მწყემსი ბიჭი, წიქარა, ვერძი, ასევე ყოფითი საგნები - ფიალა, დოქი წყაროს თემას სხვადასხვაგვარად უკავშირდება და რელიეფურ პანოს სიმბოლურ დატვირთვას სძენს. ვიწრო, გრძელ ფილაზე განლაგებულ კომპოზიციაში რიტმულად ნაწილდება ანფასში, ან სრულ პროფილში გადმოცემული, ფართო პლანით ნაჩვენები ფიგურების დეკორატიული თავები თუ საგნები. თებროლეს, მწყემსი ბიჭის და წიქარას დეკორატიული თავები მასშტაბურ ხასიათს ატარებს და შედარებით მაღალი რელიეფით იძერწება, ვიდრე დანარჩენი გამოსახულებები, რაც ხელს უწყობს მათ გამოყოფას და შორი მანძილიდან თავისუფლად აღქმას. დეტალიზების გარეშე გადმოცემული მკვრივი და წონადი,





რელიეფური ფრიზი, თებროლე, შამოტი, ჭ., 1965 წ., 25 x 300 სმ., ფრაგმენტი
Relief frieze, Tebrole, fireclay, glaze, 1965,  25 x 300 cm., fragment.



წყაროს ესკიზი, სოფ. გამარჯვება, აკვარელი,1966 წ., თანაავტორი არქ. გ.ჯაფარიძე

Sketch of a spring, village  Gamarjveba, watercolor, 1966,
Co-author Architect G.Japaridze.



წყარო რიკოთის უღელტეხილზე, სიპი ქვა, 1966 წ., 25 x 300 სმ., თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე,
The spring on Rikoti Pass, cobblestones, 1966, 25 x 300 cm., Co-author Architect G. Japaridze.

განზოგადებული მოცულობები შესანიშნავად ეხამება არქიტექტურული ნაგებობის მონუმენტურ ხასიათს. რელიეფურ ფრიზზე ხელუხლებლად დატოვებული შამოტის ფაქტურული ფონი, ზედ ამოღარული ნახატი, ბადეებით შექმნილი სიბრტყეების თავისუფალი წყობა ფართო ფილებით აგებული კედლის შთაბეჭდილებას ტოვებს. რ.იაშვილს წყაროს ფერადოვანი გადაწყვეტაც საინტერესოდ აქვს გააზრებული. იგი ფიგურებს ფონის არეზე თბილი ტონალობის მუქი და ნათელი ფერების დაპირისპირებით გამოყოფს. ინტენსიურ ფერებს კი ალაგ-ალაგ, ძუნწად ლაქების სახით იყენებს, რაც პანოს მაჟორულ ჟღერადობას ანიჭებს. საშენი მასალის, ფრიზის ფილების ფაქტურულ-ფერადოვანი ეფექტების ორგანული თანაარსებობა მეტყველ დეკორატიულ და, ამავე დროს ემოციურად დამუხტულ მახვილს წარმოქმნის გაშლილ სივრცეში. წყარო ბუნებრივად ერწყმის ლანდშტაფს და ხალისიან გარემოს ქმნის.



ФРАГМЕНТ
ПЛАН
РАЗРЕЗ

რიკოთის უღელტეხილზე, სიპი ქვით ნაგები წყაროს სწორკუთხა კონსტრუქცია (არქ. გ. ჯაფარიძე) და მისი შემამკობელი, რ.იაშვილის შამოტის რელიეფური ფრიზი, რომელიც მცირედი იმპროვიზებით გადმოსცემს ზედაზნის ზედა წყაროს ეთნოგრაფიულ მოტივს, მთიანი პეიზაჟის მკაცრი ხასიათიდან გამომდინარე გამოკვეთილად სადაა. თავისი მხატვრული მეტყველებით იგი მთლიანად დამოკიდებულია უბრალო, სიპი ქვისა და შამოტის მასალების ბუნებრივი ფერისა და ფაქტურის ეფექტებზე. სოფელ გამარჯვებისა (წყარო „მწყემსი“) და კურორტ ბიჭვინთისთვის (წყარო „წყალქვეშა სამყარო“) შექმნილი ესკიზური პროექტები (აკვარელი, გუაში, 1966წ.) ცხადჰყოფს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა იგივე პრინციპით გრძელდება. საინტერესო გადაწყვეტა

წყაროს ესკიზი, წყალქვეშა სამყარო, გუაში, კურორტი ბიჭვინთა, 1966 წ., თანაავტორი არქ. გ ჯაფარიძე

Sketch of a spring, Underwater world, Gouache, Resort Bichvinta, 1966. Co-author Architect G. Japaridze.

მარნეულის მეფრინველეობის ფაბრიკის შესასვლელის მხატვრული გაფორმება. ესკიზური პროექტი, 1975წ., თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე

Artistic decoration of the entrance of Marneuli Poultry Factory, sketch project, 1975. Co-author Architect G. Japaridze.





დეკორატიული მოტივი ინტერიერისთვის, რელიეფების ციკლი:
მოსავლის დღესასწაული, შამოტი, კრაკლეს ჭ., 1966 წ., 45 x 20 სმ., ფრაგმენტი

Decorative motif for interior, relief cycle: Harvest festival, fireclay, krakle's glaze, 1966, 45 x 20 cm., fragment.



ქალიშვილი, რელიეფების  ციკლი:
მოსავლის დღესასწაული, შამოტი, ჭ., თაბაშირი,
1966 წ., 45 x 20 სმ., ფრაგმენტი

A Maiden, relief cycle: Harvest festival,
fireclay, glaze, plaster cast, 1966,
45 x 20 cm., fragment.



გიგო, რელიეფების  ციკლი: მოსავლის
დღესასწაული,  შამოტი, 1966 წ., 45 x 48 სმ.,
ფრაგმენტი

Gigo, relief cycle: Harvest festival, fireclay,
1966, 45 x 48 cm., fragment.

აქვს ბიჭვინთის წყაროს, რომელიც გარემო პირობებიდან გამომდინარე აუზის სახითაა დაპროექტებული და თავისი ფორმის პლასტიკით, შემოგარენში ჩართული სივრცობრივ-მოცულობითი ელემენტებით, წყალქვეშა სამყაროს ასოციაციებს იწვევს.

1960-იანი წლების შუახანებიდან კერამიკოსი იმდენად დაკავებულია სივრცის ათვისების პრობლემით, რომ გარეთ გამოაქვს უტილიტარული ფორმაც - შამოტით ნაძერწი საყვავილე ლარნაკები. მათი მძიმე, მასიური, ფერით გაჯერებული მოცულობა კამერული პლასტიკის თვისებებს ატარებს და მხოლოდ ფორმით თუ უახლოვდება ყოფით საგანს. ამგვარ დამოკიდებულებას რ.იაშვილი დიდი მოცულობის საპარკო ქანდაკების, ხარის მასშტაბური ფიგურის (1967 წ. შამოტნარევი თიხა, ნახევრადშებოლვა, ჭ.) შექმნამდე მიჰყავს. მართალია, მას ზოომორფული სასმისის მოტივი უდევს საფუძვლად, მაგრამ საპარკო-დეკორატიული პლასტიკის აშკარად გამოხატული ნიშნები აქვს. ეს ქანდაკება თბილისის ერთ-ერთ სკვერში დასადგმელად იყო გათვალისწინებული, მაგრამ 1967 წლის 14 ოქტომბრის ავტოკატასტროფამ რ.იაშვილი სამუდამოდ მიაჯაჭვა სავარძელს. ამიტომ ღია სივრცეში ქანდაკების გამოტანას განხორციელება არ ეწერა. ამჟამად ნამუშევარი მოდელის სახით, ეროვნული მუზეუმის სურათების გალერეის გამოყენებითი ხელოვნების ფონდებშია დაცული.

რ.იაშვილი ერთ-ერთი პირველია, ვინც ხელოვნებათა სინთეზის პრობლემებზე მუშაობს და ნაგებობის შიდა სივრცეს ორიგინალურად





შამოტის თავები რელიეფების ციკლიდან: მოსავლის დღესასწაული, 1966 წ.

Chapters of fireclay from the relief cycle: Harvest festival, 1966.

აფორმებს საქართველოს წარსულში არაერთგზის გამოცდილი წითელი თიხისა და ლითონის (თითბერი, სპილენძი) კომბინირებით შექმნილი პანოებით. ამ დროს ჩნდება კერამიკული ელემენტების თავისუფალი მოხატვით შემკობა, რაც რ.იაშვილის შემოქმედებაში ფერწერული ძიებების გაძლიერებაზე მეტყველებს.

1960-იანი წლების შუახანებიდან, მასალების თუ ტექნიკური ხერხების შერჩევის მხრივ, რ.იაშვილი ფანტაზიის, წარმოსახვის გასაოცარ უნარსა და დიდ შემოქმედებით თავისუფლებას აღწევდა. იგი შამოტის რელიეფთან კომბინირებისათვის არა მარტო შენობის კედელს, არამედ ხელოვნური მასალებით გაკეთებულ სიბრტყეებსაც იყენებს. ეს შეიძლება იყოს ნახერხის დაწნეხილი ფილა, თაბაშირი, ანდა სხვა რომელიმე მასალა. ასე იქმნება ინტერიერისთვის განკუთვნილი ჭიქურით, მარილით, მაიოლიკითა და ემალით მოხატული შამოტის რელიეფების ციკლი „მოსავლის დღესასწაული“, რომელშიც 1965-1966 წლებში შესრულებული ნამუშევრებია („ქალიშვილი“, „გიგო“, „დეკორატიული მოტივი ინტერიერისთვის“ და ა.შ.) შესული. თითქმის ყველგან ყმაწვილი ქალის, ანდა ვაჟის ძალზე პირობითი, დაბალი რელიეფით დაძერწილი დეკორატიული თავებია სწორკუთხა ფილაზე, ან პირდაპირ კედელზე მიმაგრებული, უმეტესწილად ანფასში, იშვიათად კი სრულ პროფილში მოცემული გამოსახულებები ფონის პარალელურადაა წარმოდგენილი. ამ ხერხით, ავტორი ხაზს უსვამს სიბრტყეს და აძლიერებს დეკორატიულობის ეფექტს. თუმცა თავად დეკორატიული ატრიბუტების რაოდენობა





ავარიიდან ერთი წლის შემდეგ, რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, 1968 წ.
One year after the accident, Revaz Iashvili, Alde Kakabadze, 1968.



რევაზ იაშვილი
Revaz Iashvili

მინიმუმამდეა დაყვანილი, რითაც მხატვარი ინარჩუნებს ლაკონიურ სილუეტს, სიმკვეთრეს, სისადავესა და უბრალოებას. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ეს ნამუშევრები მყარი კონსტრუქციული აღნაგობით გამოირჩევა და თავისი არქიტექტონიკით ხუროთმოძღვრებას ეხმიანება. საგანგებოდ უნდა ავღნიშნოთ, ამ სერიის ნამუშევრების სტილისტური სიახლოვე ძველი ქართული რელიეფური პლასტიკის ძეგლებთან. ეს ბუნებრივიცაა, ამ პერიოდში საკუთარი ტრადიციებისადმი გაჩენილ ცხოველ ინტერესს რ.იაშვილი აქტიურად ავლენს. ამავე დროს, განხილული ნიმუშები მჭიდრო კავშირშია

1960-იანი წლების მონუმენტურ-დეკორატიულ ქანდაკებასთან. სწორედ აქ იკვეთება გამოყენებითი და მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების გზები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაახლოებისა და არქიტექტურასთან მათი სინთეზირების პროცესი, რაშიც აქტიურადაა ჩართული კერამიკა. ძალზე მნიშვნელოვანია შამოტის საქართველოში გავრცელების ფაქტიც. მან დიდად შეუწყო ხელი მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სფეროში კერამიკის დამკვიდრებას.



ავარიიდან ორი წლის შემდეგ, რევაზ იაშვილი, მისი ვაჟი - გიორგი იაშვილი და სტუდენტები, 1969 წ.

Two year after the accident, Revaz Iashvili, his son Giorgi Iashvili and students,1969.

შეიძლება ითქვას, რომ 1960-იანი წლების მიღწევებმა რ.იაშვილს მომავალში ახალი შემოქმედებითი ჰორიზონტები გაუხსნა. 1966 წელს უკვე საქართველოს დამსახურებული მხატვარია. 1968 წელს კი, მას დოცენტის წოდება ენიჭება და ვინ იცის, ის საბედისწერო ავარია რომ არა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

თუმცა მხატვარი ორ-სამ წელიწადში ძალებს იკრებს და მისთვის ჩვეულ საქმიანობას უბრუნდება. ახალი პრობლემების დასახვისას, თუ ახალი ფორმების მოძიებისას, საკუთარი მეთოდისა თუ სტილის განვითარებისას იგი კვლავინდებურად ითვალისწინებს საყოველთაოდ მიღებულ თანადროულ ტენდენციებს: „თეორიული განსწავლულობა, ნათელი წარმოდგენა თავისი მოღვაწეობის მიზანზე შემოქმედს თავიდან



რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, 1971 წ.
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, 1971

აცილებს ბრმა ემპირიზმს. მისი მუშაობის მეთოდი მიზანდასახული გახდება, ხოლო საშუალებანი ეკონომიკური."[36]

მხატვრის პირად არქივში დაცული, 1970-იანი წლებით დათარიღებული წერილები კერამიკის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს და თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ ღებულობს ანალიტიკურ ხასიათს რ.იაშვილის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი რაციონალური საწყისი. ალბათ, ეს ცვლილება მხატვრის ფიზიკურმა მდგომარეობამაც განაპირობა. საზოგადოებასთან ურთიერთობას ჩვეული, ენერგიული, ენთუზიაზმით აღსავსე, ყოველი ახალი საქმის წამომწყები და მოთავე, როგორც ჩანს, მარტოსულადაც გრძნობდა თავს. ამიტომ დამკვირვებლის როლში გამოდის და სახელოსნოს კედლებიდან სურს კვლავინდებურად ფეხი აუწყოს ცხოვრებას, ღრმად

36. რ. იაშვილი, კერამიკის ხელოვნების ესთეტიკური პრობლემები, ნაბეჭდი წერილი, პირადი არქივი, 1970 წ., გვ.1



მცირე პლასტიკა,
ჯიხვი, ტერაკოტა,
1972 წ., 60 x 50 სმ.

Small plastic figure,
Mountain goat, terracotta,
1972, 60 x 50 cm.

განჭვრიტოს, არ გამოეპაროს თანამედროვე ყოფის დინამიკის ოდნავი გამოვლინებაც კი, კერამიკული საშუალებებით ასახოს იგი. შეიძლება ითქვას, რომ რ.იაშვილი ცხოვრების მაჯისცემას შინაგანად გრძნობს. მისთვის საზოგადო და პიროვნული ერთმანეთისგან გამიჯნული არ არის. საყოველთაოდ მიღებული ტენდენციები მხატვრის შემოქმედებაში ინდივიდუალურად აისახება. ამავე დროს ძალზე ხშირად რ. იაშვილის მიერ წამოჭრილი ამოცანები კერამიკის წიაღში არსებულ ძიებებს წარმართავს და საზოგადოების კუთვნილება ხდება.

ამიერიდან, მასშტაბურ პროექტებზე ფიქრის ნებას კერამიკოსს ფიზიკური მდგომარეობა არ აძლევს. თუმცა გამოსავალს მაინც პოულობს და მონუმენტური კერამიკის მხატვრული პრობლემები მცირე პლასტიკის საზღვრებში გადმოაქვს, სადაც

ამოცანას სინთეზური მეთოდით - ორი სხვადასხვა სახეობის ქანდაკების სპეციფიკის ერთმანეთთან შეთავსებით წყვეტს. ასეთი გზით შესრულებული რ.იაშვილის ტერაკოტისა და ფაიფურის კამერული ქანდაკებების („ჯიხვი", ფაიფური, კრაკლეს ჭ., 1971წ., „ირემი", ტერაკოტა, 1972წ.) მთლიანი, დაუნაწევრებელი მოცულობის ყველა თვისება საშუალებას იძლევა, რომ მასშტაბური გადიდების შემთხვევაში დამოუკიდებლად იარსებოს „ღია" სივრცეში. ამიტომ მხატვრის მცირე ზოომორფული პლასტიკა საპარკო-დეკორატიული ქანდაკების მოდელების შთაბეჭდილებას ტოვებს.

1970-იანი წლების პირველ ნახევარში შესრულებული ქალთა სკულპტურული თავები უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს საპარკო-დეკორატიული პლასტიკის თვისებებს. ეს ნიმუშები გარკვეულწილად აგრძელებს 1960-იანი წლების რელიეფების სახე-ტიპების თემას და კომპოზიციითაც უახლოვდება მათ. შამოტით ნაძერწი და მსუბუქად დაფერილი კამერული ქანდაკებები არქიტექტურასთან კავშირში მოიაზრება და მის სივრცეში თავისუფლად დასადგმელად არის გათვალისწინებული. ამას მოწმობს მათი მონოლითური მოცულობის მკვეთრი, სქემატური უტრირება, თითქმის კუთხოვანი, გეომეტრიულად ნაკვეთი სილუეტი და ქანდაკებათა ფრონტალური, ორფასადოვანი გადაწყვეტა, რომელიც კედლის ფონს თავისთავად ითხოვს („ქალიშვილი", შამოტი, მარილები, 1972 წ.). კერამიკული საღებავის თხელი, მქრქალი ფენებითა და ფაქიზი ფერებით გამოვლენილი შამოტის უხეში ფაქტურა, მისი გრაფიკული და პლასტიკური ხერხებით დამუშავება ცოცხალ დეკორატიულ გამომსახველობას სძენს



დეკორატიული პლასტიკა, ქალიშვილი,  შამოტი, მარილები, 1972 წ., 32 x 25 სმ.
Decorative  Plastic, A maiden, fireclay, metal salts, 1972, 32 x 25 cm.



სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალური ანსამბლის ესკიზური პროექტი, 1975 წ.

Memorial ensemble of heroes fallen in the Patriotic War, sketch project, 1975.



დეკორატიული ფიგურა - მწუხარე ქალი, შამოტი, 50 სმ.

Decorative figure - Sad Woman, fireclay, 50 cm.

პირობით სახეებს. ეს ნამუშევრები ცხადჰყოფს, რომ რ.იაშვილი პოულობს 1970-იანი წლების ქანდაკების ძირითად ტენდენციებთან კერამიკული პლასტიკის დაკავშირებას გზას, რაც მას არწმუნებს, რომ კერამიკის ენაზე შესაძლებელია არქიტექტურულ-სკულპტურული ანსამბლების ამეტყველებაც.

1970-იან წლებში გავრცელებული ამ რიგის კომპოზიციები მხატვრის ინტერესს პირველ რიგში იწვევს ხელოვნებათა სინთეზის პრობლემის მრავალმხრივად განხორციელების, ქანდაკისა და გარემოს ორგანული ურთიერთობის შესაძლებლობებით. რ,იაშვილს ისინი აგრეთვე იზიდავს ეროვნული მსოფლმხედველობის გამოხატვის საშუალებით, რომლის გადმოცემაც შესაძლებელია ეროვნული მხატვრული ფორმით. კერძოდ, მისთვის მეტად მახლობელი ლიტერატურულ-ფოლკლორული მოტივების გამოყენებით, თემის რომანტიკულ-ლირიკული ინტერპრეტაციით და არქაული ფორმების სტილიზებით გადმოცემული მხატვრული ელემენტებით.

1975 წელს, არქიტექტორ გივი ჯაფარიძესთან ერთად, თითქოსდა ერთი ამოსუნთქვით იქმნება მასშტაბური სივრცობრივი ანსამბლების თემატურად მრავალფეროვანი ესკიზური პროექტები და მათი პლასტიკური მახვილების მასალაში შესრულებული მცირე მოდელები. სამამულო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი ერთადერთი ესკიზური პროექტია, სადაც ხელოვნებათა სინთეზის პრობლემა მხოლოდ მონუმენტური პლასტიკის ენით წყდება.



კასპის ღვინის ქარხნის შესასვლელის ანსამბლის ესკიზური პროექტი. 1975 წ., თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე
Kaspi Wine Factory entrance ensemble, sketch project, 1975, Co-author Architect G. Japaridze.





კასპის ღვინის ქარხნის შესასვლელი, წყარო - ქვევრი, თიხა

Kaspi Wine Factory entrance ensemble, A spring - Qvevri, clay.



ბუნებრივ გარემოცვაში განთავსებული „მწუხარე ქალის“ მონუმენტი გააზრებულია მთიანი პეიზაჟისა და გაშლილი რელიეფის მხატვრულ დომინანტად, მთელ სიმაღლეზე აღმართული შამოტის ქანდაკება თავისი მყარი არქიტექტონიკითა და გიგანტური ზომებით „ბატონობს“ სივრცეზე. მასალის ფაქტურა, თუ ფერი მას ერთგვარ არქაულობას ანიჭებს. მონუმენტის მონოლითის სქემატური პლასტიკა და გეომეტრიულად სტილიზებული სილუეტი სივრცობრივ საზღვრებს გარეთ ეძებს და დასრულებულ ხასიათს ბუნებაში პოულობს, რაც ხელს უწყობს მის სიმბოლურ მახვილად ჩამოყალიბებას.

სხვა დანარჩენი ესკიზები: კასპის ღვინის ქარხნის, ქსნის მევენახეობის მეურნეობის, მარნეულის მეფრინველეობის ფაბრიკის შესასვლელთა მხატვრულ გაფორმებას ასახავს. ანსამბლურად წარმოდგენილი შესასვლელების გეგმარება რელიეფის სპეციფიკის გათვალისწინებით ყალიბდება და ყოველი შემადგენელი კომპონენტების არქიტექტურული საწყისის გაძლიერებას იწვევს. თითოეული მათგანი სტრუქტურულად ძალზე თავისებურ, ინდივიდუალურად გადაწყვეტილ და რთულ კონტექსტში გააზრებულ მიკროკომპლექსს წარმოქმნის. მათი გარემოსთან შერწყმა ისეთი ბუნებრივი ელემენტებითაც მიიღწევა, როგორიცაა: მარადიული ცეცხლი, წყალი, გამწვანება, ანდა კონკრეტული ადგილის შინაარსის გამომხატველი სამეურნეო საგნები. კომპოზიციების მხატვრულ მთლიანობას ამ შემთხვევაში განსაზღვრავს დეკორატიულად გამომსახველი არქიტექტურულ-



ქსნის მევენახეობის მეურნეობის რაიონის შესასვლელის ანსამბლის ესკიზური პროექტი. დეკორატიული ფიგურა - ვაზი, შამოტი. 1975 წ., თანაავტორი არქ. გ. ჯაფარიძე

Ksani viticulture farming district entrance ensemble, sketch project, Decorative figure – Vine, fireclay, 1975,  Co-author  Architect G. Japaridze.



სკულპტურული ელემენტი, რომელიც როგორც სიმბოლური მახვილი, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან სხვადასხვა სახეობისა და საწყისის მქონე კომპონენტებს. ამავე დროს მემორიალის მონოქრომულობისგან განსხვავებით, კერამიკული და საშენი მასალების ფერადოვნება საკმაოდ ცოცხალ შეხამებებს წარმოშობს გამწვანებასთან და მხატვრულად მრავალსახოვან სივრცობრივ ინტერვალს აღმოაცენებს საწარმოო თუ სამეურნეო ობიექტისკენ მიმავალ გზაზე.

ანსამბლების ინდივიდუალური გადაწყვეტის მიუხედავად, მათ საერთო პრინციპი უდევს საფუძვლად, რაც ბუნებრივი ლანდშაფტის განუმეორებელი სახის შენარჩუნებისკენ და მასშტაბური შეთავსებისკენ სწრაფვას ასახავს. დიდი ყურადღება ეთმობა ანსამბლის წამყვანი მხატვრული ელემენტების დეკორატიულობის გაძლიერებას. განსაკუთრებით, კომპოზიციის იდეური მახვილის გამომსახველობის ამაღლებას, რათა იგი არა მარტო ანსამბლის, არამედ ბუნებრივი გარემოცვის პლასტიკურად წამყვან კომპონენტად გადაიქცეს. უნდა ითქვას, რომ ავტორები აღწევენ ესკიზებზე წარმოდგებილი ანსამბლების კოლორიტულ ხასიათს. ამიტომ რაოდენ დასანანია, რომ თავის დროზე არცერთი პროექტი არ განხორციელებულა.

მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების სფეროში მოღვაწეობისას მხატვარი მუდამ ეძიებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგების დამაკავშირებელ გზებს. ამის შედეგია, რომ ნამუშევრების ძირითადი სტილური ნიშნები უახლოვდება იმ ზღვარს, როდესაც ნაწარმოების






მონუმენტური პანო - თბილისის რუქა, თითბერი, 1975 წ., თბილისი, სასტუმრო „უშბა,“ ფრაგმენტი

Monumental panel - Map of Tbilisi, brass, 1975, Tbilisi, Hotel "Ushba," fragment.

თავისებურება მხოლოდ მასალის სპეციფიკით ვლინდება. 1960-იან წლებში მასალათა კომბინირების მეთოდის გამოყენებამ რ.იაშვილს იმდენად ახლოს გააცნო ლითონის მხატვრული თვისებები, რომ 1970-იან წლებში იგი ჭედურ რელიეფებსა და პანოს ესკიზებსაც ასრულებს. უფრო მეტიც, ჭედური კომპოზიციებით მხატვარი ინტერიერსაც აფორმებს („სკომაროხები", კაფე „ვესნა", ქ.მურმანსკი, რუსეთი, 1975 წ.). რ.იაშვილი ითვალისწინებს ლითონის სიხისტეს, სილუეტის გრაფიკულ სიმკვეთრეს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ამაგრებს გამოსახულებებს დარბაზის კედლებსა და ბოძებზე, რითაც ისინი ხაზს უსვამენ არქიტექტურის კონსტრუქციულ დანაწევრებას.



მონუმენტური პანო - თბილისის რუქა, თ., ემალი, მარილები, თითბერი, 1975 წ. თბილისი, სასტუმრო „უშბა", 300 x 400 სმ.
Monumental panel - Map of Tbilisi, clay, enamel, salts, brass. 1975, Tbilisi, Hotel "Ushba", 300 x 400 cm.







დეკორატიული მოტივი ინტერიერისთვის, ციკლიდან: მოსავლის დღესასწაული. შამოტი, ჭ., 1966 წ., 45 x 20 სმ., ფრაგმენტი.

Decorative motif for interior, relief cycle: Harvest festival, fireclay, glaze, 1966, 45 x 20 cm., fragment.



Mosaic panel, sketch, 1975.

მოზაიკური პანოს ესკიზი, 1975 წ.



Mosaic, The bus stop, Mtskheta, 150 x 60 cm.

მოზაიკა, ავტობუსის გაჩერება, მცხეთა, 1975 წ., 150 x 60 სმ.



Mosaic, Exhibition of Agriculturers, 1975, 150 x 60 cm.

მოზაიკა, სოფლის მეურნეობის გამოფენა, 1975 წ., 150 x 60 სმ.

ამავე პერიოდში, რ.იაშვილი იგივე მეთოდით, მაგრამ ამჯერად ლითონისა და კერამიკის სინთეზირებით ასრულებს საკმაოდ მასშტაბურ კომპოზიციას ქალაქურ თემაზე, რომელიც სასტუმროს ვრცელი ვესტიბიულის სპილოსძვლისფერი მარმარილოთი მოპირკეთებულ კედელზე კადრებად იშლება („:თბილისის რუქა“, თ., ჭ., მარილები, თითბერი, სასტუმრო „უშბა“, თბილისი, 1975 წ.). მასალათა ამგვარი კომბინაცია ორიგინალურად აძლიერებს პანოს სანახაობრივ მხარეს, რომლის დეკორატიულობას ძირითადად ფერი განსაზღვრავს. მოხატული თიხისა და თითბერით ნაჭედი ელემენტების თბილი გამა სპილოსძვლისფერ ფონზე მეტად ფერწერულ ხასიათს ანიჭებს თბილისის განუმეორებელ პანორამას მისთვის ჩვეული არქიტექტურის რიტმით, მასშტაბურად გამოყოფილი მონუმენტი-სიმბოლოებითა და ხალხური მოტივებით.

რ.იაშვილის შემოქმედებაში ფერითი პრობლემების გაძლიერებას მასალებისა და ტექნიკების განახლება მოჰყვა. მხატვრის ხედვის არეში ხვდებიან ის მასალებიც, რომლებსაც აქამდე არ შეხებია. ასეთია მოზაიკა, რომლის თვისებებს - სარკესავით ბზინვარე მინანქრის ზედაპირს, ნატეხების თავისუფალი წყობით მიღებულ მახვილ ნახატსა და ფერთა კონტრასტულ შეხამებებს რ.იაშვილი გვერდს ვერ აუვლიდა. 1970-იან წლებში შესრულებულმა მოზაიკურმა პანოებმა, ისევე როგორც არქიტექტურულ-სკულპტურულმა ანსამბლებმა, მეტწილად ესკიზების სახით მოაღწია ჩვენამდე („ხარი“, „ჯიხვები“, „ცხენები“, 1979 წ.) ძირითადად განხორციელდა ავტობუსის გაჩე-



ბიჭის პორტრეტი, რელიეფი,
ფრაგმენტი პანოდან „გაზაფხული“,
შამოტი, მაიოლიკა,
მარილები, 1977 წ., 40 x 30 სმ.

The portrait of a boy, relief, fragment
of the panel “Spring”, fireclay, maiolica,
salts, 1977,  40 x 30 cm.

რებების მცირე არქიტექტურული ფორმების შესამკობად განკუთვნილი პანოები: „წიქარა“ (მცხეთის გზატკეცილი, 1975 წ.) და „სალამურა“ (სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, თბილისი, 1975 წ.). „П“-ს ფორმის ნაგებობის შიდა არეზე განთავსებულ ორივე მოზაიკას და „ხარის“ ესკიზს რ.იაშვილი თანამედროვე მონუმენტური ფერწერისთვის დამახასიათებელი ეფექტებით გადმოსცემს. დანარჩენ ესკიზებში კი, გამოყენებითი ხელოვნების დარგებში, უფრო ზუსტად ტექსტილში განვითარებული სახვითი ამოცანების გადაწყვეტისკენ მიისწრაფვის. თუმცა ორივე მიმართულებას მოზაიკის სპეციფიკა, მისი თვისებები წარმართავს და არცერთი დარგის იმიტირებას არ ახდენს. შერეული ტექნიკით შესრულებული პანო „გაზაფხულის“ (შამოტი, მაიოლიკა, მარილები, 1977 წ.) რელიეფური ფრიზი კიდევ ერთ სიახლეს ავლენს. მისი ფერწერულად ამეტყველება კერამიკული საღებავების არაერთგვაროვანი ფაქტურითა და თავისუფალი მოხატვითაც მიიღწევა.

მონუმენტურ-დეკორატიულ ხელოვნებაში აქტიურმა მოღვაწეობამ რ.იაშვილი დაარწმუნა, რომ ამ სფეროში არ არსებობს ტექნიკა, რომლის განხორციელებაც კერამიკაში შეუძლებელია. ამავე დროს ხელოვნებათა და მასალათა სინთეზირებით გაძლიერებულმა ნაწარმოების დეკორატიულმა მხარემ ფერწერული ძიებების ისეთი „აფეთქება“ და აყვავება გამოიწვია, რომ რ.იაშვილის შემოქმედება მთლიანად მოიცვა.





მონუმენტური კერამიკული პანოს ესკიზები, 1970-იანი წლები

Monumental ceramic panel sketches, 1970.





მოზაიკური პანო „ჯიხვები“,
ავტობუსის გაჩერება.
ესკიზური პროექტი, 1975 წ.

Mosaic panel, Mountain Goats, the bus stop, sketch project, 1975.



„განუწყვეტელი ექსპერიმენტების შედეგი - მომწვანო მქრქალად მბჟუტავი ფილები და ზედ გასხივოსნებული პორტრეტები, სრულიად მოულოდნელი ფერწერა კერამიკულ ფილებზე“[37] - მერაბ კოკოჩაშვილი

„ხელოვნება ყოველთვის ეძებს ახალ გზებს, ფორმებს, მეთოდს, საშუალებას თავისი სახის სრული გამოვლინებისთვის“[38]



# „ფერწერა“ კერამიკულ ფილებზე

1970-1990-იანი წლების მონაკვეთი, რევაზ იაშვილის შემოქმედების სიმწიფის ხანაა, როდესაც ფერი თავისი შეხამებებითა და ფაქტურული ნაირგვარობით ფორმის დეკორატიულ და ემოციურ გამომსახველობას აძლიერებს. მხატვარი თამამად მიმართავს კერამიკისთვის ჩვეულ ყველა მასალას თუ მისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ სტილურ თავისებურებებს. იგი მონუმენტურ კერამიკაში მოღვაწეობისას იმდენად დიდ გამოცდილებას იძენს, რომ მიზნად ისახავს, მოიძიოს დეკორატიული პანოს ახალი ორიგინალური ფორმა, რომელიც დაზგური და მონუმენტური ხელოვნების ზღვარზე დადგება და თავის წიაღში მოაქცევს ორივე სფეროს თვისებებს. ახალი ტიპის პანოს უნარი ექნება, რომ ტრანსფორმაცია განიცადოს ნებისმიერ სივრცეზე და იარსებოს, როგორც კამერული, ისე მასშტაბური სახით. ამავე დროს, იგი შეასრულებს არა მარტო დაზგური და მონუმენტური ნაწარმოების როლს, არამედ უტილიტარულ ფორმასაც შეამკობს და მისი დეკორატიული სახის გამომხატველი იქნება. ასეთი პანო ფართო შესაძლებლობას აძლევს მხატვარს, რომ ნაწარმოების დეკორატიული მხარე „სახვითი“ ძიებებით განავითაროს, განსაკუთრებით ფერწერის მიმართულებით.

სიახლემ მხატვრისაგან გამომგონებლობისა და ფანტაზიის დიდი უნარი მოითხოვა. პრინციპი, რომელსაც რ.იაშვილი მოხატული დეკორატიული პანოების შექმნისას იყენებს, მის შემოქმედებაში გარკვეულწილად აპრობირებულია. მან ამ მეთოდს ჯერ კიდევ საპარკო-დეკორატიული პლას-

---

37. მ. კოკოჩაშვილი, ფიროსმანის ოცნება შენ აასრულე, რ.იაშვილის ალბომი, გვ.17

38. რ. იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ.1



დეკორატიული პანო,
ქალი სტვირით,
ქაშანური, სხვადასხვა ჭ.,
ავტორისეული ტექნიკა,
1980- იანი წლები,
30 x 15 სმ.

Decorative panel of tiles,
A woman with a flute,
faience, different glazes,
author's technique,
1980's, 30 x 15 cm.

ტიკის სფეროში მუშაობისას მიაგნო, როდესაც გარეთა სივრცისთვის განკუთვნილი ნიმუშები მცირე მოცულობაში გამოძერწა და მონუმენტური ქანდაკების ყველა პრობლემა მასშტაბისგან დამოუკიდებლად გადაწყვიტა. ამ შემთხვევაშიც იგი ანალოგიური გზით მიდის და ქართული მონუმენტური ფერწერის ძველი თუ ახალი ტრადიციების გათვალისწინებით დიდი მოცულობის მოხატული პანოების მომცრო მოდელებს ასრულებს.

რ.იაშვილის იმპროვიზაციები მცირე ზომის თიხის ფილებით აგებული, ან მხოლოდ ერთი ფილით წარმოდგენილი მოხატული პანოებია, რომლის კვადრატული, თუ ვერტიკალურად აზიდული მოყვანილობა ფილების განლაგებით მიიღება. მათზე აღბეჭდილი კამერული კომპოზიციები შერეული ტექნიკით შესრულებული ფოლკლორული მოტივებია, რომელიც ახლო მანძილიდან აღსაქმელადაა განკუთვნილი. თუმცა კერამიკოსს პანოების მხატვრული გადაწყვეტა ნაგებობის ვრცელ სივრცესთანაც შესაბამისობაში მოჰყავს. ფილებით აგებული სასურათე სიბრტყე, მათი გადაბმისას წარმოქმნილი ნაკერების ბადე, რომელიც მოპირკეთებული კედლის წყობას იმეორებს, ერთ-ერთი ხერხია დიდი მოცულობის პანოს ასოციაციის გამოსაწვევად. თუმცა მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ძირითადად ქმნის პანოს სახვითი მხარე, რომლის ეფექტები კერამიკის სპეციფიკაზე დაყრდნობით მიიღწევა და ხელშესახებად გადმოსცემს გამოსახულების მკვრივ მოცულობას, პლასტიკურ ფორმებს.



დეკორატიული პანო, სახიობა, მეტლახი, ჭ., პიგმენტი, სპილენძის მარილი, 1983 წ., 30 x 30 სმ .

Decorative panel of tiles, Performance, glaze, pigment, copper salt, 1983, 30 x 30 cm.





მოხატული დეკორატიული ფორმა, თიხა, წერნაქი, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 38 x 19 სმ.
Decorative Painted form, clay, engobe, oxides, 1980's, 38 x 19 cm.





დეკორატიული ფილა, ხარი, შამოტი, ჭ., რკინის ჟანგი, 1970 წ., 25 x 30 სმ.

Decorative tile, Bull, fireclay, glaze, iron rust, 1970, 25 x 30 cm.



რ.იაშვილი ხანგრძლივ და შრომატევად, მრავალმიმართულებიან ექსპერიმენტებს სწორედ, კერამიკული მასალით წარმოქმნილი ფერწერულ-გრაფიკული ელემენტების ვარიაციების გასამდიდრებლად იწყებს, რითიც პანოს ემოციურ ზემოქმედებას არა მარტო ახლო, არამედ შორი მანძილიდანაც აძლიერებს.

1970-1990-იანი წლების მანძილზე შესრულებული მრავალრიცხოვანი მოხატული პანოები, მისი მხატვრული სრულყოფის პროცესს ასახავს. რ.იაშვილის პირველი დეკორატიული ფილა „ხარი" (შამოტი, ჭ., მარილები, 1970 წ,), ფოლკლორული მოტივის პოეტური ინტონაციითა და კერამიკული მასალების „სახვითი" ეფექტებით პანოებისთვის დამახასიათებელ ამოცანებს საწყისი ფორმით წარმოაჩენს. ოდნავ მოგვიანებით შესრულებული პანო,„ეთერი" (მეტლახი, ჭ., მარილები, 1972წ.), დიდი მასშტაბის ნამუშევარს უფრო მეტად უახლოვდება. მეტლახის ფილებით აწყობილი მისი ზედაპირი თითქოსდა ბეტონის კარკასზეა დამონტაჟებული. ფილების წყობით წარმოქმნილი გრაფიკული ბადე იმდენად ჩართულია პანოს მხატვრულ სტრუქტურაში, რომ გარკვეულწილად განსაზღვრავს ფიგურის ერთგვარად თეატრალიზებული პოზის, მისი სტილიზებული სილუეტის, მსუბუქი კონტრაპოსტის, აწეული მხრებისა და ფართოდ გაშლილი ხელების მანერული მოძრაობის გამომსახველობას. ამ ხერხით ერთგვარად მახვილდება ფონისკენ ოდნავ შებრუნებული სახის სევდიანი გამომეტყველებაც, რაშიც მხატვრისთვის საყვარელი ეროვნული ტიპაჟი გამოსჭვივის.







დეკორატიული პანო, ეთერი,
მეტლახი, ჭ., მარილები, 1972 წ.,
45 x 30 სმ.

Decorative panel of tiles, Eteri,
glaze, metal salts, 1972, 45 x 30 cm.



დეკორატიული პანო, ვერძი, თ., ჭ., ჟანგეულები, 1974 წ., 10 x 10 სმ.
Decorative panel of tiles, Aries, clay, glaze, oxides, 1974, 10 x 10 cm.





დეკორატიული პანო, ვერძი, თ., მაიოლიკა, ჭ., ჟანგეულები, 1974 წ., 10 x 10 სმ.
Decorative panel of tiles, Aries, clay, maiolika, glaze, oxides, 1974, 10 x 10 cm.

პანო განსაკუთრებით საინტერესოა თავისუფალი შესრულების მანერითა და ფაქტურულ-ფერადოვანი ეფექტებით: ცხოველხატულად ახმოვანებული ჭიქურით მოხატულ ზედაპირზე მიმობნეული წერტილოვანი ლაქები საღებავის შხეფების ილუზიას ბადებს. ამ ნამუშევარში ნახატიც კი, ფუნჯის მონასმის ხასიათს ატარებს. პანოს შესრულების სიმსუბუქე და ჰაეროვნება აკვარელის ტექნიკას, მისი საღებავით გაჟღენთილი სველი ფურცლის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა რ.იაშვილის სხვა პანოები აკვარელის ასოციაციებს უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს. ასეთია, დეკორატიული ფილების სერია „ვერძი“ (თ., მაიოლიკა, ჟანგეულები, 1974წ.), რომლის განზოგადებული, ბლანტი ლაქების თავისუფალი მონაცვლეობით დაწერილი და ნათელი ტონების გრადაციებით სავსე ჰაეროვან სივრცეში წარმოდგენილი გამოსახულება თითქოსდა მირაჟული ხდება. ზღაპრული რაშის, „პეგასის“ მოტივზე აგებულ პანოების სერიაში (თ., ემალი, მარილები, 1973 წ., მეტლახი, რელიეფური ჭ., მარილები, 1973წ.) აკვარელის ეფექტებს იწვევს არა მარტო გამოსახულების ფერადოვანი მოდელირება და პრიალა (ემალი, ჭ,) თუ ხავერდივით არაპრიალა (მარილები) ფაქტურების მონაცვლეობა, არამედ მოქნილი კონტურული ნახატიც. სტილიზებული ფიგურის ირგვლივ შემოტარებული გრავირებული, ან რელიეფურად ამოზიდული ხაზთა დინება თავის მოუსვენარი რიტმითა და დინამიკით რაშის სწრაფი სრბოლის შინაგან ექსპრესიას გადმოსცემს. ამით თანამედროვე ნამუშევრებშიც ცოცხლდება უძვე-



დეკორატიული პანო, პეგასი, მეტლახი, რელიეფური ჭ., მარილები, 1973 წ., 20 x 20 სმ.

Decorative panel of tiles, Pegasus, relief glaze, metal salts, 1973, 20 x 20 cm.



დეკორატიული პანო, ვერძი, თ., მაიოლიკა, ჟანგეულები, 1974 წ., 10 x 10 სმ.

Decorative panel of tiles, Aries, clay, maiolika, oxides, 1974, 10 x 10 cm.

დეკორატიული პანო, მეთუნე, შამოტი, მაიოლიკა, ჟანგეულები, 1979 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Potter, fire-clay, maiolika, metal oxides 1979, 15 x 15 cm.





დეკორატიული პანო, მეთუნე, შამოტი, მაიოლიკა, ჟანგეულები, 1979 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Potter, fireclay, maiolica, oxides, 1979, 15 x 15 cm.

ლესი ძეგლების, ბრინჯაოს ჭვირული ბალთების საკრალური კომპოზიციების მსუბუქი, აჟურული ხასიათი და ლითონით ნაჭედი ფორმების გრაფიკული ელემენტების ნატიფი, გრაციოზული დენადობა.

პასტორალის ჟანრში (თ., ჭ., მარილები, ჟანგეულები, 1973 წ.) შესრულებული ქრონოლოგიურად მომდევნო პანოები მწყემსური ცხოვრების მეტად თავისებური, ორიგინალური ინტერპრეტაციით იწვევს ინტერესს. ასეთი მოტივების მთავარი მოქმედი გმირი ხდება ეპიკურად გააზრებული და რომანტიზებული, ხან სევდიანი, ხანაც ხალისიანი, ეროვნულ ტიპაჟამდე იდეალიზებული ქალის ალეგორიული სახე, რომელსაც უმეტესად კრავის გამოსახულება ახლავს თან. რ.იაშვილი მას სიმშვიდისა და ჰარმონიის სიმბოლოდ წარმოგვიდგენს. ამიტომ მთელი სხეულით აღმართული და კონტრაპოსტით ნაჩვენები ფიგურის მნიშვნელოვანებას, მისი მასშტაბური და მონუმენტური გადმოცემითაც აძლიერებს. რ.იაშვილი აქ პლასტიკური, ფაქტურულ-ფერადოვანი და გრაფიკული ელემენტების ორგანულ მთლიანობას აღწევს. სილუეტის შემომფარგლავი ხაზი უხვნაოჭიან სამოსსაც რიტმულად აღნიშნავს. ამავე დროს პლასტიკური ფორმების გადასვლების მიხედვით, ნახატი მრავალგვარადაა ნიუანსირებული: ადგილებში წმინდაა, თხელი და რაფინირებული, მსუბუქი ტვიფრით დატანილი, ადგილებში კი, მტკიცე და მკაფიო, სასურათე სიბრტყეზე ღრმადაა ამოღარული. ცხადია, რომ მხატვარი უპირატესობას ანიჭებს ტონალურ ფერწერას და გამოსახულების პლასტიკის წარმოსაჩენად ძირითადი ფერადოვანი ლაქების გრადაციებს მიმართავს.



დეკორატიული პანო,
პასტორალი, თ., ჭ.,
მარილები, ჟანგეულები,
1979 წ., 30 x 10 სმ.

Decorative panel of tiles,
Pastoral , clay, glaze, metal
salts, oxides, 1979,
30 x 10 cm.



დეკორატიული პანო,
მწყემსი  ქალი, თ., ჭ.,
მაიოლიკა, ჟანგეულები,
1981 წ., 10 x 15 სმ.

Decorative panel of tiles,
Shepherdess, clay, glaze,
maiolika, oxides,
1981, 10 x 15 cm.









ქაღალდი, გუაში
Paper, gouache.



დეკორატიული პანო, მწყემსები, თ., ემალი., მარილები, 1975 წ., 20 x 60 სმ.
Decorative panel of tiles, Shepherds, clay, enamel, metal salts, 1975, 20 x 60 cm.



1970-იანი წლების შუახანებიდან მოხატულ დეკორატიულ პანოებს უკვე თან ახლავს ინტე-რიერის ესკიზური პროექტი, რომლის მხატვრულ გაფორმებაშიც მას მონუმენტური ნამუშევრის ფუნ-ქცია ენიჭება. პანოების ეს ციკლიც პასტორალის ჟანრს - ბუნების წიაღში მწყემსების იდილიურ ცხოვრებას  ასახავს. პანოები თარიღდება 1975 წლით და შესრულებულია თიხაში ემალით, მა-რილებით, ან ჭიქურით და მარილებით, ზოგჯერ ემატება ჟანგეულებიც. ქართული ფოლკლორის გმირები; სალამურა, წიქარა და თხა, ესკიზურ პროექტში დიდი დარბაზის ცენტრალურ კე-დელზეა სცენებად გამოსახული და ერთ უწყვეტ, სიმეტრიულ, ფრიზისებურ კომპოზიციას ქმნის, რასაც იმეორებს მასალაში შესრულებული მომ-ცრო პანოები. მასშტაბური, პირობითი ფიგურების რიტმი და უკიდურესი ლაკონიურობა ფრიზის მყარ არქიტექტონიკას განაპირობებს. მაღალი ოსტატობით შესრულებული სახვითი ელემენტები - ნახატის მოქნილი დინება, ზედაპირის თავი-სუფალი დამუშავება და მონოქრომულობა არა მარტო ამძაფრებს მონუმენტურობის განცდას, არამედ პანოს მხატვრულ მთლიანობას იწვევს.





დეკორატიული
პანო, პასტორალი,
შამოტი, ჭ., პიგმენტები,
ჟანგეულები, 1980-იანი
წლები, 12 x 15 სმ.

Decorative panel of tiles,
Pastoral, fireclay, glaze,
pigments, oxides
1980’s, 12 x 15 cm.

განვითარებული სახვითი საწყისი მას მონუმენტურ მხატვრობასთან აახლოვებს. თუმცა კერამიკის სპეციფიკა, განსაკუთრებით კი, განათებაზე ზედაპირის ფაქიზი მგრძნობელობა, კედლის მხატვრობისგან გამორჩეული, ცხოველხატული ეფექტებით ამკვიდრებს პანოს სივრცეში.

ხალხური თემატიკის (წეს-ჩვეულებების, დღესასწაულების სანახაობრივი სცენების, პერსონაჟების) მეტად თავისებური, უშუალო და ორიგინალური ინტერპრეტაციით იწვევს ინტერესს კერამიკული პანოების, ფილებისა და მოხატული თეფშების არც თუ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ასევე ასახავს ფერისა და ფორმის, ნახატისა და ფაქტურის გამომსახველობის გაძლიერებისა და გაერთიანების ამოცანას. მკაფიოდ გამოხატული სახვითი საწყისი მათ ხან გრაფიკის, ხანაც ფერწერის ამა თუ იმ სახეობასთან აახლოებს.







დეკორატიული პანო, მონადირე, თ., ჭ., პიგმენტები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 10 x 15,5 სმ.
Decorative panel of tiles, Hunter, clay, glaze, pigments, oxides, 1980’s, 10 x 15,5 cm.

დეკორატიული პანო, ხევსური ქალი, მეტლახი, ჭ., პიგმენტები, მარილები, 1980-იანი წლები, 10 x 11 სმ.
Decorative panel of tiles, Khevsurian woman, glaze, pigments, metal salts, 1980’s, 10 x 11 cm.



დეკორატიული პანო, შემოდგომა, შამოტი, ჭ., პიგმენტი, მარილები, 1984 წ., 35 x 47,5 სმ., სემ. ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N3551

Decorative panel of tiles, Autumn, fireclay, glaze, pigment, metal salts, 1984, 35 x 47,5 cm., GNM. Museum of Fine Arts, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N3551.









დეკორატიული პანო, კერამიკოსი, ფაიფური, კობალტი, ჟანგეული, 1980-იანი წლები, D-11 სმ.

Decorative panel, Ceramist, porcelain, cobalt, oxide, 1980’s, D-11 cm.

დეკორატიული პანო, კერამიკოსი, ქაშანური, ჭ., პიგმენტები, კობალტი, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Ceramist, faiancé, glaze, pigments, cobalt, oxides, 1980’s, 15 x 15 cm.







დეკორატიული თეფში, ბერიკა, თ., ჭ.,
მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეულები,
1980-იანი წლები, D-18სმ.

Decorative plate, Berika, clay, glaze, maiolica,
pigments, oxides, 1980’s, D -18 cm.



დეკორატიული პანო, შენ ხარ ვენახი, მეტლახი, ჭ., ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, You’ re a vineyard, glaze, oxides, 1980’s, 15 x 15 cm.

ქალის პორტრეტი, ცეცხლგამძლე თ., ჭ., პიგმენტები,  ჟამგეულები, 1980-იანი წლები, 22 x 18 x 17 სმ.
Decorative panel , Woman’s portrait, fireclay, glaze, pigments, oxides, 1980’s, 22 x 18 x 17 cm.





დეკორატიული პანო, ქალი სტვირით, მეტლახი, ჭ., პიგმენტები, ჟანგეული, 1980-იანი წლები, 10 x 20 სმ., მიხეილ ყიფიანის საკუთრება

Decorative panel of tiles, Woman with a flute,, glaze, pigments, oxides, 1980’s, 10 x 20 cm., Mikheil Kipiani’s property.



დეკორატიული პანო, ქალი ბროწეულით, თ., ემალი, მარილები, 1977 წ., 10 x 30 სმ., მიხეილ ყიფიანის საკუთრება

Decorative panel, A woman with a pomegranate, clay, enamel, metal salts, 1977, 10 x 30 cm., Mikheil Kipiani’s property.



რ.იაშვილის შემოქმედებაში სახვითი ელემენტების დეკორატიული შესაძლებლობების წინ წამოწევამ, „პეგასის,“ „პასტორალისა“ და სახალხო დღესასწაულების ამსახველი სერიების მოგვიანებით შესრულებულ პანოებში ფერთა საპირისპირო, კონტრასტული შეხამებების გაჩენა განაპირობა. ამით მხატვარს დაძაბული, ემოციური მუხტი, ერთგვარი ექსპრესია და არც თუ იშვიათად სიხალისე შეაქვს პანოების ამ ვარიანტებში.

დეკორატიული პანო, პეგასი, თ., მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეული
1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel, Pegasus, clay, maiolika, pigments, oxide, 1980's,
15 x 15 cm.



დეკორატიული
პანო, თებროლე, თ.,
მაიოლიკა, პიგმენტები,
ჟანგეული, 1980-იანი
წლები, 15.,5 x 15,5 სმ.

Decorative panel,
Tebrole, clay, maiolika,
pigments, oxide, 1980's,
15,5 x 15,5 cm.



დეკორატიული პანო, კერამიკოსი, თ., მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეული 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel, Ceramist, clay, maiolika, pigments, oxide, 1980’s, 15 x 15 cm.

დეკორატიული პანო, ქალი, თ., მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეული, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel, Woman, clay, maiolika, pigments, oxides, 1980’s, 15 x 15 cm.







დეკორატიული პანო, ხევსური ქალი ბროწეულით, მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეული,  1980-იანი წლები, 30 x 11 სმ.
Decorative panel of tiles, Khevsurian woman with pomegranate, maiolika, pigments, oxide, 1980’s, 30 x 11 cm.

დეკორატიული პანო, პორტრეტი, თ., ჭ., პიგმენტები, მარილები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 10 x 10 სმ.
Decorative panel, Portrait, clay,  glaze,  pigments, metal salts, oxides, 1980’s, 10 x 10 cm.



დეკორატიული პანო, სახიობა, ქაშანური, მაიოლიკა, პიგმენტი, მარილები, რკინის ჟანგი, 1981 წ., 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles,  Performance, faiance, maiolika, pigments, salts, iron rust, 1981, 15 x 15 cm.

დეკორატიული პანო, მწყემსი ქალი, მეტლახი, მაიოლიკა. ჟანგეულები, 1978 წ. 20 x 10 სმ.
Decorative panel of tiles, Shepherd woman, maiolika, oxides, 1978, 20 x 10 cm.

დეკორატიული პანო, ფრესკა, ქაშანური, ჭ., პიგმენტები,1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Fresco, faiance, glaze, pigments, 1980’s, 15 x 15 cm.



რ.იაშვილი კონტრასტული ფერადოვანი შეხამებებით გრაფიკულ ეფექტებსაც აღწევს. პანოზე „მწყემსი ქალი“ (მეტლახი, მაიოლიკა, ჟანგეულები, 1978 წ.) ხაზს თავისთავად გულისხმობს ნათელ ფონზე მუქი ტონალობით გადმოცემული გამოსახულების მკაფიო სტილიზებული სილუეტი. ამით პლასტიკურად გამახვილებული ფიგურა პირობითი ფონის სივრცეს ემიჯნება. კონტური მხოლოდ სხეულის შიშველ ნაწილებს: სახეს, მის ნაკვთებს და ხელებს შემოფარგლავს. ფერადოვანი დაპირისპირებებისა და თავისუფალი შესრულების მანერის ზემოქმედებით, ზოგ შემთხვევაში გრაფიკული ელემენტებიც ჩვეულ ხაზოვანებას კარგავს და თითქოსდა ფუნჯის მონასმებითაა დატანილი („ქალი ბროწეულით“, თ., ემალი, მარილები, 1977 წ.). თუმცა რთულია იმის თქმა, რა დროს აღწევს რ.იაშვილი უფრო მეტ ფერწერულობას, თავისუფალი ნახატისა, თუ მისი მკაფიო ხაზოვანების შენარჩუნებისას („გოგონა ბურთით“ თ., ემალი, ჭ., 1978 წ.).

რაც უფრო ძნელად დასაძლევია ამოცანა, მხატვარს იგი მით უფრო იზიდავს. დეკორატიული ტენდენციების ორიგინალურად განხორციელების ცდები შერეული მასალის ბევრად რთული ტექნოლოგიების ათვისებისკენ უბიძგებს მას. კერამიკის სპეციფიკაზე დაყრდნობით, რ.იაშვილი უახლოვდება შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის, ფრესკის სტილშეგრძნებას, რომლის ეფექტებსაც კერამიკოსს თითქოსდა არქიტექტურა „კარნახობს“. („ქართველი ქალი“ თ., ჭ., 1977 წ., დეკორატიული თეფში „ეთერი“, თ., ჭ., მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეულები, 1981 წ., „ანგელოზი,“ თ., მაიოლიკა, პიგ-



მენტები, ჟანგეულები, 1982 წ., „მედეა“, შამოტი, ჭ., პიგმენტები, ჟანგეულები, 1983 წ., „მედეა“, მეტლახი, ჭ., პიგმენტები, 1985 წ., „ატენი“ თ., წერნაქი, ჭ., 1982წ., „ატენი“ თ., წერნაქი, ჭ., 1988 წ.). ასეთი პანოების ამაღლებულ განწყობას ძირითადად განსაზღვრავს კედლის მხატვრობისთვის დამახასიათებელი ფერების (ცისფერი, სინგურისფერი, ოქრა) რბილი, ჰარმონიული შეხამებები.



დეკორატიული პანო, გოგონა ბურთით,
ქაშანური, ემალი, მარილი, 1978 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel, Girl with a balloon, clay, glaze, enamel, salt, 1978, 15 x 15 cm.

დეკორატიული პანო, მედეა,
შამოტი, პიგმენტები, ჟანგეულები, 1983 წ. 25 x 15 სმ.

Decorative panel, Medea, fireclay, pigments, oxides, 1983, 25 x 15 cm.







დეკორატიული თეფში,  ეთერი, თ., მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეულები, 1982 წ., D-30 სმ.
Decorative plate, Ether, clay, maiolika, pigments, oxides, 1982,  D-30 cm.

დეკორატიული თეფში, ქაშანური,  ჭ., პიგმენტები, 1980-იანი წლები, D-30 სმ., სემ. ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N3843

Decorative plate, faiance, glaze, pigments, 1980 ’s , D-30 cm., GNM. Museum of Fine Arts, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N3843.





დეკორატიული პანო,
ატენი, თ., წერნაქი, ჭ.,
1982 წ., 21 x 10  სმ.

Decorative panel Atheni, clay, engobe, glaze, 1982, 21 x 10 cm.

დეკორატიული პანო ატენი, თ.,
წერნაქი, ჭ.,1988 წ., 19 x 19 სმ.

Decorative panel of tiles,
Atheni, engobe, glaze,
1988, 19 x 19 cm.


1988







დეკორატიული პანო, ქალი მტრედით, მეტლახი,
ჭ., მაიოლიკა, რკინის ჟანგი, 1980-იანი წლები,
30 x 10 სმ.

Decorative panel of tiles, A woman with a dove,
glaze, maiolika, iron rust, 1980 ’s, 30 x 10 cm .

დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი,
თ., ჭ., პიგმენტი, მარილები, ჟანგეულები,
1980-იანი წლები, 21.5 x 10 სმ.

Decorative panel, Portrait of a Woman , clay, glaze,
pigment, salts, oxides, 1980 ’s, 21,5 x 10 cm.





დეკორატიული თეფში, ანგელოზი, თ., მაიოლიკა, პიგმენტები, ჟანგეულები, 1982 წ., D-14 სმ.

Decorative plate, Angel, clay, maiolika, pigments, oxides, 1982, D-14 cm .





დეკორატიული პანო, კოლხი ქალი, ქაშანური, მაიოლიკა, ჭ., ჟანგეულები, 1978  წ., 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Colchian Woman, faience, maiolica,  glaze, oxides, 1978, 15 x 15 cm.

ფერადოვანი ლაქები ფართო, განზოგადებული მონასმითაა დატანილი და მონუმენტურობას ანიჭებს წმინდა, დენადი ნახატით შემოფარგლულ გამოსახულებას. საღებავთა ფენებიც კედლის მხატვრობის ტექნიკის შესატყვისადაა შერჩეული და პანოს ზედაპირის ხავერდოვან ფაქტურას წარმოქმნის. რ.იაშვილისთვის სახასიათო ხერხით, ზემოდან თავისუფლად მიმოფანტული ოქრას ფერადოვანი ლაქების ეფექტებით გამოწვეულია ფრესკის სიძველის ასოციაცია ("მედეა", "ატენი").

ეს ამოცანები მომდევნო ეტაპზე საფუძვლად ედება ქაშანურის სტანდარტულ ფილებზე მოხატული კომპოზიციების გაჩენას. ისინი იმ დროს შენობათა მოპირკეთებისას ფართოდ გამოიყენებოდა. ქაშანურის ფილები მხატვრის ყურადღებას თავისი ორიგინალური პოლიქრომიით, განათებაზე ფაქიზი მგრძნობელობით იპყრობს. მათ ზედაპირზე აღბეჭდილ კომპოზიციებსაც რ.იაშვილი აკვარელის, ტემპერის, პასტელის ტექნიკების ეფექტებით მოხატავს. ყოველი პანოს („მოლოდინი," ქაშანური, ჭ., ჟანგეული, 1977 წ., „კოლხი ქალი", ქაშანური, მაიოლიკა, ჟანგეული, 1978 წ., „კოლხი ქალი", ქაშანური, მაიოლიკა, ჭ., ჟანგეული, 1978 წ., და ა.შ.) ფერწერულ ქსოვილს იგი საღებავის სქელი და თხელი ფენების, ფუნჯის თავისუფალი მონასმებით ქმნის, რომლის სწრაფი მონაცვლეობაც მხატვრული სახის შინაგან დინამიკას, ცოცხალ, ემოციურ მეტყველებას იწვევს. უკიდურესად განზოგადებული წერის მანერა რელიეფურ ფიგურას თითქოსდა ფერით „ძერწავს," რაც კერამიკული საღებავების არაერთგვაროვანი ფაქტურითაც ძლიერდება.

რ.იაშვილის დეკორატიული პანოები ამავე დროს სტილისტურად აირეკლავს ქართულ სახვით





დეკორატიული პანო,
შამოტი, მშრალი ჭ.,
1984 წ., 47 x 35 სმ.

Decorative panel,
fireclay, dry glazes,
1984, 47 x 35 cm.

ხელოვნებაში მიმდინარე ზოგად ტენდენციებს. მათ შორის კავშირის მოძიება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. პირველ რიგში, საზიაროა მყარი, ტექტონიკური, კლასიკურად აგებული კომპოზიცია, პლასტიკურად გამახვილებული ფორმის, ფერისა და ხაზის პირობითი, სიმბოლური მეტყველებით. თუმცა მთავარი შეხება, რაც კერამიკისთვის მნიშვნელოვანია, ნაწარმოების ყველა მხატვრული ელემენტის დეკორატიული თვისებების გაძლიერებისკენ მიდრეკილებას ასახავს. კერამიკულ ფილებზე გამოსახული კომპოზიციებიც, ისევე როგორც სახვითი დარგების ნამუშევრები, ამაღლებული, გარკვეულწილად ჰეროიზებული, ზოგჯერ ლირიკული და ინტიმური ინტონაციით გადმოსცემს სცენებს, რაშიც შეიგრძნობა წარსულისადმი რომანტიკული დამოკიდებულება. ამიტომ ეს მომცრო, კამერული პანოები ერთი მხრივ, დაზგური სახვითი ხელოვნების ნამუშევრებთან იწვევს ასოციაციას და ინტერიერში მყუდრო, ინტიმური ატმოსფერო შეუძლია შექმნას. თუმცა იმდენად ძლიერად ავლენს კერამიკის სპეციფიკას, რომ თვისობრივად განსხვავებული გამომხატველობა აქვს და ფერწერის, ან გრაფიკის იმიტირებას არ ახდენს. ამავე დროს თითოეული მათგანი არქიტექტურასთან სინთეზში გაიაზრება, დიდ მასშტაბზეა გათვლილი და თავისი მონუმენტური თვისებებით ნაგებობის ნებისმიერ სივრცეს შეუძლია მოერგოს. აქედან გამომდინარე სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ რ.იაშვილის მოხატული პანოები შუალედურ რგოლს იკავებს მონუმენტურ და საექსპოზიციო კერამიკას შორის, რაც მასშტაბის ცვალებადობის,



დეკორატიული პანო, ქალი პროფილში, თ., ჭ., პიგმენტები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 13 x 13 სმ.

Decorative panel, A woman's profile, clay, glaze, pigments, oxides,1980's, 13 x 13 cm.





დეკორატიული პანო, ტატიანა, ქაშანური, შერეული ტექნიკა, 1981 წ., 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Tatiana, faiance, mixed techniques, 1981, 15 x 15 cm.

ზომების გადიდების, ან შემცირების შესაძლებლობით საგრძნობლად აფართოებს მათი გამოყენების დიაპაზონს.

1980-1990-იანი წლები ის ხანაა, როდესაც რ.იაშვილი ვირტუოზული ოსტატობით ფლობს ტექნოლოგიის ყველა სახეობას, კერამიკული საღებავების მრავალფეროვანი მანიპულაციებით გადმოსცემს დაზგური, თუ მონუმენტური ფერწერის თითქმის ყველა ტექნიკის ეფექტებს. ზეთის, პასტელის, ტემპერისა, თუ ფერადი გრაფიკის შესატყვისად მოხატავს თიხის, ცეცხლგამძლე თიხის, შამოტის მასის, თუ ქაშანურის დაწნეხილ ფილებზე აღბეჭდილ კომპოზიციებს. მათი კოლორიტიდან გამომდინარე ვლინდება მხატვრული სახეების შინაგანი განცდები, სევდა, მწუხარება და ხალისიანი განწყობა.



დეკორატიული პანო, პეგასი, მეტლახი, ემალი, მარილები, ჟანგეულები, 1978 წ., 20 x 20 სმ.
Decorative panel of tiles, Pegasus, enamel, salts, oxides, 1980, 20 x 20 cm.

ისინი ამავე დროს თემატური პანოსა, თუ პორტრეტის სხვადასხვა ჟანრის დამკვიდრებას გვიჩვენებს და ძირითადად დაზგურ ხელოვნებას უკავშირდება, რის საფუძველზეც ამ პერიოდში ნამუშევრების დიდმა ნაწილმა წმინდა საექსპოზიციო ხასიათი შეიძინა. ამას ცხადჰყოფს კონკრეტული პირების პორტრეტები („ტატიანა", ქაშანური, შერეული ტექნიკა, 1981წ., „მანანა" თ., შერეული ტექნიკა, 1983წ., „მერაბ ბერძენიშვილი", ქაშანური, შერეული ტექნიკა, 1985წ.). აგრეთვე მხატვრის წარმოსახვით შექმნილი განყენებული გმირების ვრცელი გალერეა („მამაკაცი" ქაშანური, შერეული ტექნიკა, 1982წ., „მედეა" შამოტი, შერეული ტექნიკა, 1983წ., „ქართველი ქალი", მეტლახი, შერეული ტექნიკა, 1985წ., და ა.შ.).



დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, ქაშანური, ჭ., ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Portrait of a woman, faience, glaze, oxides, 1980's, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, ქაშანური, ჭ., პიგმენტი, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Woman’s portrait , faiance, glazes, pigment, oxides, 1980’s, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო,  ქალის პორტრეტი, თ., შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 10 x 10 სმ.
Decorative panel of tiles,  Portrait of a woman, clay, mixed techniques, 1980’s, 10 x 10 cm.

დეკორატიული პანო,  ქალის პორტრეტი, ცეცხლგამძლე  თ., წერნაქი, ჭ. პიგმენტები, 1980-იანი წლები, 22 x 14 სმ.
Decorative panel, Portrait of a woman, fireclay,  engobe, glaze, pigments, 1980’s,  22 x 14 cm.



კერამიკოსი მხატვრული სახის სულიერ საწყისს, მის შინაგან გამომხატველობას თუ მომენტალურ განწყობას ფერთა შეხამებების, მათი სიმბოლური ჟღერადობის საფუძველზე წარმოაჩენს, რისთვისაც თითეული ფერის ემოციურ შესაძლებლობებს მაქსიმალურად იყენებს, მისი დაბალი რეგისტრის ტონებიდან დაწყებული, მაღალი რეგისტრით დამთავრებული. ამავე დროს ფერწერულობის გასაძლიერებლად ფუნჯისა და მასტეხინის თავისუფალი მონასმების მსგავსად მოხატავს პანოს ზედაპირს, სხვადასხვა ფაქტურის მქონე საღებავების სქელი და თხელი ფენებით აღწევს გამოსახულების რელიეფურობას. განყენებული სახეების პორტრეტებში ეს სტილური თავისებურებები უკიდურეს ფორმას ღებულობს და მკაფიოდ გამოხატულ დეკორატიულობას ანიჭებს მათ.



დეკორატიული პანო, ელისო, ქაშანური, ჭ., პიგმენტები, მარილები, ჟანგეულები, 1980 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Eliso, faiance, glaze, pigments, salts, oxides, 1980, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, მერაბ ბერძენიშვილი, ქაშანური, მაიოლიკა, მარილები, ჟანგეულები, 1983 წ., 35 x 35 სმ.
Decorative panel of tiles, Merab Berdzenishvili, faiance, maiolika, salts, oxides, 1983, 35 x 35 cm.



დეკორატიული პანო, პორტრეტი, ქაშანური, მაიოლიკა, მარილები, ჟანგეულები, 1983 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Portrait , faiance, maiolika, salts, oxides, 1983, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, ქაშანური, მაიოლიკა, მარილები, ჟანგეულები, 1983 წ., 14 x 14 სმ.
Decorative panel of tiles, Portrait of a woman, faiance, maiolika, salts, oxides, 1983, 14 x 14 cm.



დეკორატიული პანო,
ქალის პორტრეტი,
ცეცხლამძლე
თ., მარილები,
ჟანგეულები, 1980-
იანი წლები,
9,5 x 4 სმ.

Decorative panel,
Portrait of a woman,
fireclay, salts, oxides,
1980’s,  9,5 x 4 cm.





დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, ცეცხლგამძლე თ., კერამიკული ფანქარი, კობალტი, მარილი, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 19,5 x 10 სმ.

Decorative panel,
Portrait of a woman, fireclay, ceramic pencil, cobalt, salt, oxides, 1980’s, 19,5 x 10 cm.

დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, ცეცხლამძლე თ., კერამიკული ფანქარი, კობალტი, მარილი, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 17 x 8 სმ.

Decorative panel, Portrait of a woman, fireclay, ceramic pencil, cobalt, salts, oxides, 1980, 17 x 8 cm.



დეკორატიული პანო, გოგონას პორტრეტი, ქაშანური, მაიოლიკა, მარილები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Portrait of a girl, faiance, maiolika, salts, oxides, 1980’s, 15 x 15 cm.

დეკორატიული პანო, მოლოდინი, მეტლახი, ანგობა, ჭ., პიგმენტები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 30 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Expectation, emgobe, glaze, pigments, oxides, 1980’s , 30 x 15 cm.



საგანგებოდ უნდა აღინიშნოს შერეული მასალის ურთულესი შემადგენლობა, რომლის ეფექტები მრავალჯერადი გამოწვის გზით მიიღება და რ.იაშვილის მიერ შემუშავებულ ინდივიდუალურ ტექნიკაზე საუბრის საფუძველს გვაძლევს.



დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, ქაშანური, წერნაქი, ჭ.,1980-იანი წლები, 7 x 10 სმ.

Decorative panel of tiles, Portrait of a woman, faiance, engobe , glazes, 1980's, 7 x 10 cm.

ფორმალური ძიებების განხორციელებაში მას მეტ თავისუფლებას აბსტრაჰირებული სახეები აძლევს. ეს დეკორატიული პორტრეტები ეთნიკურ ნიშნებს აღარ ატარებს და წარმოდგენილია იმ სიმბოლოს სახით, რომელიც აზრის ხატოვანი, მეტაფორული გადმოცემის დროს აღმოცენდება. მხატვარი გამოსახულების უკიდურეს სტილიზაციას, თითქმის აბსტრაქციამდე მიყვანილ განზოგადებას, ფერებისა და ნახატის თამამ შეთანხმებას მიმართავს და პანოს მკვეთრად გამოხატულ დეკორატიულობას აღწევს.

დაზგურობისაკენ მიდრეკილებას უპირატესად ჟანრული სცენები წარმოგვიდგენს („მეთუნე", ქვის მასა, კობალტი, 1992 წ., „ქალიშვილი კოკით" ქვის მასა, კობალტი, 1992 წ. და ა.შ.). კობალტით მოხატული ქვის მასის ფილების დეკორატიულობას ფაიფურის სითეთრე და სიმსუბუქე, სარკესავით პრიალა ფაქტურა, კობალტის საღებავით დატანილი გრაფიკული ელემენტებისა და მონოქრომული ფერწერის დაპირისპირებანი განსაზღვრავს. მათ ორიგინალურ ხასიათს ძირითადად ოვალური და წრიული მოყვანილობა იწვევს. ცალკე აღნიშვნის ღირსია 1980-იან წლებში, ქაშანურისა და შამოტის



დეკორატიული პანო, ქალი სფეროთი, თ, წერნაქი, ჭ., პიგმენტები, 1980-იანი წლები, 16 x 10 სმ.

Decorative panel, A women with a sphere, clay, engobe, glaze, pigments, 1980's, 16 x 10 cm.



დეკორატიული პანო, კაცი დოქით, ქაშანური, შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, A man with a jug, faiance, mixed techniques, 1980's, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ქალი პროფილში,  ქაშანური, შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 13 x 13 სმ.
Decorative panel of tiles, A woman’s profile, faiance, mixed techniques, 1980 ’s , 13 x 13 cm.



დეკორატიული პანო, ტორსი,
ქაშანური, ჭ., პიგმენტები,
მარილები, 1980-იანი წლები,
16 x 4 სმ.
Decorative panel of tiles, Torso,
faiance, glazes, pigments, salts,
1980’s, 16 x 4 cm.



დეკორატიული პანო, კაცი ბოთლით, ქაშანური, ჭ., ჟანგეულები,
1980-იანი წლები, 24 x 13, 5 სმ.
Decorative panel of tiles, A man with a bottle, faiance, glazes, oxides, 1980’s, 24 x 13,5. cm.

ფილებზე შერეული ტექნიკით შესრულებული „ნიუს“ საკმაოდ ვრცელი სერია, რომელიც უაღრესად თავისუფალი ფერწერული მანერით გადმოსცემს ფიგურათა მრავალფეროვან პლასტიკას.

ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ რ.იაშვილი მონუმენტურ კერამიკასთან კავშირს წყვეტს. ამ მიმართულებით მოღვაწეობას იგი აგრძელებს, მაგრამ შემოქმედებით მეთოდში ცვლილებები შეაქვს: პირველ რიგში, ნამუშევრის მონუმენტურობის გასამძაფრებლად მის ზომებს საგრძნობლად ზრდის. ამავე დროს ფილებზე დატანილ უმეტესად მრავალფიგურიან კომპოზიციებს ბევრად რთული ქვეტექსტებით გადმოსცემს, თუმცა წინარეხანის თემატიკას აგრძელებს. კვლავინდებურად წამყვანია პასტორალის მოტივები, რომელიც ამჯერად თავისი მდიდარი მრავალსახოვნებით წარმოგვიდგება („მწყემსი“, თ., შერეული ტექნიკა, 1982წ., „სახიობა“, შამოტი, შერეული ტექნიკა, 1982წ., „ბერიკაობა“, მეტლახი, შერეული ტექნიკა, 1986წ.). თემის „გახსნა“ სიღრმესა და ფილოსოფიური განსჯის ნოტებს იძენს. ხალხური ტრადიციების წარუვალობის, მისი მარადიულობის განცდა ავტორს ზოგადსაკაცობრიო სიმაღლემდე აჰყავს და თავის დამოკიდებულებას ერთგვარად სევდიანი, არც თუ იშვიათად დრამატული ინტონაციითაც წარმოაჩენს. ამიტომ ამ პერიოდის პანოების მხატვრული ინტერპრეტაცია ძველსა და თანამედროვე მონუმენტური ფერწერის სტილისტიკას აერთიანებს. პანოები მძლავრი, მონოლითური ფიგურებით აგებული კლასიკური კომპოზიციებია, რომლის მყარი სტრუქტურა და მტკიცე არქიტექტონიკა მკვეთრი ნახატისა და



დეკორატიული პანო,
ამბორი, ქაშანური,
შერეული ტექნიკა,
1980-იანი წლები,
15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles,
Kiss, faiance, mixed
techniques, 1980's,
15 x 15 cm.





დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, თ., წერნაქი, ჭ., მარილები, რკინის ჟანგი, 1980-იანი წლები, 10 x 10 სმ.
Decorative panel, clay, engobe, glaze, salts, iron rust, 1980’s, 10 x 10 cm.

ფერთა შეხამებების აღმავალი დინამიკური რიტმით ყალიბდება. საღებავების განსხვავებული ფაქტურებით, თავისუფალი მონასმებით კედლის მხატვრობის სრული ილუზიაა მიღწეული.



დეკორატიული პანო, ბიჭი, თ, ჭ., წერნაქი, მარილები, რკინის ჟანგი, 1980-იანი წლები, 10 x 10 სმ.
Decorative panel, A boy, clay, glazes, engobe, salts, iron rust, 1980's, 10 x 10 cm.

მრავლისმომცველი ასოციაციების გაჩენას ყველაზე მეტად საჩინოს ხდის ის თემატური პანოები, რომელშიც კიდევ უფრო ძლიერდება აზრის ხატოვანი, მეტაფორული გადმოცემისკენ მისწრაფება („ომის ექო", მეტლახი, შერეული ტექნიკა, 1985წ., „დუმილი", თ., შერეული ტექნიკა, 1985წ., „ატენი", თ., შერეული ტექნიკა, 1988წ., „გაცილება", შამოტი, ჭ., ჟანგეულები, 1994წ., „შეხვედრა", ქაშანური, ჭ., ჟანგეულები, 1995წ.). სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მასალით შექმნილ დედაშვილობასთან დაკავშირებულ პანოებში კერამიკოსს წონასწორობაში მოჰყავს მიწიერი და სულიერი საწყისები. სიუჟეტისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობით მიდგომამ და სულიერი საწყისის გამოვლენის მიზანმა განაპირობა. რ.იაშვილის შემოქმედებაში რელიგიური თემატიკის შემოჭრაც („ანგელოზი", თ., მაიოლიკა, პიგმენტი, ჟანგეულები, 1982წ., „მლოცველი", ქვის მასა, კობალტი, 1992წ., და სხვა). თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მეტი როლი ითამაშა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობის ეფექტების მიღების მიზანმა, რომელიც შინაარსობრივად რელიგიურ თემატიკას ასახავს და 1980-იანი წლების შუახანებიდან ფერწერული ძიებებისა, თუ „სახვითი" ტექნიკების კერამიკის ენაზე ამეტყველების უმნიშვნელოვანეს ამოცანას უკავშირდება.





ამიტომ, რ.იაშვილის მოხატული პანოების თვისობრივად განსხვავებულ გამომხატველობას, უპირველესად რთული შემადგენლობის კერამიკული მასალა და მხატვრის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური ტექნიკა განსაზღვრავს. ამ გზით კერამიკოსი სივრცეში მათი მოქმედების არეალს აფართოებს და ჭეშმარიტად „ფერწერულ“ კერამიკას ქმნის, რომლის მხატვრულ ქსოვილს მონუმენტური ნაწარმოების ყველა თვისება და მასშტაბურად გარდასახვის უნარი აქვს.



დეკორატიული პანოები:
Decorative panels of tiles:

ხევსური ქალები, ქვის მასა, კობალტი, ჟანგი, 1992 წ., 12 X 7 სმ.
Khevsurian women, stone mass, cobalt, oxide, 1992. 12 X 7 cm.

ქალი თავსაბურავით, ქაშანური, ჭ., კობალტის მარილი, სპილენძის ჟანგი, 1992 წ., 12 x 10 სმ.
A woman with a headgear, faiance, glaze, cobalt salt, copper rust, 1980, 12 x 10 cm.

ქალიშვილი დოქით, ქვის მასა, კობალტი, ჟანგი, 1992 წ., 21 x 10 სმ.
A maiden with a jug, stone mass, cobalt, oxide, 1992, 21 x 10 cm.

ქალიშვილი, ქვის მასა, კობალტი, ჟანგი, 1992 წ., 15,5 X 7,5 სმ.
A maiden, stone mass, cobalt, oxide, 1992, 15,5 X 7,5 cm.

მლოცველი, ქვის მასა, კობალტი, ჟანგი, 1992 წ., 16 X 14,5 სმ.
Prayer, stone mass, cobalt, oxide, 1992, 16 X 14,5 cm.









დეკორატიული პანო, მანანა, თ., ჭ., მაიოლიკა, მარილები ჟანგეულები, 1983 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Manana, clay, glaze, maiolika, salts, oxides, 1983, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, მეთუნე, მეტლახი, ჭ., პიგმენტები, ჯანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, Potter, glaze, pigments, oxides, 1980's, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, მოლოდინი, მეტლახი, შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 30 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Expectations, mixed techniques, 1980’s, 30 x 15 cm.





დეკორატიული პანო,  ქართველი ქალი, შამოტი, ჭ., მაიოლიკა, ჟანგეულები, 1982 წ., 24 x 24 სმ.
Decorative panel, Georgian woman, fireclay, glaze, maiolika, oxides, 1982, 24 x 24 cm.





დეკორატიული პანო, ქალი წყაროსთან, შამოტი,  ჭ., მაიოლიკა, ჟანგეულები, 1982 წ.,  24 x 24 სმ.

Decorative panel, A woman at a spring, fireclay, glaze, maiolika, oxides, 1982, 24 x 24 cm.



დეკორატიული პანო, ქალი კრავით, ქაშანური, წერნაქი, მაიოლიკა, მარილები,
1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, A woman with a lamb, faiance, engobe, maiolika, salts, 1980’s, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, მეთუნე,,
მეტლახი, ჭ., მაიოლიკა, პიგმენტი,
ჟანგეულები,  1980-იანი წლები,
20 x 10 სმ.

Decorative panel of tiles, Potter; glaze,
maiolika, pigment, oxides, 1980’s,
20 x 10 cm.



დეკორატიული პანო,
დედაშვილობა, თ., ჭ., პიგმენტი,
ჟანგეულები, 1983, 15 x 10 სმ.

Decorative panel, Motherhood, clay,
glaze, pigment, oxides,, 1983,
15 x 10 cm.



დეკორატიული პანო, სახიობა, შამოტი, ჭ., მაიოლიკა, პიგმენტები, 1982 წ., 23,5 x 14 სმ.
Decorative panel, Performance, fireclay, glaze, maiolika, pigments, 1982, 23,5 x 14 cm.



დეკორატიული პანო, ბერიკა, შამოტი, ჭ., მაიოლიკა, პიგმენტები , 1983 წ., 30 x 15 სმ.

Decorative panel, Berika, fireclay, glaze, maiolika, pigments , 1983, 30 x 15 cm.





დეკორატიული პანოები: ქალი კრავით, მეტლახი, ჭ., მაიოლიკა, 1980-იანი წლები, 22 x 11 სმ., 30 x 15 სმ.

Decorative panels of tiles, A women with a lamb, glaze, maiolica, 1980’s, 22 x 11 cm., 30 x 15 cm.



დეკორატიული პანოები: შამოტი, წერნაქი, ჭ., პიგმენტები, მარილები, 1980-იანი წლები:
მესაზანდრე, 9,5 x 4 სმ., ქალი ბროწეულით, 15 x 11 სმ.

Decorative panels: fireclay, glaze, engobe, pigments, salts, 1980's,
Musician, 9,5 x 4 cm., A woman with a pomegranate, 15 x 11 cm.





დეკორატიული პანო, კერამიკოსი, ფაიფური, მაიოლიკა, ჟანგეული, 1980-იანი წლები, D-11 სმ.

Decorative panel, Ceramist, porcelain, maiolika, oxides, 1980’s D-11 cm.

დეკორატიული პანო, ქალი სფეროთი, მეტლახი, წერნაქი, ჭ., პიგმენტები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 21 x 10 სმ.

Decorative panel of  tiles, A woman with a sphere, engobe, glazes, pigments, oxides, 1980’s, 21 x 10 cm.





დეკორატიული პანო, ბერიკა, ფაიფური, კობალტი, 1980-იანი წლები, 23 x 18,5 x 16 სმ.
Decorative panel, Berika, porcelain, cobalt, 1980's, 23 x 18,5 x 16 cm.



დეკორატიული პანო, ქალი დოქით, ქაშანური,
შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel, A woman with a jug, faiance,
mixed techniques, 1980's, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ქალი კრავით, მეტლახი, წერნაქი,  ჭ., 1980-იანი წლები, 30 x 15 სმ.

Decorative panel of tiles, engobe, glaze, 1980’s, 30 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ნიუ, ქაშანური, წერნაქი, ჭ., პიგმენტი, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel, Nude, faiance, glaze, engobe, pigment, 1980's, 15 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ქალის პორტრეტი, მეტლახი, შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel of tiles, Portrait of a woman, mixed techniques, 1980’s, 15 x 15 cm.

დეკორატიული პანო, მომლოცველები, ქაშანური, კობალტი, რკინის ჟანგი, 1980-იანი წლები, 21 x 13 სმ.
Decorative panel of tiles, Pilgrims , faiance, cobalt, iron oxide, 1980’s, 21 x 13 cm.





დეკორატიული პანო,  მეთუნე,, მეტლახი,  წერნაქი, ჴ., ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 11 x 8 სმ.
Decorative panel of  tiles, Potter, glaze, engobe, oxides, 1980's, 11 x 8 cm.

დეკორატიული პანო,  ბერიკა,  მეტლახი,  შერეული ტექნიკა, 1983 წ.,  20 x 10 სმ.
Decorative panel of  tiles, Berika, mixed techniques, 1983,  20 x 10 cm.







დეკორატიული პანო,
შამოტი, ჭ., მშრალი ჭ.,
პიგმენტი,
1980-იანი წლები,
50 x 68 სმ.

Decorative panel,
fireclay, glaze,
dry glaze, pigments,
1980's, 50 x 68 cm.



დეკორატიული პანო, დედაშვილობა, მეტლახი, წერნაქი, ჭ., პიგმენტი, 1980-იანი წლები, 20 x 10 სმ.
Decorative panel of tiles, Motherhood, glaze, engobe, pigment, 1980's, 20 x 10 cm.



დეკორატიული პანო, ნიუ,
ქაშანური, ჭ., პიგმენტები,
1980 წ., 30 x 15 სმ.

Decorative panel of tiles,,
Nude, faiance, glaze,
Pigments, 1980, 30 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ნიუ, მეტლახი, წერნაქი,
პიგმენტები, მარილები, 1980-იანი წლები, 14 x 14 სმ.

Decorative panel of tiles, Nude, engobe,
pigments, salts, 1980's, 14 x 14 cm.



დეკორატიული პანო, ნიუ, ცეცხლგამძლე თ.,
შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 14 x 14 სმ.

Decorative panel, Nude, fireclay, mixed techniques,
1980's, 14 x 14 cm.



დეკორატიული პანო, ქალი თავშლით, მეტლახი, ემალი, პიგმენტი, მარილები, 1980-იანი წლები, 20 x 10 სმ.

Decorative panel of tiles, A woman with a headgear, enamel, pigment, salts, 1980’s, 20 x 10 cm.



დეკორატიული პანო, ქალი, მეტლახი, წერნაქი, ჭ., პიგმენტი, მარილები, 1980-იანი წლები, 19 x 19 სმ.
Decorative panel of tiles, Woman, glaze, engobe, pigment, salts, 1980’s, 19 x 19 cm.



დეკორატიული პანო, მამაკაცის თავი,  მეტლახი, შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.
Decorative panel  of  tiles, A man's head,  mixed  techniques, 1980's, 15 x 15 cm.





დეკორატიული პანო, გაზაფხულის სიმღერა, შამოტი, ჭ., მაიოლიკა, პიგმენტები, მარილები, ჟანგეულები, 1983 წ., 47 x 35 სმ., სემ. ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N3552

Decorative panel, Song of spring, fireclay, glaze, maiolika, pigments, salts, oxides,1983, 47 x 35 cm., GNM. Museum of Fine Arts, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N3552





დეკორატიული პანო, სახიობა, შამოტი, ჭ., მარილები, ჟანგეულები, 1982 წ., 40 x 28 სმ.
Decorative panel, Performance, fireclay, glaze, salts, oxides, 1982, 40 x 28 cm.

დეკორატიული პანო, მლოცველი, ქაშანური, სხვადასხვა ჭ., ავტორისეული ტექნიკა, 1990-იანი წლები, 20 x 10 სმ.
Decorative panel of tiles, Prayer, faience, different glazes, Author's technique, 1980's, 20 x 10 cm.



დეკორატიული პანო, პორტრეტი, ქაშანური, მარილები, 1983 წ., 22 x 10 სმ.
Decorative panel of tiles, Portrait, Faiance, Salts,1983, 22 x 10 cm.



დეკორატიული პანო, პორტრეტი,  ქაშანური, მშრალი ჭ., 1984 წ., 47 X 35 სმ.
Decorative  panel of  tiles,  Portrait,  Faiance, dry glaze, 1984., 47 X 35 cm.



დეკორატიული თეფში, პორტრეტი, თ., ჭ., შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, D-18  სმ.
Decorative  plate, Portrait, clay, glaze, mixed techniques, 1980’s, D-18 cm.



დეკორატიული პანო, ქალი სანთლით,
თ., ჭ., შერეული ტექნიკა,
1980-იანი წლები, 30 x 15 სმ,

Decorative panel, A woman with a candle,
clay, glaze, mixed techniques,
1980’s, 30 x 15 cm.



დეკორატიული პანო, ომის ექო, ცეცხლგამძლე თ., წერნაქი, ჭ., პიგმენტი, ჟანგეულები, 1985წ., 107-50 სმ., სემ. ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N3347

Decorative panel, Echo of war, fireclay, engobe, glaze, pigment, oxides, 1985, 107-50 cm., GNM. Museum of Fine Arts, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N3347



დეკორატიული პანო, შეხვედრა, შამოტი,
შერეული ტექნიკა, 1980-იანი წლები, 23,5 x 9 სმ.

Decorative panel, Meeting, fireclay,
mixed techniques, 1980’s, 23,5 x 9 cm.



დეკორატიული პანო, ნიუ,
მეტლახი, წერნაქი, მშრალი ჭ.,
მარილები, 1990 წ., 21,5 x 10 სმ.

Decorative panel of tiles,
Nude, engobe, dry glaze, salts, 1990,
21,5 x 10 cm.



დეკორატიული პანო, ნიუ, ცეცხლგამძლე თ., წერნაქი, მაიოლიკა, პიგმენტი, მარილები, 1980-იანი წლები, 19,5 x 10 სმ.

Decorative panel, Nude, fireclay, angobe, maiolica, pigment, salts, 1980's, 19,5 x 10 cm.





დეკორატიული პანო, მხატვრული ტანვარჯიში, ცეცხლგამძლე თ., ჭ., პიგმენტები, 1990 წ., 47,5 x 34,5 სმ., სემ. ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N დრ-28

Decorative panel, Artistic gymnastics, fireclay, glaze, Pigments, 1990, 47,5 x 34,5 cm., GNM, Museum of Fine Arts, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N DR-28

დეკორატიული პანო, ბერიკაობა, შამოტი, ჭ., პიგმენტები,1983 წ., 30 x 15 სმ.

Decorative panel, Performance, fireclay, glaze, pigments, 1983, 30 x 15 cm.



დეკორატიული პანო, მოსე, მეტლახი, ჭ., წერნაქი, პიგმენტი, მარილები,, 1980-იანი წლები, 19 x 19 სმ.
Decorative panel of tiles, Moses, glaze, engobe, pigment, salts, 1980’s, 19 x 19 cm.

დეკორატიული პანო, მეთუნე, მეტლახი, მშრალი ჭ., 1984 წ., 47,5 x 34,5 სმ.,
Decorative panel of tiles, Potter, dry glaze, 1984, 47 x 34,5 cm.







დეკორატიული პანო, ქალი კრავით, შამოტი, მშრალი ჭ., წერნაქი, მარილები 1980-იანი წლები, 47,5 x 34 სმ.
Decorative panel of tiles, A woman with a lamb, fireclay, dry glaze, engobe, maiolica, salts, 1980’s, 47,5 x 34 cm.

დეკორატიული პანო, ნათლობა, შამოტი, მშრალი ჭ., წერნაქი, მაიოლიკა, მარილები, 1983 წ., 47,5 x 34 სმ.,
Decorative panel, Christening, fireclay, dry glaze, engobe, salts, 1983, 47,5 x 34 cm.



დეკორატიული პანო, ნათლობა, შამოტი, შერეული ტექნიკა, 1983 წ., 47,5 x 34 სმ.
Decorative panel, Christening, fireclay, mixed techniques,1983, 47,5 x 34 cm.

დეკორატიული პანო, ბერიკა ჯამბაზებით, ცეცხლგამძლე თ., წერნაქი, მშრალი ჭ., პიგმენტი, მარილები, 47,5 x 34 სმ.
Decorative panel, Berika with clowns, fireclay, engobe, dry glaze, pigment, salts, 1980's, 47,5 x 34 cm.







დეკორატიული პანო, ბერიკაობა, შამოტი, ჭ., მშრალი ჭ., პიგმენტი, 1980-იანი წლები, 50 x 68 სმ., სემ. ხელოვნების მუზეუმის გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N დრ-53

Decorative panel, Performance, fireclay, glaze, dry glaze, pigments, 1980's, 50 x 68 cm. , GNM. Museum of Fine Arts, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N DR-53



„რევაზ იაშვილი პირველი იყო, ვინც ჩამახედა
საკუთარ თავში...  იგი დიდოსტატია, ვის
ხელშიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული
თითქმის ყველა თაობამ გაიარა“[39]

თემო გოცაძე

ნაცლის ამ წიგნში ქართული მხატვრული კერამიკა, შუასაუკუნ-
კერამიკის შესახებ სრულყოფილ მონაცემს, [illegible] სრულად
[illegible] იქნა გადმოცემა-გაანალიზება, რომლის მხატვრული დონე
წლიდან 50-იანი წლების ბოლოს მხატვრული და ტექნოლოგიური
ხარისხით [illegible] და [illegible] მხატვრული გადაგვარების და გაანა-
[illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] კერამიკის
[illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ~~[illegible]~~ [illegible]-
[illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] ~~[illegible]~~ [illegible] [illegible].

რაში გამოიხატება სპეციფიკა კერამიკისა? ამ [illegible] [illegible]
სამ ძირითად [illegible], რომლებიც [illegible] [illegible] [illegible]
ქართული კერამიკის [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] და [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible], და ა. შ.

[illegible] კერამიკის [illegible], [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible].

1. ახალი [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible]
[illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

2. კერამიკის სხვა [illegible] სახეებში ახალი მხატვრული [illegible]
[illegible] [illegible] [illegible]. [illegible] [illegible] [illegible] კერამიკის,
[illegible], და სხვ.

3) [illegible] [illegible] [illegible] კერამიკის ტექნიკური [illegible],
[illegible] [illegible] სხვა [illegible] მხატვრული [illegible], კერამიკის [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible].

4. [illegible] და [illegible] [illegible].

## პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

რეზო იაშვილი შემოქმედი და პედაგოგი, მისთვის განუყოფელი ორი სფეროს მსახური, თავის სამყაროში, სახელოსნოში, ოჯახის, მეგობრების, სტუდენტების, კოლეგებისა და ხელოვნების მოყვარულთა გარემოცვაში შეუპოვრად განაგრძობდა ცხოვრებასა და საქმიანობას. მერაბ კოკოჩაშვილი იგონებს: „ძნელია, თბილისში მოიძებნოს მხატვარი, მუსიკოსი, რეჟისორი, საერთოდ ხელოვანი, ამ სახელოსნოს კარი რომ არ შეეღოს... ხელოვნებაზე საუბარს მოწყურებული ადამიანები მოდიოდნენ და მოდიოდნენ“[40], „რათა იქ, იმ კარს მიღმა, ჩაძირულიყვნენ შინაური მყუდროებით გამთბარ სამუშაო ატმოსფეროში, ატმოსფეროში კეთილგანწყობისა და წყნარი, ძალდაუტანებელი საუბრებისა“[41] - წერს ჯემალ ლოლუა. ამ ატმოსფეროს აგრეთვე ქმნიდა რევაზ იაშვილის განუყრელი თანამგზავრი, მეუღლე, ცნობილი შემოქმედი და პედაგოგი ალდე კაკაბაძე. რ.იაშვილმა გაიარა პედაგოგის კარიერის ყველა საფეხური და მოიპოვა ყველა წოდება. სტუდენტები, რომლებიც რ.იაშვილის ირგვლივ ტრიალებდნენ, შემდეგ მისი მეგობრები ხდებოდნენ. მათ ანდამატივით იზიდავდათ ხალისიანი და იუმორით აღსავსე, სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილი მაესტრო, რომელმაც კერამიკოსების აღზრდა-განათლებას მთელი ცხოვრება შეალია.

რევაზ იაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწისა და პედაგოგის მრწამსზე თავად მისი წერილები საუბრობენ. მხატვარს აინტერესებს კერამიკის

---

39. თ. გოცაძე, მაგალითი მსახურებისა, რევაზ იაშვილის ალბომი, გვ. 21
40. მ. კოკოჩაშვილი, ფიროსმანის ოცნება შენ აასრულე, რევაზ იაშვილის ალბომი, გვ.17
41. ჯ. ლოლუა, სიტყვა რევაზ იაშვილზე, რევაზ იაშვილის ალბომი, გვ. 28



რევაზ იაშვილი,  ალდე კაკაბაძე,  1987 წ.
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, 1987.



Revaz Iashvili, Jemal Lolua, 1980's.





დარგის ყველა ასპექტი. პირველ რიგში განიხილავს მისი განვითარების ისტორიას, რომელიც უკავშირდება თბილისის სამხატვრო აკადემიას და იმ პროფესიონალებს, მის წინამორბედ თუ უშუალო პედაგოგებს, რომელთა მოღვაწეობით ახალგაზრდა კადრების სწორი აღზრდის მეთოდები იკვეთება.

რ.იაშვილი კერამიკის კომპოზიციის სწავლების მრავალგზის გამოცდილი ძველი მეთოდიკის განახლებაზე მუშაობას იწყებს ავტოკატასტროფის შემდეგ, 1970-იანი წლების დასაწყისიდან. რ.იაშვილის აზრით: „სასწავლო პროგრამის შედგენისას აუცილებელია ანგარიში გაეწიოს იმ დიდ ძვრებს, მოვლენებს, რაც ცხოვრებაში ხდება და რაც თავისთავად გავლენას ახდენს მხატვრული კერამიკის ხელოვნებაზე. ახალმა მასალებმა, ტექნოლოგიის მიღწევებმა გააფართოვა მხატვრული კერამიკის დიაპაზონი და თავისთავად შეცვალა მხატვარ-კერამიკოსის მიმართ მოთხოვნილება. ამიტომ კადრების მომზადების სასწავლო პროცესი მგრძნობიარედ უნდა რეაგირებდეს ცვლილებებზე. შემოთავაზებული სწავლების პროგრამის თანახმად, კურსდამთავრებულ ახალგაზრდა კერამიკოსს უნდა შეეძლოს მაღალმხატვრული ნაკეთობების შექმნა ფაიფურში, ფაიანსში, ფერადსა, თუ ცეცხლგამძლე თიხებში. იგი თავისუფლად უნდა ფლობდეს ამ მრავალფეროვან მასალათა ტექნოლოგიას, კერამიკის მხატვრულ ხერხებს და მთელი ძალით გამოავლინოს მასალის სიმშვენიერე. ასევე უნდა შეეძლოს, მხატვრულად გადაწყვიტოს მოცემული ექსტერიერისა და ინტერიერის, პარკისა, თუ მოედნის გაფორმება."[42] რ.იაშვილი თვლის, რომ

42. რ. იაშვილი, კურსის მიზანი და ამოცანები, ნაბეჭდი წერილი, პირადი არქივი, 1975 წ., გვ. 2

ძველი პროგრამით აღზრდილი „ფართო პროფილის“ კერამიკოსი არ იქნება სრულყოფილად დაუფლებული არც გამოყენებითი ხელოვნების საიდუმლოებას და არც მონუმენტური კერამიკის რთულ ხელოვნებას. ამიტომ საჭიროა, სწავლება მოხდეს სტუდენტის ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით, უტილიტარული, ან მონუმენტური განხრით. ამ პრობლემის გადასაწყვეტად, რ.იაშვილის წინადადებით და მონუმენტური კერამიკის სწავლების მისივე პროგრამით, 1976 წელს, კერამიკა-მინის კათედრასთან იხსნება მონუმენტური კერამიკის სახელოსნო, რომელიც კადრებს ამზადებს ამ მიმართულების სპეციალიზაციით.[43]



შეიძლება ითქვას, რომ რ.იაშვილს აუხდა ოცნება, რომელიც 1960-იანი წლებიდან მოსვენებას არ აძლევდა. როგორც მონუმენტური ხელოვნებისადმი მიძღვნილ თავში აღინიშნა, ასეთი განყოფილების ჩამოყალიბების იდეა მან ჯერ კიდევ 1963 წელს ხმამაღლა გააჟღერა, მაგრამ უშედეგოდ. რ.იაშვილი სინანულით აღნიშნავს, რომ მაშინ აპ.ქუთათელაძის მიერ მოსკოვში წამოყენებულმა მონუმენტური კერამიკის განხრის დაარსების იდეამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა სტროგანოვის სახ. უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელში, რომელმაც უყოყმანოდ გახსნა არქიტექტურული კერამიკის სახელოსნო და მეტად გაიუმჯობესა კადრების აღზრდის საქმე. თბილისის სამხატვრო აკადემიაში კი პირიქით, მკვეთრად შემცირდა კერამიკის კომპოზიციის სწავლების საათები.

43. რ.იაშვილი, მოხსენება კომპოზიციის სწავლების გადახალისების შესახებ, საკითხი განხილული და დამტკიცებული იქნა თსსა მეთოდსაბჭოზე, ოქმი N2/14 11.VI.1976 წ., ოქმი N3/15 22.VII.1976 წ.



რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, ქეთევან რუხაძე, გიორგი ტატულაშვილი, მურთაზ კიკნაძე, 1977 წ.
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, Ketevan Rukhadze, Giorgi TatulaShvili, MurTaz kiknadze, 1977.



რევაზ იაშვილი, მარიკა იზორია, ქეთევან ბოცვაძე, ქეთევან გეგეშიძე, 1986 წ.
Revaz Iashvili, Marika Izoria, Ketevan Bocvadze, Ketevan Gegeshidze, 1986.

მიუხედავად ამისა, რ.იაშვილი არაოფიციალურად მაინც ცდილობს საკუთარი იდეის ხორცშესხმას. ამას ცხადჰყოფს 1963 წლის, მისი პირველი გამოშვების სადიპლომო ნამუშევრები, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შამოტის რელიეფური პანოებით. ზოგი მათგანი განკუთვნილი იყო ქალაქის კონკრეტული შენობის მოსართავად. ასე მაგალითად, რ.იაშვილის დიპლომანტის, რ.მელიქიძის კერამიკული კედელი და შადრევანი იმთავითვე გამოყენებული იქნა კურორტ ბალნეოლოგიურის სახურავზე გამართული მცირე ეზოს გასაფორმებლად. მეორე დიპლომანტის, თ.გობეჯიშვილის შამოტის პანომ თბილისის კრწანისის რაიონის წინდების ფაბრიკის ექსტერიერი დაამშვენა.

რ.იაშვილი თავის ერთ-ერთ წერილში მოგვითხრობს: „ეს ის დრო იყო, როცა ჩვენ ჯერ კიდევ გვიხდებოდა მტკიცება იმისა, რომ მონუმენტური კერამიკა სრულიადაც არაა ზედმეტობა და არც უთავბოლო ხარჯვა სახალხო სახსრებისა, რომ იგი მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ახალი არქიტექტურის ფორმირებაში... და აი, 12 წლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ 1963 წელს საკითხი დროულად ყოფილა დასმული, მაგრამ ჩვენმა უპრინციპობამ, განუწყვეტელმა კამათმა და იმის მტკიცებამ, რომ სხვა სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებში მონუმენტური კერამიკის კლასი არ არსებობს და ამიტომ არც ჩვენთვისაა მისი გახსნა მიზანშეწონილი, ქართული მონუმენტური



რევაზ იაშვილი, ალდე კაკაბაძე, გია იაშვილი, ლევან ლაღიძე, რეზო ფირცხალაიშვილი, 1987 წ.
Revaz Iashvili, Alde Kakabadze, Gia Iashvili, Levan Lagidze, Rezo Pirtskhalaishvili, 1987.

კერამიკა არაპროფესიონალებს ჩაუგდო ხელში.“[44] რ.იაშვილი როგორც ჩანს, „არაპროფესიონალებ-ში“ გულისხმობდა არქიტექტორებისა და სახვითი ხელოვნების მხატვრების ხელისუფლებასთან დაახლოებულ გუნდს, რომელიც იმ პერიოდში ე.წ. „სახელმწიფო შეკვეთებს“ იღებდა და საქართველოს ქალაქების შენობათა ფასადებს, ინტერიერებს, ავტობუსის გაჩერებებსა თუ პავილიონებს, თბილისის მეტროპოლიტენის ვესტიბიულებს აქტიურად აფორმებდა უმეტესად „საეჭვო“ ხარისხის კერამიკული პანოებით. ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ საქართველოს არ ჰყავდა მაღალკვალიფიციური მონუმენტალისტი



დეკორატიული პანოს ესკიზი, გოგონა ბურთით
Decorative panel, sketch, A girl with a ball



44. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ.4

კერამიკოსები. რ.იაშვილის ღრმა რწმენით, მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობს: „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრაზე დაუყოვნებლივ უნდა გაიხსნას მონუმენტური კერამიკის კლასი მესამე კურსიდან მაინც. ამ საქმის გადადება არ შეიძლება, რადგან მშენებლობები სწრაფი ტემპებით სწარმოებს, შენდება ახალი ქალაქები, სოფლის ანსამბლები, საზოგადო და საწარმოო ნაგებობანი, რომელთა თანამედროვე სახის ფორმირებაში თვალსაჩინო როლს თამაშობს მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნება და კერძოდ, მონუმენტური კერამიკა“[45]. მისი აზრით, ამაზე მიგვითითებს 1973 წელს, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში გამოყენებით-დეკორატიულ განყოფილებასთან ჩამოყალიბებული ახალი სექტორი, რომელიც ყოველწლიურად ამუშავებს მონუმენტურ-დეკორატიული ხელოვნების აქტუალურ პრობლემებს.



დეკორატიული პანო, აბსტრაქცია, თ., მაიოლიკა, ჭ., პიგმენტები, ჟანგეულები, 1980-იანი წლები, 15 x 15 სმ.

Decorative panel, Abstraction, clay, maiolica, glaze, pigments, oxides, 1980's, 15 x 15 cm.

რ.იაშვილის მონუმენტური კერამიკით გატაცების მიუხედავად, იგი სრულებითაც არ ადუნებს უტილიტარული დარგისადმი ყურადღებას. კვალიფიციური კადრების აღზრდა, ახალი მოთხოვნების შესატყვისად, მას არანაკლებ საშურ საქმედ მიაჩნდა. რ.იაშვილი ფიქრობდა, რომ უკანასკნელ წლებში, 1970-იანი წლების პირველ ნახევარში პრობლემა გახდა ყოველდღიურად გამოსაყენებელი ფაიფურ-ფაიანსის მაღალმხატვრული ჭურჭლის გამოშვება. ამ წლებში, ქ. ზუგდიდ-

45. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ.4-5



ქართული კერამიკის გამოფენა,
სურათების ეროვნული გალერეა, 1968 წ.

Exhibition of Georgian ceramics, National picture gallery, 1968.

ში აშენდა ფაიფურ-ფაიანსის დიდი კომბინატი, რომლის მთელი ძალით ამუშავებისთვის ორმოცდაათამდე მხატვარი შემოქმედი და სამასამდე ოსტატი შემსრულებელი კერამიკოსი იყო საჭირო, ასეთი რაოდენობის კადრების მომზადებას კი წლები სჭირდებოდა. ამავე დროს დაგეგმილი იყო ქ. მახარაძის (ოზურგეთი) ფაიფურის ქარხნის რეკონსტრუქცია, რადგან იგი წლების მანძილზე ტექნიკურ ფაიფურს უშვებდა. გაფართოვდა მოქმედი ფაიფურ-ფაიანსის საამქროებიც. ამიტომ მონუმენტურზე არანაკლებად დიდი მოთხოვნილება გაჩნდა მაღალკვალიფიციური გამოყენებითი პროფილის მქონე, განსაკუთრებით ფაიფურ-ფაიანსის განხრით მომუშავე კერამიკოს მხატვრებზე. აქედან გამომდინარე, მოკლე დროში უნდა გამოსწორებულიყო კადრების აღზრდის მეთო-











დებში დაშვებული ნაკლოვანებები: „ამ ამოცანის დაძლევა არც ისე საძნელო საქმე იქნება, თუკი კერამიკის კათედრაზე მესამე კურსიდან გამოყენებითი კერამიკის გვერდით ჩამოყალიბდება მონუმენტური კერამიკის სახელოსნო. ეს მოგვცემს რეალურ შესაძლებლობას ერთდროულად, უმოკლეს ვადაში მოვამზადოთ როგორც გამოყენებითი, ასევე მონუმენტური კერამიკის მაღალკვალიფიციური მხატვრები. ამისთვის თბილისის სამხატვრო აკადემიის კერამიკის კათედრას ყველა პირობა აქვს შექმნილი. გაიზარდა და გაფართოვდა მასთან არსებული სასწავლო ექსპერიმენტული სახელოსნო, აშენდა ახალი მაღალტემპერატურიანი ღუმელი, სადაც თავისუფლად შეიძლება გამოიწვას როგორც ფაიფურ-ფაიანსი, ასევე ცეცხლგამძლე შამოტის მასა,



რევაზ იაშვილი, ლევან ცუცქირიძე
Revaz Iashvili, Levan Tsutskiridze

რომელიც ერთ-ერთ ძირითად მასალას წარმოადგენს მონუმენტურ კერამიკაში. და თუ მხედველობაში მივიღებთ ისეთ გამოცდილ ბაზას, როგორიცაა მცხეთის კერამიკული ქარხანა, მონუმენტური კერამიკის სახელოსნოს თავისუფლად შეუძლია იარსებოს. მითუმეტეს, რომ სტუდენტთა და პედაგოგთა კონტიგენტი სრულიად საკმარისია მისი გამოყოფისთვის.[46]

 რ.იაშვილი ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მიიჩნევდა სტუდენტი-ახალგაზრდობის თეორიულ განსწავლულობას დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებაში, რაც მათ დაეხმარებოდა პრაქტიკული საქმიანობისას ახალი პრობლემების დაყენებასა და ახალი ფორმების მოძიებაში. ამიტომ მხატვარმა

46. რ.იაშვილი, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეთოდსაბჭოს, გვ.8



მოზაიკური პანო,
ცხენები, ესკიზი, 1975 წ.
Mosaic panel,
Horses, sketch, 1975.

პროგრამაში შეიყვანა სპეც. კურსები: "დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ესთეტიკური პრობლემები" და „კერამიკის ხელოვნების ესთეტიკური პრობლემები." ამ უკანასკნელს საგანგებოდ აანალიზებს. მისი აზრით, კერამიკის სპეც. კურსის სწავლება უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კერამიკული მასალების ესთეტიკური საწყისის ისტორიული საფუძველი, კერამიკის ხელოვნების განვითარებაში გენეტიკური კანონზომიერებების გამოვლენა, მხატვრული მოღვაწეობის შიდა პროცესების კავშირი კერამიკის ხელოვნების თანამედროვე ტენდენციებთან და კერამიკის ხელოვნების სოციალური სტატუსის განსაზღვრა... აგრეთვე განხილული იქნება კერამიკის ხელოვნების პრობლემათა სფეროსთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის საკითხები.[47]

ჩვენამდე მოღწეულია 1986 - 1987 სასწავლო წელს გაკეთებული რ. იაშვილის მიმართვა, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორის ზ. ნიჟაარაძისადმი[48] საიდანაც ირკვევა, რომ კერამიკა-მინის კათედრის მონუმენტურმა სახელოსნომ

47. რ.იაშვილი, კერამიკის ხელოვნების ესთეტიკური პრობლემები, ნაბეჭდი წერილი, პირადი არქივი, 1976 წ., გვ.3



დეკორატიული პანო, კოლხი ქალი, ქაშანური, მაიოლიკა, რკინის ჟანგი, 1978 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel, Colchian woman, faience, maiolica, iron rust, 1978, 15 x 15 cm

უმართებულოთ რეფორმა განიცადა და თავისი არსებობა შეწყვიტა.[49] წერილი ასახავს რ.იაშვილის მონუმენტური კერამიკის სახელოსნოს მიერ ჩატარებული სამუშაოების ანგარიშს, რომლის თანახმად, კერამიკა-მინის კათედრამ გამოყენებითი კერამიკის სპეციალისტების გარდა, აღზარდა 27 ახალგაზრდა მონუმენტური კერამიკის სპეციალისტი. მათი დიპლომების დიდი ნაწილი რეალურად განხორციელდა და დაიდგა ღია სივრცეში, თბილისის სკვერებსა და მოედნებზე: ნ.ციციშვილის სტელა „ძველი თბილისი“ აღიმართა რიყეზე. გ. როიტიხის პლასტიკური ფორმა „მშვიდობა“ და გ. გორდეზიანის სტელა „ბერიკაობა“ დაიდგა კომკავშირის ქალაქ „თელეთში“. მოგვიანებით, თელეთის მხატვრული გაფორმება გაძლიერდა ლ. კიკალეიშვილის მიერ შესრულებული დეკორატიული პლასტიკით. სადიპლომო ნამუშევრებით მორთო საქართველოს კუთხეები: ქუთაისის ცენტრალური საბანკეტო დარბაზის დახურულ ეზოში დამონტაჟდა გ.იაშვილის რელიეფური პანო „კოლხეთი“, რ.ფირცხალავას საპარკო

48. რ.იაშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორს ზ.ნიჟარაძეს, ნაბეჭდი წერილი, პირადი არქივი 1986/1987 წ.წ.

49. თსსა მიმართვა საქ. სსრ კულტურის მინისტრის - თ.ბადურაშვილისადმი, მონუმენტური კერამიკის სპეციალობის აღდგენასთან დაკავშირებით, ხელს აწერს რექტორი, პროფ. ზ.ა.ნიჟარაძე, წერილი 01/404 11.V. 1987 წ,



რევაზ იაშვილი, ლევან ლაღიძე, 1980-იანი წლები

Revaz Iashvili, Levan Lagidze, 1980's

კერამიკული პლასტიკით დამშვენდა ლანჩხუთის სარაიონო ცენტრი, თ. მარგველაშვილის სადიპლომო ნამუშევარი განთავსდა ბორჯომის ახლად აშენებულ ბავშვთა საცურაო აუზის ინტერიერში, დ. ცუცქირიძის დიპლომმა კი ფოთის კულტურისა და დასვენების პარკში დაიდო ბინა. ყურადსაღებია, მონუმენტური განყოფილების სტუდენტთა საკურსო ნამუშევრებით - მოსაპირკეთებელი რელიეფური კერამიკული ბლოკებითა და ფილებით, ქალაქის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო ტრესტის, საბურთალოს საშენ მასალათა კერამიკული კომბინატისა და ჩხარის ფილების ქარხნის დაინტერესება. მიღებული იქნა მოსაპირკეთებელი რელიეფური ფილების წარ-



რეზო, ალდე, გია
Rezo, Alde, Gia



მოებაში ჩაშვების გადაწყვეტილება. 1983 წელს, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში, გ.იაშვილის ხელმძღვანელობით მონუმენტური სახელოსნოს სტუდენტებმა გააფორმეს ხარკოვის სამშენებლო არქიტექტურის ინსტიტუტის ინტერიერი. ყოველივე ცხადად ადასტურებს კომპოზიციის სწავლების მეთოდის უპირატესობას, მონუმენტური კერამიკის სპეციალობის მაღალ ხარისხს. კომპოზიციასთან ერთად არქიტექტურულ გეგმარებას უძღვებოდა საპროექტო ინსტიტუტის, თბილქალაქპროექტის დირექტორი, საქ. არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის წევრი, თამაზ თევზაძე.[50] მიუხედავად, დიდი მიღწევებისა და უამრავი მტკიცებულებებისა,[51] სამხატვრო აკადემიის სასწავლო ნაწილის დადგენილებით, ფაკულტეტის არსებობა არასაკმარისი დოკუმენტაციის გამო უკანონოდ ჩაითვალა და დაისვა საკითხი მონუმენტური კერამიკის სახელოსნოს თანდათანობითი დახურვისა.

ამ რეჟიმით, განყოფილებამ კიდევ ოთხი წელი იარსება. 1987 წელს განხორციელდა კერამიკისა და არქიტექტურის ფაკულტეტების სადიპლომო ნაშრომის გაერთიანებული დაცვის იდეა, რომელიც ჯერ კიდეც 1940-1950-იანი წლებში დაიბადა. რ.იაშვილის ხელმძღვანელობით მ.იზორიამ გამჭოლი კერამიკული კედლით მხატვრულად გააფორმა არქიტექტურის ფაკულტეტის დიპლომანტის, მ. გონგაძის მიერ წარმოდგენილი მინერალური წყლების კურორტ ძუღურაში (ძამას ხეობა) დაპროექტებული სანატორიუმის

50. თ. თევზაძე - ღირსების ორდენის კავალერი და საქ. დამსახურებული არქიტექტორი

51. რ. იაშვილი, თბილისის სახემწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორს ზ.ნიჟარაძეს, გვ. 3

ექსტერიერი. მოგვიანებით, მ.იზორიას გამჭოლი კერამიკული კედელი ი.ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მთავარი ვესტიბიულის სივრცეში განთავსდა.

რ. იაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობაც ისევ თავისი აღზრდილების, ნიჭიერი ახალგაზრდების გზის გაკვალვას უკავშირდება. 1978 წელს, რ.იაშვილის თაოსნობით დაარსდა საქართველოს მხატვართა კავშირთან ახალგაზრდა კერამიკოსთა შემოქმედებითი სახელოსნო. მის შემადგენლობაში მყოფი: ქ. რუხაძე, ო. ვეფხვაძე, ვ. ხურხუმელი, ი. ელისტრატოვა, ა. კაკაბაძე, გ. როიტიხი, ნ. ციციშვილი, ი. წიკლაური, ხ. გოგოჭური, მ. კიკნაძე, გ. უსტიაშვილი თავის პედაგოგთან და ხელმძღვანელთან ერთად მიზანდასახულად იღწვიან ქართული კერამიკის თანამედროვე სკოლის ტრადიციებზე დაყრდნობით მსოფლიო ხელოვნების წამყვანი



საპარკო-დეკორატიული პლასტიკა, ხარი, შამოტი, თ., ნაწილობრივი შებოლვა, აღდგენითი ჭ., 1967 წ. 48 x 65 x 30 სმ., სემ. სურათების ეროვნული გალერეა. გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ფონდი, ექსპონატი N 406

Decorative plastic figure for a park, Bull, fireclay, clay, partially smoked, glaze, reduction firing, 1967, 48 x 65 x 30 cm, GNM. The National Gallery, Applied Art Ceramics Foundation, exhibit N 406

ტენდენციების ახალი ტალღის შემოსატანად. 1979 წელს, თბილისში, მხატვრის სახლში წარმატებით მოეწყო მათი საანგარიშო გამოფენა.[52] ჯგუფმა კიდევ რამოდენიმე წელს იარსება და დაიშალა. თითქმის ათი წლის შემდეგ, რ.იაშვილის ინიციატივით ისევ დაფუძნდა შემოქმედებითი სახელოსნო, მაგრამ ამჯერად სამხატვრო აკადემიის ბაზაზე. თუმცა 1990-იან წლებში გაჩაღებულმა თბილისის სამოქალაქო ომმა მისი ფუნქციონირება შეუძლებელი გახადა.

ამრიგად, რ.იაშვილისთვის სასწავლო დისციპლინების სტრუქტურას განსაზღვრავს კერამიკის ხელოვნების თანამედროვე მდგომარეობა, მისი შემოქმედებითი პრაქტიკის რეალური ყოფა. კერამიკოსის მასშტაბური ხედვა, სიახლეების იქამდე შეგრძნება, სანამ ისინი საზოგადოებისთვის ხილულნი ხდებიან, მას როგორც პედაგოგსა და შემოქმედს, სრულიად გამორჩეულსა და განსაკუთრებულს ხდის.



დეკორატიული პანო, გოგონა ბურთით, ქაშანური, ჭ., სპილენძის ჟანგი, 1978 წ., 15 x 15 სმ.

Decorative panel, A girl with a ball, faianse glaze, copper rust, 1978, 15 X 15 cm.

52. გ.იაშვილი, საექსპოზიციო-სახვითი მიმართულება თანამედროვე ქართულ მხატვრულ კერამიკაში, ქართული სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, თსსა, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 1984 წ.



ხარი, დეკორატიული მოტივი, ჭედურობა,
თითბერი, 1974 წ., 60 X 68 სმ.
სემ. სურათების ეროვნული გალერეა,
გამოყენებითი ხელოვნების ჭედურობის ფონდი,
ექსპონატი N 1823

Bull, stamping, brass, 1974, 60 X 68 cm.
GNM. The National Gallery, Tbilisi,
Applied Art Stamping Foundation, exhibit N 1823





ХАРАКТЕРИСТИКА

Явшили Реваз Иосифович, заслуженный художник ГССР, 1929 года рождения, успешно сдал экзамены в Тбилисскую Академию художеств в 1947 году.

За время учебы он отличался незаурядными способностями. Окончив керамическое отделение работает: в керамическом комбинате на Мцхетском производственном предприятии и Учебно-экспериментальной мастерской Тбилисской Академии художеств. Его работы внедрены в производство.

Явшили Р.И. разработаны и внедрены в производство технология и способы чернолощенной керамики. С 1960 года он является ст. преподавателем.

Утвержден доцентом 12 января в 1968 году, он успешно работает на кафедре, участвует на республиканских, всесоюзных и международных выставках.

Характеристика дается для представления на конкурсную комиссию по замещению должностей профессорско-преподавательского состава.

Заведующий Кафедрой
керамики и стекла /проф. Г.В.Картвелишвили/

# ოქმი № 13

1962 წლის 28 მარტს შესდგა კერამიკის კათედრის ღია სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: აკადემიის რექტორი ა.ყ.ქუთათელაძე, პრორექტორები: მკურნალი და მაჩაბელი, კათედრის გამგე ა.ი.ფიცხელაური, მცხეთის კერამიკის ქარხნის დირექტორი ამხ. მ.გორგაძე, დოც. ქართველიშვილი, უფრ. მასწ. იაშვილი, უფრ.მასწ.ყანდარელი, სახელოსნოს გამგე სულხანიშვილი, კერამიკის სახელოსნოს თანამშრომლები და ტამრიანცი ბარამიძე.

დღის წესრიგში

1. აკადემიაში კერამიკის კათედრის მუშაობა, შავი კერამიკის სახით.

მოისმინეს: ამხ. ქუთათელაძის მოხსენება მან აღნიშნა, რომ კათედრის გამგის თაოსნობით შავი კერამიკა არის ა ანცი გივინური. ამას ემთხვევა ის ამბავი, რომ კერამიკულ სახელოსნოში შავმა კერამიკამ ხაზგასმით გადააჭარბა, არ ცოტაოდ ლენინგრადში აკადემიაში ის ამბავი, რომ გამოვფინოთ შავი კერამიკა და ამით დავუპიჩავით ქიქუნიანი ან აფხაზანი კერამიკა.

ის მოეწონა, რომ ჩვენს კათედრაზე ამ შავმა კერამიკამ დაამყარა იმით იყო გამორჩეული, რომ შავმა კერამიკამ დიდი ემოცია გამოიწვია, როგორც სახელოსნოებში. ასევე რესპუბლიკაში და საზღვარ გარეთაც. ამიტომ იყო, რომ ამ შავმა კერამიკამ აპრობრიყია მიიღო. ეს წლის ერთგვარი, მოდა ასე რომ ვიქვათ ამას მხარი დაუჭირეს ბაზარზე. მე როგორც ხელმძღვანელმა, ვალდებული ვარ ყურადღება მივაქციოთ ამ მოთხოვნას და შეიძლება მე მივყვე და ვისარგებლე ამით, რომ დავსვა სამინისტროში საკითხი ფონდის გადიდის [...] ელინძირებისათვის. ამას მე მივაღწიე შავი კერამიკით.

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia

მუხითის ქარხანა ვარვიჩი მთავრობას, მოეწონა და დაგვთანხმდა თან-ხების გაღებაზე.

ხმის საკითხი: ღირს თუ არა ეს ძველი კერამიკა იმად, რომ ამდენი ღონისძიება მივიღე, ყოფა ან იყოს მე შევმიხლი, გემოვნებამ შეიძლება ადამიანი შეცდომამდე მიიყვანოს, ამიტომ მე დავსვი სა-კითხი, როგორც ხელმძღვანელმა. ამხ. ფიცხელაური, რომელმაც ხელი შეუწყო კერამიკის აღორძინებას, გამოთქვამს აზრს, ეს ძველი კერამიკა არის მყთარი ვიდრე ის კეთილშობილი ჭიქურიანი და ანგობიანი კერამი-კა, მე პირადად თავს დამნაშავედ ჩავთვლი თუ მე ამ საქმეს ვერ გავ-ჯებ და ვერ დავინახავ შეცდომას. ამიტომ მე ვთხოვთ მონაწილეობა მიიღოთ მხატვრებმა და მიმართოთ როგორი პოზიცია დაიჭირო, მე მსურს სიკეთე გვმიკეთოთ და ისე არ გამომივიდეს, რომ სიკეთის მაგივრად ცუდი საქმე გამიკეთოთ, ამისათვის მოგვიწვიეთ თქვენ და ამიტომ მო-გვანებით. პირველ რიგში მე მსურს პატ. ფიცხელაურის აზრი მოვისმინოთ. მეცნიერული თვალსაზრისით, პრაქტიკული გრძნობით ვთხოვთ მიპასუხოთ ამ შეკითხვაზე.

აზრი გამოთქვეს: ფიცხელაურმა: აქ სადაო არაფერი არ უნდა ყო-ფილიყო, ჭიქური კერამიკა, პრიმიტიული კერამიკა ამა-ზე უნდა ვილაპარაკოთ. არის ჭიქური კერამიკა დამჟან-გავი ყუყხლისა. იყო ძველად, და არის დღესაც. ეს არის ცერეკოლა მხატვრული და ცერეკოლა დამჟანგავი ყუყხლისა, მაგრამ ამ მოჭიქულ კერამიკას თავის დროზე ქონდა მოთხოვნა ეს იყო მაშინ, როდესაც არ იცოდნენ კარგი ჭურჭლის დამზადება. როცა თბილისს არქეოლოგები მისიან ამოთქვა ეს ძველი კერამიკა, უმაღლო მინახველი. გემოვნე-ბა მაშინ არც ქონდათ ისეთი და არც ხამუტელება, რომ სხვა ხერხი გამოეყენებინათ და ჭარხლადნენ. ამას ჩვენ პრიმიტიულ მოვლენად ვთვლით და საჩიროა არ

არის სამხატვრო აკადემიამ გაჭვარტლული კერამიკა ვაკეთოთ. ახალგაზრდა მაძიებელი აზრის მილევამდე გაჩნდა იგი აკადემიაში, იაშვილმა გააკეთა პირველად ნუ ყელბი. მას ეს ალბად ახალი ეგონა, მაგრამ მან ახალი კი არ შექმნა, ძველი შემოიტანა. იქნებ მოგიერთის ალეგვინ მთლიანად შავ კერამიკაზე მიმანიშნებლობა. ჩვენ კარგად, რომ ვისწავლოთ ჭიქურ ზედა და ჭიქურ ქვედა საღებავები – დიდი მიღწევა იქნება, მაგრამ გაჭვარტლული კერამიკა დიდი მიღწევა არ არის. ცერაკოტის ვაზები უნდა გამოვიყვანოთ ქუჩებში ყვავილებისათვის, ეს რომ გავაკეთოთ, დიდსაც და პატარასაც მოეწონება. დგანან ჩვენი ხუთი მხატვარი და ხუთი აპირებენ: ამ უბრალო ჩამებზე ამდენ დროს ვინ დაახარჯავინებს, მიყოლა არ არის, რომ ამაზე მხატვარმა სიცოცხლე ხარჯოს. პრიმიტიული ტექნიკა მიაქვთ ეზოებში. შეიძლება იქ არაფერი იქვან, მაგრამ რომ მიმოდიან დაკვირდნენ და დაკვირდნენ. მე არ მინდა ის ამბავი მოხდეს. მით უმეტეს, რომ ამ ამბავს მცხეთაში ვიწყებთ ეს არ არის თანამედროვე კერამიკა. არც ტექნიკით, არც მხატვრობით. ერთი რამ უნდა იყოს არა უშავს მაგრამ მთლიანად კი არ ვარგა.

ამ სამი დღის წინ რესპუბლიკურ კომისიაში ორი ჯგუფის ნაკეთობა იყო. ერთი საბურთალოს ქარხნის შავი შალი ჭიქურით გაკეთებული და მეორე ჩვენი გაჭვარტლული. შავი შალი ჭიქურის ნაკეთობას თვალს ვერ ავარიდებ, ნაცლად არ შეიძლება ჩვენ გავაკეთოთ შავი ჭუჭმაცი ჭიქური. მთლიანად შავი ჭუჭყილი სამგლოვიარო, მაგრამ თითო ორილა ძალიან სასიამოვნოა. მეორე კუთხი იყო შავი კერამიკა ეს იყო ჩვენი სახელოსნოსი, რამდენიმე იყო დამჟანგავი ყუყბლის ჭუქურიანი ნაკეთობა და შავი კოყანი კერამიკა. მე არ ვიყოლი, რომ ისინი ჩვენი იყო. აკადემიიდან ნივთი გაიტანს და მე არ ვიცი. ჩემი თავის მეენი ხომ არა ვარ, რომ ის ნივთები კარგი იყოს და არ მოეწონოს. მე

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

უთხარი რომ ეს ნიმუში აკადემიის შესაფერისი არ არის თქო.

ყოველგვარი ნაირსახეობისათვის ეს კერამიკა 10% შეიძლება გამოვ-უშვათ. დანარჩენი სხვა ტექნიკის ნაკეთობა უნდა იყოს.

ქუთათელაძე: აქ აქვს ბეგილი ერთ ორიგინალს შესანიშნავ მეგობა-რეობას. კოთილა - ხელმძღვანელი თავი, მეორე შემოქმედებით ჯგუფი - სახელოსნო და მესამე ქარხანა - მუხათის, რომელსაც შეუძლია დაამტკი-ცოს, რომ ეს ნაწარმი შეიძლება გადიდებული ტირაჟით გამოვუშვათ. მეც-ნიერული თვალსაზრისით, რომ გამოუშვა 90% დამთავრებული ყოველი ნაკეთობა-ნი ამის მომხრე ვარ. მაგრამ როდესაც გამოფენა ისურვა საზღვარ გარეთ ჩვენ წარმოდგენით მათ სახსოვრად მეცნიერული ნაკეთობანი და შემოქმე-დებითი ნაწარმი.

ბაზარში უნდა გავიყიდოთ ეს ჩვენი ნაკეთობა, და ბაზარზე დღეს დიდი მოთხოვნა პოვა მაგმა კერამიკამ, ამ ბაზარს ნიშნი აქვს, რასაც აქვს მოთხოვნილება ის უნდა მოვაწოდოთ. მოსკოველები გვეწერენ, რომ ამ ჩვენმა კერამიკამ არაჩვეულებრივი მოწონება ჰპოვა როგორც ჩვენ მაღაზიებში, ასევე საზღვარგარეთის მაღაზიებშიაც.

თუ თქვენ დღეს მე დამიჯერებთ, რომ ამ მაგ კერამიკას ასეთი მა-ღე ჩვეული მოხვდება, როგორც ანტიკვარიატების, მე დღესვე ავკრძალავ. თუ არ ვარგა მუზეუმში გავაგზავნოთ. ხუთს გამოუშვებ თუ 500-ს ერთია. მაქრის ქვედი და ასი მანეთის ქვედი ორივე ქვედია. თუ არ ვარგა დღეს-ვე ავკრძალავ. ორი პომიდორი დაკეტა კი არ შეიძლება.

მამალაძე: კერამიკის ძაფულომეცდი ორ ჯგუფად გაიყო: ერთ მხარეს დგას მაც. ფიფხელაური, მეორე მხარეს კი დანარჩენები. თუ არ ვარგა ეს ქურქელი არ უნდა გამოუშვათ. სრულიად სწორია აზრი. აპოლონ ფანამა-რისძის - გამოთქმა. ყველა დაწესებულებაში დირექტორი არის მმართველი სანამ მას დირექტორის სკამი უჭირავს. მე ყველა დირექტორთან მიმუშა-ვნია პარტკომად. მაგრამ დიდი პირობა აქვს მაც. აპოლონს აკადემიის არსებობისათვის ბრძოლაში. ჩვენ ვიცით, რომ აკადემიას დახურვა ემუქრე-ბოდა. ფიფხელაძემ იმდენი იბრძოლა, რომ მან შეძლო აკა-

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

ლემის ფეხზე დაყენება.

ამხ. ლიუხელაური განაწყენებულია, რომ იგი საქმის კურსში არ იყო და ამან გამოიწვია, რომ იგი გამოთიშული დარჩა ერთ მხა-რეს. ამიტომ ცდილობს დაამტკიცოს ამ ნაკეთობის ტექნოლოგიური ნა-კლოვანებები. ბატ. ალექსანდრე ჩემის აზრით თქვენ აქ მაინც უნდა შეგეკავებინათ თავი. როდესაც მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ აქ. მათ ერთხმად მოიწონეს ეს ქურქები და თქვენ ბატ. ალექსანდრე არაფერი გითქვამთ მაშინ. ამ თათბირის დანიშნულება არის შემრი-გებელი. პოზიცია დაიჭირა, თუ ჩვენ საერთო ენა ვერ გამოვნახეთ ეს ამბავი გავა აკადემიის კედლებს გარეთ, ამით ისარგებლებს ჩვე-ნი მტრებიც და მიაღწევს ყველ მიზნებს.

<u>მკურნალი:</u> როდესაც მე სამინისტროში ვმუშაობდი ქობულაძე ხშირად მოდიოდა თხოვნით დაგვეხმარეთ, იმიტომ, რომ აკადემიას დახურვა ემუქრებოდა. აკადემია ამ სამი წლის მანძილზე, როგორც იციან ისე ფეხზე დადგა, გაიხსნა ახალი ფაკულტეტები, გაიხსნა სახელოსნოები. და ახალი სწავლებობის დანერგვის ერთერთი ინიცია-ტორი არის ამხ. ა. ქუთათელაძე, დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ და დიდ მოწონებას იმსახურებს ჩვენი სახელოსნოს ნაკეთობანი. იქნე-ბა ეს შავი კერამიკა თუ ჭიქურიანი კერამიკა. მე პირადად როგორც მხატვარს ძალიან მომწონს შავი კერამიკა. იმით, რომ მეჩვენება, დამოკიდებულება ჭიქურის ფერის მიმართ, დეკორატიული თვალსაზრისით ის აცხადებს ხასიათს წმინდა ესთეტიკურ მოწონების, თუ ჩვენმა მხა-ტვრებმა გამონახეს ჩვენში მივიწყებული ტექნიკა, და კიდევ უფრო გაამდიდრეს იგი მე მგონი ამ ეტაპზე დიდი ნაბიჯია.

<u>ყიყიმელი:</u> მე მსურდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა შავ კერა-მიკაზე. საქმე იმაშია, რომ ეს შავი კერამიკა არის დეკორატიული, ნაწილობრივ გამოყენებითი. ბატ. ალექსანდრე ამბობს, რომ ტექნიკა არის პრიმიტიული, ტექნიკა პრიმიტიულია, მაგრამ ტერაკოტაც პრი-მიტიულია. მხოლოდ ერთი არის დამუშავებული ყუსხლით, მეორე კი გამ-

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

99

39

და ჩაცრე აქ ან გახდე მსჯელობის საქმედ.

იქ თქვენ ნახეთ სათირთლი, რომელიც თქვენ გარეში გაიცანის და ამიტომ განაცხადით იქ რომ ეს ჭურჭელი არ ვარგა.

თუ თქვენ ამ ჭურჭლის ანტიჰიგიენურად თვლით მაშინ არც უნდა მყირი დაუშვათ, თქვენ უნდა თქვათ ან სულ არა და ან კი. ზოგი ამტკიცებს რომ იგი არ არის ანტიჰიგიენური. მე აქედან არ გამოვდივარ მე გამოვდივარ თქვენი მსჯელობიდან.

ქარხნულ იდეალი: ჩვენში ნიჩაშრები ყოველთვის ხმარობენ და ხმარობენ ეგ.ნ. თორიან არუ ცეჩაკთილის ჭურჭელს იქნიდან. სვამდნენ კიდევაც წყალსაც იხახავენ, ყველსაც დებდნენ და სხვა., მაგრამ ანტიჰიგიენური არ იყო და არც არის. რა მეიყვარა მავე კერამიკით, $900^{0}$-მე. გამომწვარი მიგ კიქური აქვს, რომელიც იყავს შიგნიდან ჰიგიენურად. გარედან კიდევ მბაცვნულია.

დაადგინეს: მოთხოვნილებაც იქნება შრისცითვლად მაგი კერამიკა ალიანბული იქნეს.

თავმჯდომარე: / პროფ. ა. ქუთათელაძე /

მდივანი: [signature] / მ. ბარამიძე /.

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia

## SUMMARY


In the works of professor of the Ceramics Department of Tbilisi State Academy of Fine Arts, the most important representative of modern Georgian ceramics school, Honored and People's Artist of Georgia Revaz (Rezo) Iashvili (1929-1996), all the events and trends of his time are depicted. They cover both the influence of Soviet art, as well as European ceramics and the origins of historical or folk art. These links in his creative life are entwined in a way that result in a completely individual style.

By the 1950s, the art of ceramics had reached the peak of its flourishing throughout the world. In Georgia the resources of ceramic materials were already exploited to the full and technological research had started to restore the lost traditions. The utilization of all kinds of ceramic material from the cultural heritage, all kinds of decor, ways and methods in this field created a mixed, eclectic picture. Its contradictory character was strengthened by the advantage of porcelain-faience; development of this technology faced a number of difficulties in Georgia being rich in red clay. A further challenge was the task of creating the work of national character from the material.

Rezo Iashvili faced exactly that reality when he started studying at the Department of Ceramics at the Tbilisi Academy of Fine Arts. In those years (1949-1955), like all other artists, he produced porcelain and faience works. However, the ceramic specialist was inspired not only by painting household items, but also creating large sized plastic compositions. His ability to perceive the scope of space was revealed for the first time in this very period and it was manifested fully in his diploma work. The drinking water column created under the supervision of Zakaria (Zakro) Maisuradze, covered with the Georgian laced ornaments, attracted great public attention because of the unusual monumental character of the porcelain material. The top of the 4.5 meter high construction was crowned by an imposing sculpture of a spread-winged eagle. The organic integrity of the spring was determined by its solid form, tectonics and proportion. The subordination of the old Georgian traditions to the tasks of the monumental decorative ceramics coexisted naturally in the diploma work.

Despite the fact that Rezo Iashvili's first touch with monumental art was successful, his further steps were related to the utilitarian sphere. It happened after he started working as an artist in the archaeological expedition and moved around Mtskheta, Urbnisi, Meskheti-Javakheti regions along with the expeditions of A.Javakhishvili, S.Kalandadze and T.Chubinashvili. R.Iiashvili was interested in the fragments of black and gray ceramics obtained in these areas and their metallic surface gave a strong creative impetus to the artist. As a result his desire was to create the items having opposite artistic effects from porcelain-faience.

He had already heard of the futile attempts to produce the black burnt ceramics from his supervisor Zakro Maisuradze. Nevertheless, after returning from the expedition, Rezo Iashvili made every effort to restore the old technology. In achieving the goal the experience gained by him during the work at the Experimental Workshop of the Ceramic Chair of the Academy

of Fine Arts was of paramount importance. With the help of technologist Pepela Vashakidze, R. Iashvili conducted intensive experiments at the chemical-technological laboratory of ceramics to revive the old method of burning with the smoke effect, which did not prove easy at all. The tireless research took several months, but in the end, the goal was achieved. Rezo Iashvili not only revived the ancient technology, but introduced the novelty in the black glossy ceramics by adding the glittering effect of the enamel colors. The old technology returned the field to the traditional roots, but only revival was not enough. It was necessary to search for the unknown techniques the samples of which were brought to the light due to the archaeological excavations and became widely known through the ethnographic material. Therefore, the experimental ceramic workshop of the Academy of Fine Arts continued to redefine the old technologies in various directions. Meanwhile, R.Iashvili started teaching at the Ceramics Department of the Academy, specifically teaching composition, and soon became convinced that the sphere was no less important for him than actual creative work.

Historical and ethnographic ceramic products incited Rezo Iashvili's great interest thanks to their complete, cohesive volume, figurative silhouette, plain, laconic decor and restrained appearance. The amazing harmony of their conditional plastics, matching color spectrum and marvelous harmony of flexible drawing was the source of inspiration for R. Iashvili. They held potentially inexhaustible variations for new introspection, new artistic interpretation. The ceramic specialist studied the methods of decorating and crafting monuments of the past. He was especially interested in decorating the ceramic vessel with animal motifs and often gave zoomorphic forms to the utilitarian subject.

Depending on the properties of red clay, Rezo Iashvili focused on the plastic form of the item, its color and shape. At first glance, the works of the artist are reminiscent of the ancient monuments, but they are so different from the initial forms that there is no doubt that they are the creations of the modern epoch. They are distinguished with qualitatively new sign - decoration, due to being perceived as environmental, space decoration forms and gaining artistic character of an exhibition item. The solid structure of household objects and the rationally thought-out proportions make it convenient to use them, reflecting modern trends of functionalism and constructivism. Such are the series of wine vessels presented with complex combinations of goblets, jugs, wine jars and their elements.

Of special interest are the improvisation series of zoormorphic goblets, archaic forms of which obtain the modern character by their style. Therefore, the national character of the wine vessel carries R.Iashvili's individual handwriting. The artist's works were awarded at international exhibitions (Ostend, Belgium -1958; Moscow, Russia - 1961; Prague, Czechoslovakia - 1962) and were introduced into mass production. The task of creating qualitatively new forms based on archaic traditions became the main trend of ceramics in the 1960s and laid the foundation for establishing modern Georgian school of this field.

The 1960s were remarkable in Revaz Iashvili's work in another way as well. The artist realized a new potential of ceramic formation - its ability to take part in organizing the archi-

tectural space. Therefore, he tried to enhance both the monumental-decorative aspect of the work together with its finer features. While working on the synthesis of art, the artist revealed the incredible capacity for unlimited fantasy and imagination. He was trying to find the material and techniques that organically merge with architecture and landscape. The artist was fascinated by refractory clay – chamotte, less known in Georgia, having the structure similar to the surface of the stone and possibility to sculpt monolithic shapes. To find a variety of effects, he experimented with other natural materials (stone, wood, gypsum) to synthesize with chamotte. Thus, the cycle of painted reliefs for the interior was created (the Harvest Festival), which is stylistically close to ancient Georgian plastic monuments.

Revaz Iashvili decorated open area water springs with chamotte relief frieze, associated with ancient tradition spread in Georgia. On Zedazeni Mount, the upper and lower springs despite the proximity to each other, are well figured to match the landscape. On the lower spring placed in a cozy place on the edge of the woods, the stylized heads of rams create a rather romantic mood. The upper spring, on the contrary, is set on a stretch of a comparatively barren terrain devoid green cover. Its construction is monumental, with a bigger frieze (folklore heroes – Tebrole and Tsikara). Here, both friezes demonstrate the tendency to modernize the archaic forms. In the mid-1960s, R.Iashvili brings in the outer space color saturated chamotte jars and gives them a park-decorative plastic function. These works illustrate the ways of applied and monumental-decorative art, the synthesis of the applied and fine arts, and their synthesis with architecture.

October 14, 1967 was a fateful date for the artist who spent the rest of his life in a wheelchair. He still managed to return to creative and pedagogical activities in 1968-1970.

In that period, the process of approximation of applied and fine arts reached the point where they could be separated from each other based on the material and its peculiarities. In R.Iashvili's works, the trend led to the development of the original color and decorative expression of all kinds of color and decorative texture. The stunning, classical nature of the zoomorphic goblets (ram, quail, bull) were replaced by the festive one. Porcelain and terracotta animal statues (tur, deer) are sculpted in the way that in case of massive magnification they acquire the ability to exist in the space and gives the impression of models created for decorative park purposes. Anthropomorphic decorative heads are already spatially shaped in terms of architecture. For gaining more artistic effects, R.Iashvili uses ceramics in the synthesis of metal and enhances the spectacular panoramic side of decorative panes for interior (Hotel Ushba, Tbilisi; Cafe Vesna, Murmansk).

